პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქაშოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76
} მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24,
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 4 იანვარი 1930 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 3 (2651)

დღიური

- შახტმა უარი განაცხადა ჰააგის კონფერენციაში მონაწილეობაზე.
- დაიწყო მადაგასკარის რევოლიუციონერთა პროცესი.
- არგენტინაში დახვრიტეს გაფიცული მუშების დემონსტრაცია.
- აშხაბადში დააპატიმრეს ბაქოს 26 კომუნარის დახვრეტის აქტიური მონაწილე გლადირევი.

10 იანვარს, საღამოს 6 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში

გაიხსნება საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას

მე-3 პლენუმი

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი.

გადავჭრათ ხორცის პრობლემა

„მარცვლეული პრობლემის შემდეგ, რომლის გადაჭრის გზაზე პარტიამ პირველ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია, ხორცის პრობლემა წარმოადგენს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომლის გადაწყვეტის გარეშე არ შეიძლება აღვკვეთოთ სიძნელენი მუშათა კლასის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში", — ასე სვამს საკითხს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა თავის სპეციალურ დადგენილებაში, რომელიც ეხება ღონისძიებებს ხორცის პრობლემის გადასაჭრელად.

სურსათ-სახორცეთი მუშების მომარაგება უაღრესი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს. მრეწველობის სწრაფ ზრდასთან ერთად, ქალაქების და სხვა სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა აგრეთვე სწრაფად მატულობს, ამავე დროს კი სასოფლო მეურნეობა, მიუხედავად მისი თვალსაჩინო განვითარებისა, ჯერჯერობით ვერ უშვებს ბაზარზე იმდენ სამომხმარებლო პროდუქტს (რაც ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს), რომ შესაძლებელი იყოს მუშათა მასების მოთხოვნილების სათანადოდ დაკმაყოფილება. აქედან წარმოსდგება სასურსათო სიძნელენი, რომლებსაც ჩვენ განვიცდით.

პარტიისა და ხელისუფლების საქმიანობა ამ სიძნელეების გადალახვისაკენაა მიმართული. პურის, ამ ძირითად სამომხმარებლო პროდუქტის საკითხის მოგვარების საქმეში, მარცვლეულის მეურნეობების ორგანიზაციით, კოლმეურნეობათა მშენებლობის გაშლით და პურის დამზადების კამპანიის წარმატებით დამთავრებით, ჩვენ არსებით გარდატეხას მივაღწიეთ. ამ დარგში მუშაობის გაძლიერებასთან ერთად, ეხლა პირველ რიგში დგება მესაქონლეობის განვითარების დაჩქარების და კერძოდ ხორცის პრობლემის გადაჭრის საკითხი.

მესაქონლეობა, რომელიც მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, მეტად დაქვეითებული და განადგურებული იყო მსოფლიო და სამოქალაქო ომების და წინანდელ რეჟიმის შედეგად, საბჭოთა ხელისუფლების დროს აღორძინდა და რიცხვობრივად გაიზარდა; ომის წინადროინდელი დონე აქაც შორს დავტოვეთ უკან, მაგრამ მისი განვითარება მაინც სანახევროდაც ვერ წვდება არსებულ საჭიროებას. გარდა ქალაქების მოსახლეობის ზევით აღნიშნულ ზრდისა, გლეხობამ გაადიდა ხორცეულის შინაური მოხმარება, რის გამო ეს პროდუქტი მას ნაკლებად გამოაქვს ბაზარზე. ამასთან ის გაფთრებული წინააღმდეგობა, რომელსაც კულაკი უწევს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას, გამოხატულებას პოულობს მესაქონლეობის დარგშიაც. კულაკი ამცირებს საქონლის მოშენებას, უკანასკნელ წლებში იგი პირუტყვს მასიურად ერეკებოდა სასაკლაოსაკენ განურჩევლად იმისა, იყო ეს პირუტყვი საკლავი ჰასაკის თუ სახალგაზრდო. მთავარი კი ისაა, რომ დაქუცმაცებულ, ინდივიდუალურ მეურნეობის პირობებში შეუძლებელია მესაქონლეობის, ისე როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგების, სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

ყოველივე ეს ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიმწვავით აყენებს მესაქონლეობის, მათ შორის სახორცე საქონლის პრობლემას. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას აღნიშნული დადგენილება ამ პრობლემის გადასაჭრელად იძლევა არა მარტო საერთო ხაზს, არამედ ამასთან ერთად სახავს მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს. „მსხვილ სახელმწიფო ხორცის სამრეწველო საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია, მესაქონლეობის საბაზრო წარმოების განვითარება კოლმეურნეობებში და ხორცის მრეწველობის აგება ამ დარგში უცხოეთის ტექნიკის უახლეს მიღწევების საფუძველზე, აგრეთვე ხელის შეწყობა სახორცე მესაქონლეობის განვითარებისათვის ინდივიდუალურ ღარიბ-საშუალო გლეხურ მეურნეობებში" — აი რა გზით უნდა მოხდეს ხორცის პრობლემის გადაწყვეტა.

ამნაირად, მტკიცედაა აღებული გეზი სოციალისტური სექტორის განვითარებისაკენ მესაქონლეობაში. უნდა ითქვას, რომ დღემდე ამ მხრივ ძალზე ჩვენ სუსტებით. საბჭოთა მეურნეობებში მესაქონლეობის განვითარებას თითქმის არ ექცეოდა ყურადღება. კოლმეურნეობებში მესაქონლეობის დარგი დღემდე არ არის განსაზოგადოებული. ეს სრულიად დაუშვებელი მდგომარეობაა, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოთ. კერძოდ, დიდი როლი უნდა ითამაშოს საქართველოს მესაქონლეობის ამას წინად დაარსებულმა კავშირმა. დღეს მკითხველი გაეცნობა მისი მუშაობის გეგმას, რომელიც საკმაოდ ფართო ამოცანებს ისახავს, მაგრამ, სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კავშირმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საკლავი საქონლის დამზადებას, ვინემ ეს გეგმაში გათვალისწინებული.

საერთოდ, საკლავი საქონლის რიცხვის გადიდება საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში და ამ გზით ხორცის საჭირო პროდუქტის გამოშვება ბაზარზე უნდა შეადგენდეს ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას. ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებშიც ხორცის მომცემ საქონლის მოშენებას და მის რიგიანად გამოყენებას. ამ მიზნით, სხვათა შორის, კონტრაქტაციის სისტემის გავრცელება თვალსაჩინო ნაყოფს გამოიღებს.

მესაქონლეობის განვითარება, რა თქმა უნდა, მოითხოვს საძოვრების საკითხის მოწესრიგებას. ამ მხრივ კი ჩვენში თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული. არსებული საძოვრები იფიტება ზედმეტი დატვირთვის გამო. ამასთან ისინი რაციონალურად არ არიან განაწილებული. საქონლის საკვებ პროდუქტების წარმოებას ჩვენში ხომ სულაც არა აქვს ადგილი. არსებულ საძოვრების რაციონალურ მოვლასთან ერთად, ჩვენ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ საქონლის საკვებ პროდუქტების საკმაო რაოდენობით დასამზადებლად. ამისათვის ჩვენში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია, რომლებიც ჩვენ სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ.

მაგრამ ყველა ამ ღონისძიებათა გატარებით ხორცის პრობლემა მაინც ვერ ჩაითვლება გადაჭრილად. ჩვენ უნდა გადავდგათ საჭირო ნაბიჯები ხორცის მრეწველობის განსავითარებლად. სასაკლაოების მოწყობა მაღალ ტექნიკურ საფუძველზე, სხვადასხვა საწარმოთა ორგანიზაცია ხორცის ნარჩენების (სისხლი, ძვლები, რქები, ჩლიქები და სხვ.) გადასამუშავებლად და სრული უტილიზაციისათვის, საკონსერვო საქმის გაშლა, საცივრების მშენებლობა და სხვ.— აი, კიდევ რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

უმაღლესმა პარტორგანომ მოგვცა გარკვეული დირექტივა და მიგვითითა კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ხორცის საკითხის მთლიანად გადაჭრას და ამ პროდუქტით ქალაქების მშრომელი მოსახლეობის სავსებით მომარაგებას. ჩვენი მორიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ დირექტივის მტკიცედ განხორციელება.

ჰააგა № 2

დღეს ჰააგაში იხსნება მეორე კონფერენცია, რომელმაც უნდა დაამტკიცოს იუნგის გეგმა და „ლიკვიდაცია უყოს ომის შედეგებს".

ჰააგის პირველი კონფერენცია მუშაობდა მხოლოდ გერმანიის სარეპარაციო გადასახადების განაწილების საკითხზე. მაგრამ მაშინვე თავი იჩინა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა მთელმა სიღრმემ. „მშვიდობიან" ჰააგას ახალი იმპერიალისტური ომების სული დასტრიალებდა. განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა მაშინ თავი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულმა ერთ-ერთმა ძირითადმა გადამწყვეტმა წინააღმდეგობამ—ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობამ.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა თანდათან სდევნის ინგლისს მსოფლიო ბაზრებიდან. ამერიკის ეს შეტევა ინგლისის პოზიციებზე თავს იჩენს კანადაში, ლათინურ ამერიკაში, ავსტრალიაში, ინდოეთში, ჩინეთში და ევროპის კონტინენტზე. ბრძოლა სწარმოებს ნედლეულის უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ბაზრებისათვის და გასაღების უდიდესი ბაზრებისათვის.

ინგლისი ამ ბრძოლაში ხშირად სერიოზულად მარცხდება, მაგრამ ამასთან ერთად იგი მთელ რიგ კონტრ-იერიშებზედაც გადადის. ჯერ კიდევ ჰააგის პირველ კონფერენციაზე ბრიტანეთის იმპერიალიზმი, რომლის წარმომადგენლადაც სნოუდენი გამოვიდა, ენერგიულ იერიშზე გადავიდა. რეპარაციების განაწილების დროს სნოუდენი ისე ვაჭრობდა, როგორც მეწვრილმანე, და მან იმდენი შესძლო, რომ ინგლისის ყოველწლიურ სარეპარაციო წილს 40 მილიონი მარკა წაამატებინა. ეს წამატება ბრიტანეთის მთელი ბიუჯეტის მხოლოდ ერთ მეოთხედ პროცენტს შეადგენს, რადგან ამ ბიუჯეტმა 7,5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. რა თქმა უნდა, სნოუდენის ეს გამოსვლა სრულებითაც არ ისახავდა „ფისკალურ" მიზნებს. ინგლისი სცდილობდა ამ ნაბიჯით დაემტკიცებინა, რომ არა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა, არამედ ინგლისი მდგომარეობს ბატონ-პატრონი ევროპაში და ბრიტანეთის ლომს ჯერ კიდევ არ დასცვივნია თავისი კბილები.

მაგრამ ჰააგის კონფერენციის შემდეგ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა დაუყოვნებლივ გადადის ენერგიულ შეტევაზე, მიუხედავად ჰუვერის თავაზიანი ჟესტებისა მაკდონალდთან შეხვედრის დროს. ასე, მაგალითად, ლონდონის საზღვაო „განიარაღების" კონფერენციისათვის მზადებისას შეერთებული შტატების რესპუბლიკა უკვე აღარ კმაყოფილდება ინგლისისა და ამერიკის ფლოტების თანასწორობას, არამედ თავისი დიდი კრეისერებისათვის მოითხოვს პროპორციას 2:3, ე. ი. პირდაპირ სვამს იმ საკითხს, რომ მისი ფლოტი ინგლისის ფლოტზე უფრო ძლიერი იყოს.

ინგლის-ამერიკის ანტაგონიზმის სიმწვავემ თავი იჩინა აგრეთვე საერთაშორისო ანგარიშების გამსწორებელი ბანკის საკითხში, რომელიც ჰააგის მეორე კონფერენციის მსჯელობის საგანს შეადგენს. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა იცავს საბანკო კაპიტალს და ამიტომ მხარს უჭერს ამ ბანკის ფუნქციების გაფართოებას, ხოლო ბრიტანეთის იმპერიალისტები გადაჭრით ილაშქრებენ ასეთი გაფართოების წინააღმდეგ, რადგან ეს გაფართოება მოასწავებს ამერიკის ფინანსიური კაპიტალის პოზიციების განმტკიცებას ევროპაში და წარმოადგენს მისი დიქტატურის ერთ-ერთ დასაყრდენს ევროპის საქმეებში.

მაგრამ საერთაშორისო ანგარიშების გამსწორებელი ბანკის საკითხი მარტო ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობათა ძალას არ აშკარავებს. ეს ბანკი ამოცანად ისახავს იმასაც, რომ „თავისი გავლენის სფეროში მოაქციოს აღმოსავლეთი ევროპა". ეს „ბუნდოვანი" ფორმულა მოასწავებს მხოლოდ დასაყრდენი ბაზის შექმნას საბჭოთა კავშირზე, მისი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე, ხუთწლიან გეგმაზე და სოციალისტურ მშენებლობაზე შეტევისათვის. ბანკი, რომელიც „ნეიტრალურ" ქვეყანაში—შვეიცარიაში—იმუშავებს, სრულებითაც არ იქნება გართული მშვიდობიან საქმეებში. იგი შეუდგება იარაღის გამოჭედვას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჰააგის პირველმა კონფერენციამ გაამწვავა აგრეთვე წინააღმდეგობანი ინგლისსა და გერმანიას შორის. გერმანიის კონკურენცია ქვანახშირის, ელექტრომრეწველობის, გემთმშენებლობისა და სხვა დარგებში საფრთხეს უქმნის ბრიტანეთის მრეწველობას. ასე, მაგალითად, გერმანიის ექსპორტის შეზღუდვის მიზნით, ინგლისმა შესძლო მიეღო ჰააგაში არსებითი დათმობანი იმ საკითხში, რომელიც ნატურით მიწოდების შემცირებას შეეხება, კერძოდ, გერმანიის მიერ იტალიისათვის ქვანახშირის მიწოდების საკითხში.

ჰააგის პირველ კონფერენციაზე და ამ კონფერენციის შემდეგ არც საფრანგეთ-გერმანიის ძირითადი წინააღმდეგობები შენელდა. რეინის ოლქის მესამე ზონის დაცლა უნდა მოხდეს 1930 წლის 30 ივნისამდე. ამ საკითხის შესახებ საფრანგეთის პრემიერმა ტარდიემ აშკარად აღნიშნა, რომ რეინი დაცლილი იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ „ძალაში შევა" იუნგის გეგმაო. ეს პირობა საშუალებას აძლევს საფრანგეთის იმპერიალისტებს ყოველნაირად გააჭიანურონ რეინის დაცლა. საპარლამენტო კომისიაში ბრიანმა უფრო აშკარად განაცხადა, რომ 1930 წლის თებერვლის დამლევისათვის გამოირკვევა, შევა თუ არა ძალაში იუნგის გეგმაო. „თუ ეს არ მოხდა, — დასძინა მან,— რეინის დაცლაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო". საარის ოლქის შესახებ წარმოებული მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან საფრანგეთი უდიდეს თანხას მოითხოვს საარის რაიონის სამაგიეროდ.

გერმანია დათმობათა დაღმართზე დაეშვა და ჰააგის მეორე კონფერენციაზე მიდის ბევრად უფრო ცუდ პირობებში, ვიდრე იგი პირველ კონფერენციაზე მივიდა. გერმანიის დამონება ამერიკის კაპიტალის მიერ ახლა, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაშლილი ეკონომიური კრიზისის დროს, უფრო ენერგიულად იქნება ჩატარებული. იუნგის გეგმა, რომელიც გერმანიისათვის „შემსუბუქებად" მიაჩნდათ არა მარტო ბურჟუაზიასა და სოციალ-ფაშისტებს, არამედ კომპარტიის ზოგიერთ ოპორტუნისტულ ელემენტებსაც,— ეს გეგმა არაჩვეულებრივად აძლიერებს გერმანიის დამოკიდებულებას უცხოეთის კაპიტალისაგან, კერძოდ, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისაგან. გერმანია უფრო და უფრო ექცევა ამერიკის კაპიტალის კონტროლის ქვეშ.

იუნგი, რომლის სახელითაც მონათლულია უბადალებული გეგმა, ტყუილად არ არის ამერიკის „ჯენერალ ელექტრიკ კომპანი"-ს პრეზიდენტი. ეს კომპანია ამას წინად გაერთიანდა გერმანიის ელექტრონის საყოველთაო კომპანიასთან.

ის „მუხლმოდრეკილი ამბოხება", რომელიც გერმანიის ბურჟუაზიის ფაშისტურმა ფრთამ მოაწყო იუნგის გეგმის წინააღმდეგ, სრულებითაც არ მოასწავებს იმას, რომ გერმანიის მსხვილი ინდუსტრიის წარმომადგენელნი ნამდვილად ილაშქრებენ ამ გეგმის წინააღმდეგ. არ შეიძლება აგრეთვე სერიოზულად შეფასებული იქნას ის გარემოება, რომ გერმანიის ფინანსიურ დიქტატორად დასახელებული, რეიხსბანკის თავმჯდომარე შახტი—მორგანის კომისიონერი—არ მიდის ჰააგის კონფერენციაზე და თანახმაა ითამაშოს მხოლოდ „სპეცის" როლი რეპარაციების საქმეში. ეს არის მხოლოდ მარჯვე ფანდი მსხვილი კაპიტალისა, რომელიც სცდილობს გეგმა გაატაროს სოციალ-ფაშისტების ხელით. ასეთია სოციალ-მოღალატეთა ახლანდელი ისტორიული მისია: გზა გაუკაფონ ფაშიზმს.

ამავე დროს გერმანიის ბურჟუაზია იუნგის გეგმას იყენებს კაპიტალისტების „საგადასახადო ტვირთის" შესამსუბუქებლად და პროლეტარიატის ექსპლოატაციის გასაძლიერებლად. თვით იუნგის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს, რომ გერმანიამ ყოველწლიურად უნდა გადაიხადოს (პირველი 37 წლის განმავლობაში რეპარაციების ვეებერთელა თანხა—473.700.000 დოლარი წლიურად) დაახლოვებით ორი მილიარდი მარკა, გაუგონარ ეკონომიურ ტვირთს აკისრებს გერმანიის მშრომელთა ორ თაობას. ამავე დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატი პრემიერი ჰერმან მიულერი პარლამენტში აცხადებს ფინანსიურ პროგრამას, რომელიც ბურჟუაზიას უძღვნის „საშობაო საჩუქარს"--კაპიტალის გადასახადის ყოველწლიურად 1 მილიარდი მარკით შემცირებას. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ იუნგის გეგმის დროშის ქვეშ ძლიერდება კაპიტალისტური რაციონალიზაციის ტვირთი, რომელმაც უმუშევართა რიცხვი გერმანიაში უკვე სამ მილიონამდე აიყვანა. ყოველივე ეს ერთად აღებული ხელს უწყობს ფართო მასების უაღრესად სწრაფ გარევოლიუციონერებას და იმას, რომ პროლეტარულ მასებში სწრაფად გაქრეს ილუზია, სოციალ-ფაშისტური „დემოკრატიის შესახებ. გერმანიაში თანდათან ახლოვდება პროლეტარული რევოლიუცია.

იუნგის გეგმის ირგვლივ შექმნილი ვითარება აშკარად მოწმობს, რომ გერმანია წარმოადგენს იმ პუნქტს, სადაც ყველაზე უფრო მწვავედ იჩინეს თავი მესამე პერიოდის ძირითადმა წინააღმდეგობებმა. გერმანიის რეიხსვერის ერთ-ერთმა უმაღლესმა თანამდებობის პირმა, რომელიც გამოხატავს გერმანიის გაბატონებული კლასების ცხოველურ შიშს მოახლოვებული რევოლიუციონური გრიგალის წინაშე, ტყუილად არ განაცხადა ჯარისკაცური პირდაპირობით: „ჩვენ სახელმწიფოს გაკოტრების წინაშე ვდგევართ. 1930 წლის განმავლობაში, გაჭირვების და იუნგის გეგმის შედეგების გამო, არეულობას უნდა მოველოდეთ"-ო.

გერმანია ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას წარმოადგენს თავისი მრეწველობისა და თავისი საწარმოო-ტექნიკური აპარატის სიძლიერით, მაგრამ ამასთან იგი ამჟამად, ინდოეთსა და ჩინეთთან ერთად, წარმოადგენს იმპერიალისტური ჯაჭვის ერთ-ერთ სუსტ რგოლს. „კაპიტალის ფრონტი გაწყდება იქ, სადაც იმპერიალიზმის ჯაჭვი უფრო სუსტია, ვინაიდან პროლეტარული რევოლიუცია არის შედეგი მსოფლიო იმპერიალისტურ ფრონტის გაწყვეტისა, მის უფრო სუსტ ადგილზე" (ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები"). გერმანია ერთ-ერთ ასეთ სუსტ რგოლს წარმოადგენს და აქ არის კაპიტალიზმისათვის პირდაპირი, უშუალო საფრთხე იმპერიალისტური ჯაჭვის გაწყვეტისა.

კაპიტალისტები, სოციალ-ფაშისტები და კომუნიზმის მემარჯვენე და „მემარცხენე" რენეგატები შეეცდებიან განმარტონ ჰააგა № 2, როგორც შეთანხმება, რომელიც ანელებს იმპერიალისტურ წინააღმდეგობებს და ამაგრებს კაპიტალისტურ სტაბილიზაციას.

გერმანიის რევოლიუციონური მუშები, რომლებსაც სძარცვავს საკუთარი ქვეყნის და საერთაშორისო იმპერიალიზმი, ძალიან მალე თავიანთ ზურგზე გამოსცდიან ამ „შეთანხმების" მთელ მშვენიერებას. ჰააგა №2 იქნება მხოლოდ ეტაპი იმ გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლების მოახლოვებისა, რომელნიც შეარყევენ კაპიტალისტური გერმანიის და მთელ იმპერიალისტურ მსოფლიოს შენობას.

„პრავდა"
3 იანვარი.

მაკდონალდის მთავრობა რეპრესიებით ემუქრება ინდოეთს

წინააღმდეგობა ჩან კაი-შისა და ენ სი-შანს შორის იზრდება

გერმანიის მთავრობის წევრები ფინანსიური კრიზისის შესახებ

6 იანვარს ბერლინში დაიწყება ყალბი ჩერვონცების დამმზადებელთა გასამართლება

ინგლისი და ინდოეთი

26 იანვარს ინდოეთში ეწყობა დემონსტრაციები

ლონდონი, 2 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „როგორც გვატყობინებენ, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ახალმა კომიტეტმა დაავალა თავის თავმჯდომარეს—წინადადება მისცეს კონგრესის ყველა წევრებს, რომლებიც საკანონმდებლო კრებების წევრნი არიან, დაუყოვნებლივ გადადგნენ.

შემდეგ კომიტეტმა დაადგინა—26 იანვარს მთელს ინდოეთში მოაწყოს დემონსტრაციები კონგრესის დადგენილებათა პოპულარიზაციის მიზნით. კომიტეტი სასურველად სცნობს დროებით ცხოვრებაში არ გატარდეს „სამოქალაქო ურჩობის" ლოზუნგი, რათა მთავრობის რეპრესიულ ღონისძიებებთან შეფარდებით განისაზღვროს მოძრაობის ხასიათი.

ინგლისის პრესა ინდოეთის კონგრესის დადგენილებათა შესახებ

ლონდონი, 2 იანვარი. კონსერვატორების ორგანო „მორნინგ პოსტ" აცხადებს, რომ ინდოეთის ნაციონალური კონგრესის რეზოლიუცია ნიშნავს დაბრკოლებას მთავრობის პოლიტიკისას, რომელიც პანიკურ ხასიათს ატარებდა. გაზეთის სიტყვით, ინდოეთისათვის თვითმმართველობის უფლების მინიჭება მოასწავებს მონარქიას, რომლის აუცილებელი შედეგი იქნება სამოქალაქო ომი.

„ტაიმს" აცხადებს, რომ, ეჭვს გარეშეა, კონგრესი წარმოადგენს ინდოეთის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს. კონგრესის მიერ უარის თქმა ინგლის-ინდოეთის კონფერენციაზე არ ნიშნავს კიდევ ამ კონფერენციის ჩაშლას.

კონსერვატიული „დეილი მეილ" ფიქრობს, რომ „შეთქმულება, რომელსაც ლალოტს ამზადებენ, გამოიწვია ინდოეთის მთავრობის სისუსტემ". გაზეთი მოითხოვს დაჩქარებით უარის თქმას მეფის ნაცვლის დეკლარაციის პრინციპებზე, ვინაიდან „წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი კატასტროფაა მოსალოდნელი".

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ" ფიქრობს, რომ კონგრესის დადგენილებები პერსპექტივებს უშლის ინდოეთის ზომიერ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც უნდა შეკავშირდნენ და ჩამოაყალიბონ თავისი პროგრამა—ინგლისის თვალსაზრისის მხედველობაში მიღებით.

მთავრობის ორგანო „დეილი ჰერალდ" აცხადებს, რომ „სამოქალაქო ურჩობის" განხორციელების ცდები მარცხით დამთავრდება და განხეთქილებას გამოიწვევს კონგრესის წევრებს შორის. „ინგლისის მთავრობის პოლიტიკა,—სწერს გაზეთი,—უცვლელი დარჩება. ძალადობის გამოყენების ყოველგვარი ცდა მტკიცე წინააღმდეგობას შეხვდება". გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ განდი შეიგნებს თავის შეცდომას და დასთანხმდება მთავრობასთან თანამშრომლობაზე.

ინგლისის კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერ" აღნიშნავს, რომ მღელვარე სცენები, რომლის პირობებშიც მოხდა ლაგორის კონგრესის გადაწყვეტილებების მიღება, წარმოადგენენ მხოლოდ ინდოეთის მუშათა და გლეხთა მასების რევოლიუციონური მოძრაობის მძლავრი ტალღის გამრუდებულ ანარეკლს. კონგრესის ბურჟუაზიული ლიდერები რევოლიუციონური მასების ზეგავლენით იძულებული შეიქნენ ისე მოეჩვენებინათ თავი, თითქო ებრძვიან ინგლისის იმპერიალიზმს. განდი, ნერუ და ბოზე ისეთი ხალხია, რომლებსაც ინდოეთის რევოლიუციონური მასები დიდი ხანია იცნობენ, როგორც მოღალატეებს. მათ არა ერთხელ ჩაუშლიათ მუშების და გლეხების მასიური ბრძოლა. გაზეთი მოუწოდებს მუშათა და გლეხთა მასებს და ინდოეთის ნამდვილი დამოუკიდებლობის მომხრეებს—„სამოქალაქო ურჩობის" პროგრამა განახორციელონ პოლიტიკური გაფიცვების ჩატარების, საიჯარო გადასახადის და სხვა გადასახადების შეტანაზე უარისთქმის გზით. (ადს).

„კონგრესის დემოკრატიული პარტია"

ლონდონი, 2 იანვარი. კონგრესის 30 წევრი, რომლებიც ინდოეთის კონგრესის კომიტეტიდან გამოვიდნენ ნიშნად პროტესტისა განდის ტაქტიკის წინააღმდეგ, მემარჯვენე ფრთას ეკუთვნის. მათ რიცხვშია ინდოეთის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე ბოზე. მათ გადასწყვიტეს შექმნან საკუთარი პარტია—„კონგრესის დემოკრატიული პარტიის" სახელწოდებით. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ენ სი-შანმა ჯილდო მიიღო

შანხაი, 2 იანვარი. სახელმწიფო საბჭომ გამოაქვეყნა იმ პირთა სია, რომელთაც ნანკინის მთავრობისაგან მიიღეს ჯილდო „მანჯურიაში საბჭოთა კავშირის შეტევის წინააღმდეგ ბრძოლისათვის". სიაში შეტანილია აგრეთვე ენ სი-შანი. (ადს).

ენ სი-შანის გავლენა იზრდება.

ნიუ-იორკი, 2 იანვარი. „იუნაიტედ პრესს" აქვეყნებს პეკინიდან მიღებულ სენსაციურ ცნობას იმის შესახებ, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია კავშირის გაწყვეტა ენ სი-შანსა და ჩან კაი-შის შორის.

ცნობაში ნათქვამია, რომ ენ სი-შანის კონტროლი თანდათან ვრცელდება ჩრდილოეთ პროვინციების უმრავლესობაზე.

შანსი, სეიუანი, ჩახარი და ხენანის დიდი ნაწილი უკვე მის ხელშია. მოსალოდნელია აგრეთვე შანდუნის პროვინციის გადასვლა ენ სი-შანის ხელში. ცნობის თანახმად, ენ სი-შანი მოქმედებს ზოგიერთ სხვა გენერლებთან, მათ შორის ჩან სუე-ლიანთან, შეთანხმებით.

ყალბი ჩერვონცების დამმზადებელთა გასამართლება

ბერლინი, 2 იანვარი. ექვს იანვარს ბერლინში იწყება პროცესი ყალბი ჩერვონცების დამმზადებლების, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ხელის შეშლას საბჭოთა ვალიუტის სტაბილიზაციისათვის. მთავარი ბრალდებულებია ქართველი ემიგრანტები ქარუმიძე და სადათიერაშვილი (ადს).

ეკონომიური კრიზისი შეერთებულ შტატებში

გაკოტრებამ მასიური ხასიათი მიიღო.

ვაშინგტონი, 2 იანვარი. 1929 წლის განმავლობაში ამერიკაში 19.788 გაკოტრება მოხდა. (ადს).

ოფიციალური ოპტიმიზმი

ვაშინგტონი, 2 იანვარი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა, აგრეთვე საფაბრიკო-სამრეწველო წრეების ცნობილმა წარმომადგენლებმა ისარგებლეს ახალი წლის დადგომით და გამოაქვეყნეს თავიანთი ოპტიმისტური განცხადებანი. არც ერთ განცხადებაში არაფერია ნათქვამი ეკონომიურ კრიზისზე. პირიქით, 1930 წლისათვის ისინი წინასწარმეტყველებენ ოპტიმისტურ პერსპექტივებს.

ამერიკის შრომის რეფორმისტული ფედერაციის ხელმძღვანელებიც ამტკიცებენ თავიანთ საახალწლო მიმართვაში, რომ 1930 წელიწადი „კარგი წელიწადი" იქნებაო. (ადს).

გერმანია გაკოტრების წინ

მღელვარებას მოელიან

ბერლინი, 2 იანვარი. რეიხსკანცლერმა გერმან მიულერმა და სამხედრო მინისტრმა გრენერმა ახალი წლის გამო გაკეთებულ განცხადებებში მეტად პესიმისტური აზრები გამოსთქვეს.

მიულერმა „კელნიშე ცეიტუნგ"-ის ფურცლებზე განაცხადა, რომ ახალ წელს გერმანიის მთავრობის ფინანსიური მდგომარეობა უფრო გაუარესდებაო.

გრენერი რეიხსვერისადმი საახალწლო მიმართვაში, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ გერმანიის ხალხი საგარეო და საშინაო პოლიტიკის სფეროში გადამწყვეტი ამბების წინაშე სდგას. ამავე დროს გრენერი აცხადებს: „რაც უფრო მეტად აირევ-დაირევა მდგომარეობა, მით უფრო მეტ სიმტკიცეს გამოიჩენს ჩვენი ჯარი".

„როტე ფანე"-ს ცნობით, შტეტინში დაბანაკებული რეიხსვერის ნაწილების უფროსმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ოფიცრებს: „გერმანიაში ჩვენ ვდგევართ მძიმე ამბების წინაშე. სახელმწიფოს გაკოტრება მოელის. ეს უფრო მეტ მოვალეობას აკისრებს რეიხსვერს. 1930 წლის განმავლობაში, გაჭირვების და იუნგის გეგმის შედეგების გამო, უნდა მოველოდეთ არეულობას. იმედი მაქვს, რომ ამ შემთხვევაში ოფიცრები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას". (ადს).

შახტმა უარი სთქვა ჰააგის კონფერენციაში მონაწილეობაზე

ბერლინი, 2 იანვარი. რეიხსბანკის დირექტორმა შახტმა საბოლოოდ უარჰყო გერმანიის მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ ის შესულიყო გერმანიის დელეგაციაში, რომელიც ჰააგის მეორე კონფერენციაზე იგზავნება. შახტი ეყრდნობა თავის ცნობილ მემორანდუმს და აცხადებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დასთანხმდება ჰააგაში წასვლას, თუ გერმანიის მთავრობა მიიღებს მის თვალსაზრისს საფინანსო საკითხებში (ადს).

მადაგასკარის რევოლიუციონერთა პროცესი

პარიზი, 2 იანვარი. 30 დეკემბერს ტანანარივოში (მადაგასკარზე) დაიწყო საფრანგეთის კოლონიალური ხელისუფლების მიერ მოწყობილი დიდი პროცესი, რომლის მონაწილეებსაც რევოლიუციონური შეთქმულების მოწყობას აბრალებენ. ბრალდებულნი უმეტესად ადგილობრივი მკვიდრნი არიან.

პროცესის სიმბოლოდ გამოიყენეს შემდეგი ფაქტები. ერთ ბრალდებულს, სოციალისტ დიუსაკს, უნდა წაეკითხა ლექცია საფრანგეთის ქვეშევრდომობის მიღების საკითხის შესახებ. ხელისუფლებამ ლექცია აკრძალა. ამისდა მიუხედავად, შენობის წინ შეიკრიბა 3.000 ადგილობრივი მოქალაქე. მათ მოინდომეს ძალით შესვლა დარბაზში.

მაშინ კომუნისტებმა—პლანკმა და ვიქტორომ წარმოსთქვეს სიტყვები და მოაწყვეს დემონსტრაცია. პროცესიამ, კომუნისტების მეთაურობით, ჩაიარა ქალაქის ქუჩებში ლოზუნგით: „მადაგასკარი—მადაგასკარელებს".

მოხდა შეტაკება ჯართან. დააპატიმრეს სამი ადგილობრივი მკვიდრი, მაგრამ ხალხმა ისინი მაშინვე გაათავისუფლა. კოლონიალურმა ხელისუფლებამ დემონსტრაციის დაშლა შესძლო მხოლოდ დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ.

ბრალდებულებს იცავს რემედასის მიერ გაგზავნილი ვექილი ფუარენი. (ადს).

მუშათა ბრძოლა

გაფიცვა გემ „სენ-ლუი"-ზე

პარიზი, 2 იანვარი. პროტესტის ნიშნად იმ აუტანელ მძიმე პირობების წინააღმდეგ, რომლებიც თავზე მოახვია მეზღვაურებს რეფორმისტული პროფკავშირის ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილმა შეთანხმებამ, გემ „სენ-ლუი"-ს მეზღვაურები გაიფიცნენ და ნაპირზე გადავიდნენ დიუნკირხენში. გემის პატრონებმა შეაგროვეს შტრეიკბრეხერები—უმუშევარი მეზღვაურები. მეზღვაურთა უნიტარულმა პროფკავშირმა შტრეიკბრეხერები გემზე არ აუშვა (ადს).

გაფიცვა პროტესტის ნიშნად

ნიუ-იორკი, 2 იანვარი. პენსილვანიის შტატის ნორტჰემპტონის რაიონში მეხუთე კვირა გრძელდება წინდების მქსოველ საწარმოთა მუშების გაფიცვა. გაფიცვა გამოცხადდა პროტესტის ნიშნად იმ მუშების დათხოვნის წინააღმდეგ, რომლებმაც სასამართლოს განუცხადეს, რომ მრეწველები იძულებენ მათ ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას, რომელიც მათ რეფორმისტულ პროფკავშირში შესვლასაც კი უკრძალავს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაფიცვის საპასუხოდ დაიწყო მუშების მასიურად დაპატიმრება. ამ დღეებში დააპატიმრეს 25 მუშა გაფიცულთა პიკეტებში მონაწილეობისათვის (ადს).

გაფიცვის შეწყვეტა

პარიზი, 2 იანვარი. შამპანიაკ-მინის შახტის მუშების საგაფიცვო კომიტეტმა განკარგულება გასცა გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. მუშების მოთხოვნები—ხელფასის გადიდება და დათხოვნილთა უკანვე მიღება—დაუკმაყოფილებელი დარჩა. დამქირავებლებმა სხვადასხვა მახინაციებით განხეთქილება ჩამოაგდეს გაფიცულ მუშებს შორის, რამაც გამოიწვია გაფიცვის შეწყვეტა. (ადს).

ამერიკელი მფრინავების ძებნა

მოსკოვი, 3 იანვარი. დამსახურებული მფრინავი გრომოვი თავისი ეკიპაჟით სასწრაფოდ ემზადება ხაბაროვსკში გასამგზავრებლად. მოსკოვში დაჩქარებით მზადდება გრომოვის ექსპედიციისათვის საჭირო მოწყობილობა. (ადს).

ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის აქტიური მონაწილის დაპატიმრება

აშხაბადი, 3 იანვარი. გამოააშკარავეს და დააპატიმრეს ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის აქტიური მონაწილე გლადირევი—იმიერკასპიის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის და ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის ორგანიზატორის ესერ ფუნტიკოვის ყოფილი ადიუტანტი. გლადირევი სხვისი გვარით იმალებოდა. გამოძიება სწარმოებს (ადს).

შირაქის ნავთი

მუშაობის დაჩქარება ნავთიან რაიონში

მოსკოვი, 3 იანვარი. „სოიუზნეფტ"-მა გადასწყვიტა—მაქსიმალურად გააცხოველოს წელს მუშაობა შირაქის ნავთიან რაიონში. არსებული ერთი ჭაბურღილი უკვე იძლევა უმაღლესი ხარისხის ნავთს. (ადს).

შირაქის ნავთის პერსპექტივები

საუბარი „სოიუზნეფტის" გამგეობის თავმჯდომარესთან

მოსკოვი, 3 იანვარი. „სოიუზნეფტის" გამგეობის თავმჯდომარემ საუბრის დროს განაცხადა:

„პროფესორ გოლუბიატნიკოვის გამოკვლევით, შირაქის ველზე, მირზაანის რაიონში, მოიპოვება 22 ნავთიანი ფენა, რომელთა საერთო სიმძლავრეც 200 მეტრამდე აღწევს. ამჟამად მირზაანში მუშაობას უძღვება „საქ. ნავთშენი". ფიქრობენ, რომ ნავთიანი ადგილების ფართობი დაახლოებით 30 კილომეტრს უდრის, სადაც განზრახულია ფართო საგამომკვლევო მუშაობა.

შირაქის ველი კვლევა-ძიების ძვირფას ობიექტს წარმოადგენს.

„სოიუზნეფტი" მიმდინარე წელს ამ რაიონში იწყებს საძიებელ მუშაობას იმ ვარაუდით, რომ ორი წლის განმავლობაში დამთავრდეს მირზაანის და პატარა შირაქის გამოკვლევა, ხუთწლედის დამლევისთვის შირაქის ველზე ნავთის ამოღება აყვანილი იქნება 500.000 ტონამდე წელიწადში. ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც შირაქის ნავთიანი რაიონის ინტენსიურ კვლევა-ძიებას იწვევს, წარმოადგენს იმ ნავთის მაღალი ღირსება, რომელიც მირზაანის ჭაბურღილიდან არის ამოღებული. ეს ნავთი შეიცავს ბენზინისა და დაწმენდილი ნავთის დიდ რაოდენობას—38 პროცენტზე მეტს. მარტო ბენზინის გამოსავალი 15 პროცენტს აღემატება.

შირაქის ნავთიანი რაიონის გეოგრაფიული მდგომარეობაც ფრიად ხელსაყრელია. შირაქის შეერთებას ბათომ-ბაქოს ნავთსადენ მილთან არავითარი განსაკუთრებული დაბრკოლება არ გადაეღობება. ყოველივე აღნიშნულის გამო, „სოიუზნეფტი" ამ რაიონში აძლიერებს კვლევა-ძიებას. (ადს).

საუბარი ნავთის ინსტიტუტის დირექტორთან ამხ. გუბკინთან

მოსკოვი, 3 იანვარი. ნავთის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა გუბკინმა საუბრის დროს განაცხადა:

„შირაქის ნავთი დიდი ხანია ცნობილია თავისი მრავალი წყაროთი. ჯერ კიდევ რევოლიუციის წინა ხანებში უცხოელი მკვლევარები აღნიშნავდნენ იმ უდიდეს შესაძლებლობას, რომელსაც იძლეოდა შირაქის ველი ნავთის მრეწველობის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, იქ ნავთის ამოღება მცირე რაოდენობით და პრიმიტიული წესით ხდებოდა. უკანასკნელ წლებში შირაქში მუშაობდა ბელგიის საზოგადოება, რომელსაც კონცესია ჰქონდა აღებული ერთ-ერთ ნავთიან რაიონში. მან გათხარა 500 მეტრის სიღრმის ჭაბურღილი, [illegible] გამო მუშაობა ვერ მიიყვანა ბოლომდე და დაარღვია საბჭოთა მთავრობასთან დადებული პირობები. საზოგადოებასთან დადებულმა ხელშეკრულებამ ძალა დაჰკარგა.

გათხრილი ჭაბურღილიდან მთელი წლის განმავლობაში ნავთი თავის თავად გადმოდიოდა და იღვრებოდა. ამჟამად საბჭოთა კავშირის წინაშე დაისვა გადაუდებელი ამოცანა შირაქის ველის ნავთიანი რაიონების გამოყენების შესახებ.

საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კვლევა-ძიების ხელსაყრელი შედეგების პირობებში შირაქის ველი შეიძლება საბჭოთა კავშირის ერთ უმნიშვნელოვანეს ნავთიან რაიონად გადაიქცეს, შეიძლება მან დიდი სამრეწველო მნიშვნელობა მოიპოვოს.

ნავთის მრეწველობის ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით, რომლითაც ნავთის ამოღებამ ხუთწლედის დამლევისათვის 40—50 მილიონ ტონამდე უნდა მიაღწიოს, საჭიროა შირაქის ველზე ჩატარებულ იქნას ფართო კვლევა-ძიება, ხოლო შემდეგ საექსპლოატაციო მუშაობაც.

გამოკვლეულ ფართობზე, წითელ წყაროს რაიონში, განზრახულია 10 საექსპლოატაციო ღრმა ჭაბურღილის გათხრა, თვითეული 600 მეტრამდე, ხოლო მახლობელ ადგილებში — 18 ღრმა ჭაბურღილის გათხრა 600—700 მეტრამდე. ეს მუშაობა ჩატარებულ უნდა იქნას მახლობელი ორი წლის განმავლობაში, ამასთან უნდა გაითხაროს კიდევ ორი სტრუქტურული ხასიათის საძიებელი ჭაბურღილი, თვითეული 800 მეტრის სიღრმით.

პატარა შირაქის რაიონში 1930—31 წელს განზრახულია 20 საძიებელი ჭაბურღილის გათხრა, ხოლო 1932—33 წელს—ოთხი საძიებელი ჭაბურღილის გათხრა 1.000 მეტრამდე. მესამე რაიონში განზრახულია 6 საძიებელი ჭაბურღილის გათხრა 1.000 მეტრამდე. უახლოეს დროში წითელ წყაროს რაიონში დაიწყება სამი ჭაბურღილის გათხრა. გადასწყდა დაუყოვნებლივ გაიგზავნოს შირაქის ველზე გეოლოგიური და ტოპოგრაფიული ჯგუფები.

ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია კვლევა-ძიების და საექსპლოატაციო მუშაობის იმ დიდი პროგრამისა, რომელიც ნავთის გეოლოგების ყრილობამ წარმოადგინა.

ნავთის საქმე,—აღნიშნა აკადემიკოსმა გუბკინმა,—აუცილებლად დაკავშირებულია საწარმოო რისკთან და იგი მოითხოვს დიდ ხარჯებს და დაბანდებას კვლევა-ძიების სამუშაოებზე. არ შეიძლება უკან დახევა იმ შიშით, რომ ზოგ ადგილას კვლევა-ძიება დადებით შედეგს არ გამოიღებს. ეს შეეხება ნავთის ყველა რაიონებს, განსაკუთრებით შირაქის ველს. (ადს).

გავაცხოველოთ სამზადისი გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის

ამიერ-კავკასიის ცაკის ყველა წევრებს და კანდიდატებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლოვდება მთელი ჩვენი ქვეყნის, მთავრობის ყოველი წევრის და ყოველი საზოგადოებრივ-საბჭოთა ორგანიზაციის წინაშე მდგომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულების ვადა. ეს ამოცანაა გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება.

ამ კამპანიას უნდა მივაკუთვნოთ უდიდესი მნიშვნელობა და მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში ძირითად ამოცანას წარმოადგენს ნათესი ფართობის გადიდება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებში.

ვიწყებთ რა ამ კამპანიის ჩატარებას, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ წარსული დეფექტები და ის დაბრკოლებანი, რომლებიც აფერხებდნენ კამპანიის მუშაობას.

წარსულ კამპანიაში, მთავრობის დირექტივების გეგმიანად განხორციელების ნაცვლად, ხშირად ადგილი ჰქონდა სოფლის საბჭოს წევრების შემთხვევით და სტიქიურ კრებებს, რომლებზედაც დღის წესრიგში და ისიც სულ ბოლოს თესვის კამპანიის საკითხიც ისმებოდა. ამ კრებებზე კმაყოფილდებოდნენ საქმისადმი ფორმალური მიდგომით, დეტალურად არ იხილავდნენ საკითხს და განხილვაში არ აბამდნენ მშრომელი გლეხობის ფართო ფენებს.

წარსულ თესვის კამპანიაში მეტად სუსტ მონაწილეობას იღებდნენ კოოპერატიული, საადგილ-მამულო და სოფელთან ახლო მდგომი სხვა ორგანიზაციები.

სოფლისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სათესლე მასალის მიმწოდებელ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა უთავბოლობა და არევ-დარევას. მანქანებს აკლდა სათანადო ნაწილები, იგზავნებოდა აშკარად უვარგისი თესლი, კრედიტები ნაწილდებოდა შეძლებულთა შორის და სხვ.

კულაკები მთელი თავიანთი ძალღონით სცდილობდნენ და ახლაც შეეცდებიან ჩაშალონ კამპანია, ხელი შეუშალონ ნათესი ფართობის გადიდებას, რისთვისაც მოჯამაგირეებსა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებს შორის გასწევენ აგიტაციას თავიანთი ჩვეულებრივი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედებით და ლოზუნგით—„სთესე შენთვის". მართალია, სოფლის ძირითადმა მასამ ღირსეული პასუხი გასცა მათ: კულაკების მიერ ნათესი ფართობის შემცირება ანაზღაურებულ იქნა კოლმეურნეობათა და ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობათა ნათესი ფართობის გადიდებით, მაგრამ, კამპანიის დაგვიანებით დაწყების გამო, ეს საკმაო წარმატებით ვერ მოხდა.

ოდნავ დაუდევრობამ და გულგრილ დამოკიდებულებამ ასეთ მნიშვნელოვან საკითხისადმი შეიძლება ჩაშალოს თესვის კამპანიისთვის წარმოებული მუშაობა.

ამიერ-კავკასიის ცაკის ყველა წევრებმა და კანდიდატებმა ყველაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებაში, რათა არ დაუშვან წარსული შეცდომების განმეორება.

ამ მიზნისათვის საჭიროა:

1. ფართოდ, სოფლის საბჭოების საშუალებით, ჩატარებულ იქნას ახსნა-განმარტებითი კამპანია სოფლის მოსახლეობის ძირითად მასაში, მოეწყოს საწარმოო თათბირები კოლმეურნეობათა წევრებთან და მოჯამაგირეებთან ერთად, მოწვეულ იქნას ღარიბ და საშუალო გლეხთა მასის კრებები, რომლებზედაც უნდა დაისვას და განხილულ იქნას კამპანიის ჩატარებისა და ნათესი ფართობის გადიდების გეგმა. ამ თათბირებსა და კრებებში ჩაბმულ უნდა იქნან აგრონომები, მასწავლებლები და საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივისტი კაცები და ქალები.

2. კულაკების აგიტაციას უნდა დაუპირისპირდეს მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ბლოკი. ამ ბლოკში საშუალო გლეხობის ჩაბმით საბოლოოდ უნდა გამოვამჟღავნოთ და ვამხილოთ კულაკები, როგორც მშრომელთა დაუძინებელი მტრები.

3. ამიერ-კავკასიის ცაკის ყველა ამ წევრებმა და კანდიდატებმა, რომელნიც კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობენ, უნდა გამოაცოცხლონ ეს ორგანიზაციები და მიაღებინონ მათ აქტიური მონაწილეობა ამ კამპანიის გეგმიანი წესით ჩატარებაში.

4. იმ დაუდევრობას, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი, ამ კამპანიაში ამიერ-კავკასიის ცაკის წევრებისა და კანდიდატების ძალღონით ბოლო უნდა მოეღოს. ამიერ-კავკასიის ცაკის წევრები და კანდიდატები განზე არ უნდა გაუდგნენ ამ კამპანიას, მათ კონტროლი და დახმარება უნდა გაუწიონ სახელმწიფოს ადგილობრივ ორგანოებს—სოფლის საბჭოებს მთავრობის ყოველგვარი დირექტივების და, კერძოდ, ამ კამპანიის დირექტივების განხორციელების საქმეში. ამ კამპანიის, როგორც მთავრობის მნიშვნელოვანი დავალების, ჩატარება წინასწარ განხილულ უნდა იქნას საოლქო აღმასკომებში, რაიონულ და სოფლის საბჭოებში ამიერ-კავკასიის ცაკის წევრებისა და კანდიდატების მონაწილეობით. მათ უნდა შეადგინონ გეგმა თავიანთი კონკრეტული მონაწილეობისა ამ დავალების განხორციელებაში და მთელი თავიანთი მუშაობა თესვის კამპანიის ჩატარებაში უნდა შეუთანხმონ მუშათა ბრიგადებს.

5. ამ კამპანიაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი წარსულ უთავბოლობას სოფლისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სათესლე მასალის მიწოდების საქმეში. ამიერ-კავკასიის ცაკის წევრებმა და კანდიდატებმა სასტიკად უნდა ადევნონ თვალყური კრედიტების სოციალურ მიმართულებას, საჭირო და მოთხოვნილი სათესლე მასალის თავის დროზე მიღებას და ამ მასალის ხარისხის გაუმჯობესებას.

ამხანაგებო, მოაწყვეთ საბჭოთა საზოგადოებრიობის საშუალებით კონტროლი კრედიტების, თესლის და სხვ. წესიერად განაწილების საქმეზე, აგრეთვე იმაზე, რომ ადგილებზე თავის დროზე ღებულობდნენ კრედიტებს და თესლს. თვალყური ადევნეთ გაცემული სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენებას. მთელი ძალღონე და ენერგია მოახმარეთ თესვის კამპანიის ჩატარებას და ნათესი ფართობის გადიდებას.

პერიოდულად მიაწოდეთ ამიერ-კავკასიის ცაკს ინფორმაცია მუშაობის მიმდინარეობისა და ადგილებზე გაზაფხულის თესვის კამპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის თქვენ მიერ წარმოებული მუშაობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. დოლიძე.

გაზაფხულის თესვის კამპანია და აგრომუშაკების ამოცანები

ამხ. იაკოვლევის სიტყვა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაკთა კრებაზე.

მოსკოვი, 3 იანვარი. 2 იანვარს სამანქანო სატრაქტორო სადგურების დირექტორებისა და აგრონომების კრებაზე საბჭოთა კავშირის მიწადმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. იაკოვლევმა გააკეთა მოხსენება 1930 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიის შესახებ.

„ახლა,—სთქვა ამხ. იაკოვლევმა,—პურის მთელი რაოდენობა, რომელიც სახელმწიფოს სჭირდება, კოლექტიური მეურნეობებისაგან უნდა მივიღოთ. 1930 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიაში ჩვენ ნავარაუდევი გვაქვს, რომ ნათესი ფართობი გავადიდოთ 11 პროცენტით, ე. ი. 10 მილიონი ჰექტარით. გაზაფხულზე ინდივიდუალურ მეურნეობათა მიწის ფართობი უნდა შემცირდეს 20 მილიონი ჰექტარით, ხოლო კოლექტიურ მეურნეობათა ფართობი გადიდდეს 30 მილიონი ჰექტარით. უნდა უზრუნველვყოთ მოსავლიანობის ზრდა 8 პროცენტით.

უნდა შესრულდეს მიწადმოწყობის სამუშაოები; ზამთარში თავი უნდა მოუყაროთ მიწისმზომელთა და მიწისმომწყობთა მთელ კადრებს კოლექტიურ მეურნეობებში გასაგზავნად. მიწისმზომლებმა უნდა შეისწავლონ თხილამურებით სიარული, უნდა დაივიწყონ სტოლიპინის დროინდელი მიწისმოწყობის კანონები და კოლექტიურ მეურნეობას უნდა უჩვენონ მისი ტერიტორიის ნამდვილი საზღვრები.

ყოველი კოლექტიური მეურნეობის საწარმოო გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს კონტრაქტაციის გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. კონტრაქტაცია გულისხმობს ისეთი გეგმის შემუშავებას, როდესაც ყოველ კოლექტიურ მეურნეობას წინასწარვე ეცოდინება დავალებები, თუ როგორ მოამზადოს თესვისათვის მუშა ხელი, მანქანები, თესლი და სხვა.

კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციით და მუშათა კლასის ირგვლივ გლეხთა ღარიბი და საშუალო მასების დარაზმვით ჩვენ ვიწყებთ უდიდეს შეტევას მთელი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში.

ტრაქტორცენტრის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მარკევიჩმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებისა და აგრონომების სახელით სიტყვა მისცა ამხ. იაკოვლევს, რომ სადგურის ყველა მუშაკები გააძლიერებენ თავიანთ შრომას და გადაჭარბებით შეასრულებენ პარტიისა და მთავრობის დავალებებს თესვის კამპანიის ირგვლივ.

მოსკოვი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჩუხნოვსკის მატარებელი ჩავიდა კრასნოიარსკში

მოსკოვი, 3 იანვარი. მფრინავი გრომოვი იტყობინება ჩუხნოვსკის მატარებლიდან, რომ ციმბირში არაჩვეულებრივად დიდი ყინვები დგას. თითქმის ყველა მატარებელი იგვიანებს 40 საათით. მიუხედავად ამისა ჩუხნოვსკის მატარებელი განსაკუთრებული სისწრაფით მიდის. ის წინ უსწრებს საჩქარო მატარებელს 48 საათით.

3 იანვარს ჩუხნოვსკის მატარებელი ჩავიდა კრასნოიარსკში, საიდანაც მან 15 წუთის შემდეგ განაგრძო თავისი მარშრუტით სვლა.

ცოცხალია თუ არა ეიელსონი?

მოსკოვი, 3 იანვარი. მოსკოვში ამჟამად გზაგავლით იმყოფება ცნობილი ამერიკელი მფრინავი კინგი.

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში კინგმა შემდეგი განაცხადა ყინულოვან ზღვებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ ამერიკელ მფრინავ ეიელსონის შესახებ:

ეიელსონი ცნობილი მფრინავია ამერიკაში. ის საუკეთესოდ იცნობს არქტიკის პირობებს. ჩემი აზრით, უდაოა, რომ ეიელსონი ცოცხალია. ის რამდენიმე კვირით სავსებით უზრუნველყოფილია სურსათ-სანოვაგით. ეიელსონს აღებული აქვს პირველობის პრიზი ჰარმანის მიერ მოწყობილ საჰაერო შეჯიბრებაზე. გარდა ამისა ეიელსონს რამდენჯერმე დიდი წარმატებით უფრენია არქტიკის ზღვებში.

თუ ჩუხნოვსკიმ გადაარჩინა ეიელსონი, აშკარაა, რომ ჩუხნოვსკი ჰარმანის პრიზის პირველი კანდიდატი იქნება.

მეცნიერების მუშაკების მონაწილეობა სახ.-სამ. კამპანიაში

მოსკოვი, 3 იანვ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერების მუშაკთა კოლექტივმა გამოაცხადა თვითმობილიზაცია. კოლექტივი აცხადებს, რომ ის მზად არის მიიღოს სათანადო მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში. კოლექტივი ამავე მიზნით შეჯიბრებაში იწვევს სხვა უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერ მუშაკების პერსონალს.

6 იანვარს, საღამოს 6 საათზე, საქართ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში

შესდგება

საქ. კომპარტიის (ბ) თბ. საოლქო კომიტეტის

მე-9 გაფართოებული პლენუმი

დღის წესრიგი:

1. უჯრედების ბიუროების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია.
2. შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შედეგები და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმა.

სავალდებულოა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და რაიონული კომიტეტების წევრების და კანდიდატების, კომუჯრედების მდივნების, კავშირების ცენტრალურ გამგეობათა თავმჯდომარეების და კომუნისტ-სამეურნეო მუშაკების დასწრება აუცილებლად.

საქ. კომპარტიის (ბ) თბ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი.

შაბათ, 4 იანვარი 1930 წ. № 3 (2651)

მესაქონლეობის რეკონსტრუქცია გადაუდებელი ამოცანაა.

დავაჩქაროთ მსხვილი მესაქონლეობის განვითარება საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში

განსაკუთრებული ყურადღება სამრეწველო ნედლეულის და ხორცის პრობლემის გადაჭრას

გავაძლიეროთ სოციალისტური სექტორი მესაქონლეობაში

(მესაქონლეობის კოოპ. კავშირის მუშაობის გეგმა)

კლასიური მტრის ხრიკები

როგორც მთელი სოფლის მეურნეობის, ისე მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის— მესაქონლეობის რეკონსტრუქციას და კოლექტიურ საფუძველზე მოწყობას მრავალი დაბრკოლებანი ეღობება წინ. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის **გაძლიერებული კლასიური ბრძოლა**, რომელიც ამჟამად სწარმოებს სოფლად. კლასიური მტერი, ხედავს რა მეურნეობის განსაზოგადოების სწრაფ ტემპს, ყოველ ღონისძიებას ხმარობს მის შესაფერხებლად; მესაქონლეობაში ის, სხვათა შორის, მიმართავს მსხვილი ცხვრის ფარების განადგურებას და მიერეკება მათ სასაკლაოსაკენ, რომ ამით მოგვისპოს საუკეთესო თუშური ცხვრის ჯიშისა და კოლექტივიზაციის ბაზა. როდესაც სახელმწიფო ორგანიზაციები შეუდგნენ გასაყიდი ცხვრის შესყიდვას, კულაკი ახალ ტაქტიკას ადგება: მას დამყავს თავის მეურნეობა ღარიბ ფენამდე და წინადადებას იძლევა, რომ ასი ცხვრით დაუშვან კოლექტივში. ეს იმას ნიშნავს, რომ მტერმა ფერი იცვალა, მას უნდა ამით მიინიჭოს ყველა უფლებები საშუალო და ღარიბი გლეხობისა და შემდეგ ის **შიგნიდან დაიწყებს დაუღალავ მუშაობას კოლექტივების ასაფეთქებლად.** ამას ანგარიში უნდა გაუწიონ მესაქონლეთა ამხანაგობის ძირითად წევრებმა და თავის დროზე მიიღონ სათანადო ზომები კულაკების უთვალავი ხრიკების **ძირ-ფესვიანად აღმოსაფხვრელად.**

საძოვრები

მთავარ დაბრკოლებას მესაქონლეობის განვითარებისათვის წარმოადგენს **საძოვრების საქმის მოუგვარებლობა.** არსებული საძოვრები არ ყოფილა აქამდე შესწავლილი, არ ყოფილა წარმოებული მუშაობა საძოვრების გასაუმჯობესებლად, საძოვრებზე აყენებდნენ იმდენ საქონელს, რამდენიც მოესურვებოდათ მესაქონლეებს. უკანასკნელი გარემოება აიხსნება იმით, რომ არ არის საკმაო საძოვრები და, მეორე —არ არის მითითებული სათანადო ორგანოების მიერ ამა თუ იმ საქონლით საძოვრების დატვირთვის მტკიცე ნორმა. არარაციონალურად გამოყენებით კი საძოვრები ჰკარგავენ კვებითი წონას და რამდენიმე ხნის შემდეგ სულ უვარგისი ხდებიან. საძოვრების ამ პირობებში დატოვება ყოვლად დაუშვებელია იმ დროს, როდესაც ჩვენი მესაქონლეობა, როგორც კულტურულად, ისე სოციალურად გარდაქმნა—გარდატეხის პროცესში იმყოფება. ეს გარემოება მტკიცედ უნდა ახსოვდეს იმ ორგანოებს, რომელთა მოვალეობას შეადგენს საძოვრების გაუმჯობესება.

მეცხვარეობა

არსებული ცხვრის ჯიშის გასაუმჯობესებლად, როგორც ხორცის და რძის, ისე უმთავრესად მატყლის მხრივ, დაწყებულია მეტიზაცია. გაუმჯობესების ობიექტს შეადგენს მერინოსის ყოჩი და თუშური დედალი ცხვარი. ჯერ-ჯერობით— ეს ხდება საცდელად დახურულ მეურნეობებში. ამის გამოსარკვევად, თუ რამდენად მისაღები იქნება ჩვენს პირობებში მთელი ჩვენი ცხვრის გადაჯიშება, მესაქონლეთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს ფართოდ შეისწავლოს ცდების არსებითი შედეგები და ამის მიხედვით ის განსაზღვრავს მუშაობის ტემპს.

მეცხვარეობის დარგში მიმდ. საოპერაციო წლის განმავლობაში განზრახულია **კოლმეურნეობის მოწყობა 107.000 ცხვარით**, რაც შეადგენს საქართველოს მთელი ცხვრის რაოდენობის 10 პროც. თუ მივიღებთ მხედველობაში ხუთწლიან გეგმას, სადაც გათვალისწინებულია კოლმეურნეობებში 50.000 ცხვრის გაერთიანება, რაც შეადგენს მთელი ცხვრის რაოდენობის 4 ნახ. პროც.,—მესაქონლეობის კავშირმა აქ აიღო ძლიერი ტემპი; რაც უნდა გაკეთებულიყო 5 წლის განმავლობაში, იმაზე **ორჯერ მეტის გაკეთება** განზრახული გვაქვს ერთ წელში. რასაკვირველია, ეს დიდი და რთული საქმეა, მაგრამ გეგმა შესრულებული უნდა იქნას მთელი 100 პროცენტით. რომ უზრუნველვყოთ ზემოაღნიშნული კოლმეურნეობის ცხვარი, საჭირო არის ახალი ბინის აგება, რაც შეადგენს 404.000 მანეთის ღირებულებას. აგრეთვე შეძენილ უნდა იქნას უხეში საკვები 168.000 მანეთის

ზოოტეხნიკურმა სადგურმა ცდებით მიაღწია განსაკუთრებულ შედეგებს თუშური ცხვრის გაუმჯობესებაში. თუშური ცხვარი, უზრუნველყოფილი საჭირო საკვებით და ზოოტეხნიკურ ყურადღებით, იპარსავს 100 პროც. მეტს, ვიდრე ამას გვაძლევს ჩვენი ცხვარი დღევანდელ პირობებში. კავშირს გეგმით გადაწყვეტილი აქვს აწარმოოს თუშური ცხვრის მასიური გაუმჯობესება, რისთვისაც კოლმეურნეობის ცხვრების საერთო რაოდენობიდან (107.000) გამოირჩევა 27.000 დედალი ცხვარი და დარჩება ცალკე საჯიშედ თვით კოლექტივებში. ამ რიცხვიდან გამოირჩევა 13 პრ. საუკეთესო დედალი ცხვრისა და მოეწყობა რაიონული მნიშვნელობის საჯიშეები ყველა არსებულ სარაიონო ამხანაგობებთან. როგორც კოლექტივების, ისე რაიონულ მნიშვნელობის საჯიშეები იქნება მესაქონლეობის კავშირის უშუალო ყურადღების და ხელმძღვანელობის ქვეშ. შემდეგ საჯიშეებიდან დედალი ცხვარი გარეული იქნება კოლმეურნეობის ფარებში მათი გასაუმჯობესებლად. აღნიშნულისათვის საჭირო არის ბინების, კონცენტრირებული და უხეში საკვების შესაძენად—42.892 მან.

ყოველწლიურად ცხვრის საერთო ფარებიდან გამოდის რამდენიმე პროცენტი „მანკიანი“, რომელსაც აქამდის ვერ ვიყენებდით რაციონალურად. აღნიშნულ პროცენტს დედალი ცხვრისას მიერეკებოდნენ სასაკლაოსაკენ და აქედან ძალიან მცირე სარგებლიანობას ვღებულობდით, როგორც ხორცის, ისე მატყლის მხრივ. წელს გადაწყვეტილი გვაქვს ხსენებული პროცენტი დედალი ცხვრისა, რიცხვით 11.000, იქნას შესყიდული, მოგროვებული და დაყენებული სათანადო ალაგას. უნდა იქნას შეძენილი 440 ყოჩი „სოუდგენპტონის“ და „შემპშირის“ ჯიშისა და შეჯვარებული მათთან. აქედან ჩვენ გვექნება ორნაირი სარგებლობა: ნაშენს (ბატკანს) გამოუვა საუკეთესო მატყლი და ხორცი; როგორც ბატკანი, ისე დედა ცხვარი გაიპარსება და შემდეგ იქნება გამოყენებული ხორცად. ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ მრეწველობას საუკეთესო ბატკნის მატყლით და ბაზარს საუკეთესო ხორცით.

მეცხვარეობის განსავითარებლად წინასწარ მუშაობისათვის საჭირო არის კრედიტი 250.000 მან.

თხის მნიშვნელობა

ჩვენს მესაქონლეობაში **თხას** თავისებური მნიშვნელობა აქვს: მხოლოდ თხას შეუძლია მაღალი ალპიური, ქვა-ხრიოკიანი და დაქანებული საძოვრების გამოყენება, თხა გვაძლევს ჯანმრთელ რძეს და შედარებით გემრიელ ხორცს. მიუხედავად ამისა, აქამდის არავითარი მუშაობა არ ყოფილა ჩატარებული ამ მნიშვნელოვან დარგში, როდესაც ადგილობრივი თხის შეჯვარებით და მაღალი ჯიშის მოშენებით ჩვენ შევეძლია დიდ შედეგებს მივაღწიოთ. განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოს ბუნებრივ და ეკონომიურ პირობებში წარმოადგენს ჩვენი თხის ანგორის თხასთან შეჯვარება. ანგორის თხა იძლევა სამჯერ მეტ ნაზ და ძვირფასს მატყლს, ვიდრე ჩვენი ადგილობრივი თხა, ამასთან რძის პროდუქციით არ ჩამოუვარდება მას. მესაქონლეობის კავშირს განზრახული აქვს დაიწყოს აღმოსავლეთ საქართველოში თხის მეტიზაცია, რისთვისაც პირველ ყოვლისა საჭირო არის შეძენილ იქნას ანგორის ჯიშის თხები და მოეწყოს სამშენებლო, ამისათვის საჭირო იქნება გრძელვადიანი სესხი 33.750 მან.

მსხვილფეხა საქონელი

მსხვილფეხა მესაქონლეობაში კავშირს აუცილებლად მიაჩნია გააუმჯობესოს არსებული ადგილობრივი ჯიში რძის და ნაწარმოების მხრით, აგრეთვე გააუმჯობესოს საკლავი და მუშა-საქონელი. მაგრამ, ვინაიდან აქამდის ვერავითარი რეალური შედეგები ვერ მოგვცა მიწსახკომის ცდებმა ამ დარგში, მომავალში კავშირს გადაწყვეტილი აქვს აწარმოოს არსებული ჯიშის გაუმჯობესება. ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები უნდა ეცადონ მოგვცენ ისეთი ჯიში, რომელზედაც დავეყრდნობით მსხვილფეხა საქონლის გაუმჯობესების საქმეში.

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა, სტატისტიკური ცნობების მიხედვით, საქართველოში აღწევს 1.023.000 სულს; აქედან ძროხები 817.000. როგორც ზევით ვსთქვი, არავითარი მუშაობა ჯიშის გასაუმჯობესებლად, კოოპერაციაში გასაერთიანებლად და კოლმეურნეობების ჩამოსაყალიბებლად ამ დარგში არ სწარმოებულა. **წლის განმავლობაში გაერთიანებულ უნდა იქნას 22.980 გლეხური მეურნეობა, 68.881 საქონლის რაოდენობით.** საჭიროა საქონლის აღნიშნული რიცხვი უზრუნველვყოთ კონცენტრირებული და უხეში საკვებით 842.000 მან. ღირებულებით, დანარჩენი კი იქნება ადგილობრივი მარაგი.

მეღორეობა

მეღორეობა საქართველოში სამომხმარებლო- სამრეწველო ხასიათისაა, და მის განვითარებას ჩვენს ეკონომიკაში, როგორც ხორცის და ქონის მიმწოდებელ ცხოველს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ხორცის მიწოდების მხრივ მეღორეობას პირველი ადგილი უჭირავს, იგი იძლევა მთელი ხორცის პროდუქციის 85 პროც. ღორის ჯიშობრივ გაუმჯობესების მეთოდად საქართველოში მიჩნეულია ადგილობრივი ღორების ინგლისის ღორებთან შეჯვარება. შეჯვარებისათვის საჭიროა ჯიშიანი ღორების სამშენებლოება. გარდა ამისა, მიმდინარე საოპერაციო წელში სამრეწველო მიზნით უნდა იქნას დაარსებული მეღორეობის ორი მეურნეობა, რომლებმაც დიდი როლი უნდა ითამაშონ მოსახლეობისათვის ხორცის მიწოდებაში; ამისათვის განზრახულია სამოცი ჯიშიანი ღორის შეძენა. გარდა ამისა, უნდა მოეწყოს ორი საჯიშე, თითოეულში რიცხვით 250 დედალი ღორი და 10 ინგლისური ტახი, რასაც დასჭირდება: ინვენტარი, მოვლა, საკვები, მოსამსახურეები და სხვა. სულ მეღორეობისათვის საჭირო არის გრძელვადიანი სესხი 1.401.446 მან. ამით ჩვენ შევსძლებთ გლეხ-კაცობას მივაწოდოთ ხელმისაწვდომ ფასებში ჯიშიანი საქონელი, რომლის რენტაბელობა თავის თავად აშკარაა.

საკლავი საქონელი

მომავალი წლისათვის ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მესაქონლეობის კავშირს გეგმაში შეტანილი აქვს **საკლავი საქონლის** დამზადება, დამზადებული უნდა იქნას 12.000 სული ძროხა და ხარი, 24.000 ცხვარი, 1500 კამეჩი, 8,000 ღორი. გარდა ამისა მსხვილფეხა საქონლის ტყავი 13.500 ცალი, ცხვრის და ღორის ტყავი 32.000 მან. სულ 8.000.000 მანეთის ღირებულების.

რძის ნაწარმოები

ის დიდი მოთხოვნილება, რომელიც არის რძის ნაწარმოებზე, სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული გეგმაში. ჩვენი მიზანი არის მშრომელი მომხმარებელი იყოს უზრუნველყოფილი საკმარისი და იაფ-ფასიანი პროდუქციით. პერსპექტიულ გეგმაში რძის პროდუქციის და კონტრაქტების ღირებულება შეადგენს 2.727.480 მან. დამატებით იქნება აშენებული რესპუბლიკის ფარგლებში 28 ყველ-კარაქის ქარხანა, რძის— 10 და 21 საყინულე, რისთვისაც საჭიროა კრედიტი 828.400 მან.

ნაწლავების დამუშავება

შემოსავლის საგრძნობ წყაროს წარმოადგენს ნაწლავების დამუშავება. გარდა იმისა, რომ ეს არის კომერციული თვალსაზრისით სარგებლიანი საქმე, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც ბაზრისა, ისე ადამიანისათვის. გადამუშავებულ ნაწლავებიდან აკეთებენ ყოველნაირ სიმებს მუსიკალური იარაღებისათვის, ქირურგიული ოპერაციის დროს მით უკერავენ ჭრილობას ადამიანს, მსხვილფეხა საქონლის ნაწლავები საჭიროა ძეხვების დასამზადებლად, სალტისონისათვის და სხვა. ნაწლავები არის ძვირფასი საექსპორტო საქონელი. სამწუხაროდ, აქამდის ჩვენმა გლეხობამ საკმაოდ არ იცოდა ნაწლავების დანიშნულება და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მათ დაგროვება-გადამუშავებას. მესაქონლეობის კავშირმა, გარდა არსებული პაველიონებისა, უნდა მოაწყოს მთელი რიგი სოფლებში პავილიონები ნაწლავების გადამუშავების მიზნით, არ უნდა დარჩეს ისეთი სოფელი და კუთხე, სადაც ნაწლავების გამოყენების საქმე არ იქნება სათანადო კალაპოტში ჩაყენებული. გეგმით გათვალისწინებულია 200.000 მანეთის ღირებულების ნაწლავების გადამუშავება.

ბეწვეული და ჯაგარი

ბეწვეულის და ჯაგრის,—ამ ძვირფასი საექსპორტო საქონლის დამზადებას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, ვიდრე აქამდის. მომავალ წელში უნდა იქნას დამზადებული 500.000 მანეთის ღირებულებისა, 50.000 მან. მეტი, ვიდრე გასულ წელს. და ის კერძოები, რომლებიც აქამდის ახერხებდნენ სხვადასხვა ხრიკებით მათ დამზადებას,—სრულიად უნდა იქნან განდევნილი ბეწვეულის და ჯაგრის დამზადების ასპარეზიდან.

მეტი ყურადღება მეცხენეობას

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის მეცხენეობას, მაგრამ მისი ჯიშის გასაუმჯობესებლად ჩვენში ძალიან ცოტაა გაკეთებული. მაგ., ჩვენში საკმაოზე მეტ ყურადღებას აქცევენ სადოღე ცხენების მოშენებას, რაც გლეხის მეურნეობისათვის არ არის საჭირო. ამ საკითხს უნდა ჩაუკვირდნენ ის ორგანიზაციები, რომელნიც დაინტერესებული არიან, რომ მიაწოდონ სოფლის მეურნეობას იაფი და გამძლე მუშა ცხენი.

კოოპერაციამ გლეხის მეურნეობისათვის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. პერსპექტიული გეგმით უნდა **შეკავშირებულ იქნას კოოპერაციაში 1.849 კომლი 8800 ცხენით.** ამ რიცხვიდან უნდა იქნას გამოყოფილი 190 ფაშატი და მოეწყოს რაიონული მნიშვნელობის საჯიშეები ყველა რაიონებში. პირველ ხანებში ამით ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ მივაღწევთ იმას, რაც საჭიროა, მაგრამ თანდათანობით მინიმალურად მაინც დაკმაყოფილებული იქნება ჩვენი სასოფლო მეურნეობის მოთხოვნილებები. ამ საქმისათვის საჭიროა კრედიტი 285,000 მან.

მერძევე მესაქონლეობის კავშირმა ფრიად დიდი და მნიშვნელოვანი გეგმა დაისახა გასატარებლად საოპერაციო წლის განმავლობაში, ამას დასჭირდება არა მარტო გამოცდილი და მტკიცე შემსრულებელნი, არამედ ამასთან ერთად დიდი თანხებიც, დასახულმა ღონისძიებებმა მოახდინონ არსებითი გარდატეხა ჩვენს მესაქონლეობაში. **მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს სოციალისტური სექტორის განვითარება-განმტკიცებას მესაქონლეობაში**, ეს თავის თავად ცხადია, ასეც უნდა იყოს.

კლასიური მტერი თავგამოდებით იბრძვის, რომ შეაფერხოს, გაგვიძნელოს სოციალისტური მშენებლობა. მესაქონლეობის ქსელში მომუშავე ამხანაგებმა უნდა დასჭიმონ ძარღვები, გააორკეცონ, მოიხმარონ მთელი ენერგია, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით დავსძლიოთ კერძო სექტორი და უზრუნველვყოთ სოციალისტური მშენებლობა ჩვენში.

გიორგი დევდარიანი.

მესაქონლეობის როლი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაში

ჩვენი სოფლის მეურნეობაში დაწყებულია ახალი ხანა, ხანა მისი ძირიან-ფესვიანად გარდაქმნისა სოციალისტურ საფუძველზე.

თვალსაჩინო როლი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაში, ეჭვგარეშეა, ითამაშეს თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებულ ძირითადმა ღონისძიებებმა, როგორიც არის ნათესის ფართობის გადიდება, მოსავლიანობის აწევა, აგრო-მინიმუმის შემოღება და სხვა.

სოფლის მეურნეობაში მთავარი ყურადღება მემინდვრეობას ექცეოდა. უკანასკნელად კი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაისვა მესაქონლეობის სწრაფი განვითარების საკითხიც. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ორ დარგს შორის ისეთი მტკიცე და ორგანიული კავშირია და მემინდვრეობა ისე არის დამოკიდებული მესაქონლეობისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი მემინდვრეობისაგან, რომ რომელიმე ამ დარგთაგანის განვითარების ტემპის შენელება სავსებით შეაფერხებს სოფლის მეურნეობაში დასახულ ამოცანების განხორციელებას. მემინდვრეობამ და მესაქონლეობამ უახლოეს ხანში უნდა შეავსონ ერთმანეთი. სოფლის მეურნეობის განვითარება, მისი საბოლოო სოციალისტურ-ტეხნიკური რეკონსტრუქცია შეუძლებელია გარეშე ამ დარგების ერთ და იმავე დროს გაძლიერებისა, გარეშე მათი ერთმანეთთან ზედმიწევნით შეფარდებისა; შეუძლებელია მემინდვრეობის გაუმჯობესება, მოსავლიანობის აწევა, თუ საწარმოვო შემოსავლიანი სამრეწველო მესაქონლეობა არ განვავითარეთ.

მესაქონლეობა ჩვენში ჯერ-ჯერობით იძლევა 96 პროც. გამწევ ძალას. (რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობას თანდათან ძირფესვიანად შეცვლის სოფლის მეურნეობის მექანიზაცია). მესაქონლეობა არის ნედლეული ბაზა მრეწველობისათვის (მატყლი, ტყავი, რქა, ძვალი). სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია ჩვენში აგებული უნდა იქნას რძის, კარაქის, ყველის და სარძე კონსერვებად გადამუშავებაზე, ღორის ხორცისა—ბეკონად, აგრეთვე მესაქონლეობის დანარჩენ პროდუქტების (ნაწლავები, სისხლი და სხვა) სათანადოთ გადამუშავებაზე. მესაქონლეობიდან მიღებული პროდუქტები—ხორცი, ქონი, რძე, კარაქი, ბეკონი, კვერცხი წარმოადგენენ ფართო მოსახლეობის ძირითად საკვებ მასალას. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ზოგიერთი საბჭოთა რესპუბლიკებში—მესაქონლეობის 2-ჯერ მეტ პროდუქტებს ხმარობენ, რაც, თავის თავად ცხადია, ხორბლეულის პროდუქციის ხმარებას დიდად ამცირებს. მესაქონლეობის პროდუქტების საკვებათ ფართოდ შემოღებით შედარებით შემცირებული იქნება საქართველოში ხორბლეული კულტურების მოთხოვნილება. ის მეურნეობა, რომელიც თანაბრად ემყარება მესაქონლეობას და მემინდვრეობას გაცილებით უფრო მკვიდრია. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ჩვენში, ვინაიდან საქართველოში მემინდვრეობა გვალვებისა და სხვა არახელსაყრელ კლიმატიურ პირობების გამო ხშირად ვარდება დიდ განსაცდელში.

მესაქონლეობის განვითარების წყალობით ხდება მემინდვრეობის გადახალისებაც უფრო მტკიცე საფუძველზე. ამას ხელს უწყობს საკვები ბალახების სწორი თესლთა ბრუნვისა და მრავალმინდვრიანობის შემოღება. ამასთან მესაქონლეობა იძლევა მიწის განაყოფიერებელ მასალას, რომელიც დიდად ესაჭიროება ჩვენს გამოფიტულ ნიადაგებს. გარდა ამისა, შინაური საქონელი რაციონალურად იყენებს მემინდვრეობის ანარჩენებს (ჩალა, ბზე და სხვ.) და აქცევს მათ ძვირფას პროდუქტად (ხორცი, რძე, კვერცხი და სხვ.)

მესაქონლეობის დარგის განვითარებით მუშა-ხელი დაბანდებულია ზამთარშიც, ე. ი. მთელი წლის განმავლობაში, მუშა ხელის განაწილება და გამოყენება ხდება თანაბრად. **მესაქონლეობის პროდუქციის გადამუშავების, გასაღების, ჯიშიან საქონლის სამოშენებლოების და საზოგადო საძოვრების ირგვლივ, გაცილებით ადვილია საწარმოო კოოპერაციის და კოლექტივიზაციის განვითარება.**

ყოველივე ამის გამო მესაქონლეობის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. როგორია ამ დარგის მდგომარეობა ჩვენში? მესაქონლეობამ რიცხვობრივად გადააჭარბა ომის წინა დროის დონეს, სახელდობრ მსხვილფეხა მესაქონლეობამ— 17 პროც.; კერძოდ ძროხების რაოდენობამ —35 პროც., მეღორეობამ —205 პროც., მეფრინველეობამ— 20 პროც. განსაკუთრებულ მდგომარეობაშია მსხვილი მეცხვარეობა. 1927 წლ. მესაქონლეობის ეს უმნიშვნელოვანესი რიცხვობრივ გაიზარდა 86 პროც., ხოლო უკანასკნელ წლებში, სტიქიური მოვლენების, საკვების სიმცირისა და სხვა მიზეზების გამო ცხვრის რაოდენობამ დაიკლო 3—4 პროცენტამდე.

მთელი საქონლის ღირებულება ამჟამად საქართველოში უდრის 800 მილიონ მანეთს, და ეს საქონელი ყოველწლიურად იძლევა 100 მილიონ მანეთის პროდუქციას.

ხორცის მიწოდების მხრივ საქართველოში პირველი ადგილი უჭირავს მეღორეობას (85 პროც.), შემდეგ მეფრინველეობას (27 პროც.), მსხვილფეხა მესაქონლეობას (21 პროც.) და მეცხვარეობა-მეთხეობას (17 პროც.). როგორც ნედლეულის მიმწოდებელს მრეწველობისათვის, პირველი ადგილი უკავია მეცხვარეობას, რომელიც იძლევა ყველაზე მეტ სასაქონლო პროდუქტს— მატყლს. მესაქონლეობის ყველა პროდუქტების ღირებულების მხრივ, პირველი ადგილი უჭირავს მსხვილფეხა მესაქონლეობას,— ეს დარგი იძლევა მთელი მესაქონლეობის პროდუქციის თითქმის 50 პროც., შემდეგ მისდევს მეფრინველეობა (17 პროც.), მეცხვარეობა და მეთხეობა (16 პროც.) და მეღორეობა (14 პროც.).

თუ ჩვენი საქონლის რიცხვობრივი ზრდა **შედარებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, სამაგიეროდ ძლიერ ჩამორჩენილი ვართ საქონლის ჯიშობრივ გაუმჯობესების მხრივ.**

ჩვენს საქონელს საერთოდ ახასიათებს მცირე პროდუქტივობა, მაშინ, როდესაც ზოგიერთ საბჭოთა რესპუბლიკებში და საზღვარ-გარეთ, საქონლის რიცხვობრივ ზრდასთან ერთად, ხდებოდა პარალელურად მათი ხარისხობრივი გაუმჯობესებაც, საქართველოში ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა.

ჩვენში ძროხა გლეხურ მეურნეობაში წლიურად იძლევა 35—40 ფუთ რძეს, მაშინ, როდესაც მოსკოვის ოლქში ძროხების წლიური წველადობა უდრის 150—200 ფუთს და საზღვარ-გარეთ მიღწეულია ცალკე ძროხების ნაყოფიერების რეკორდი 1,000 ფუთამდე.

ასეთივე მდგომარეობაა ჩვენში საქონლის ხორცის, მატყლის და კვერცხის გამოსავლიანობის მხრივ.

მესაქონლეობის გამოკვლევამ და ჩვენი საცდელი სადგურების დაკვირვებამ კი ცხადჰყო, რომ ჩვენი ადგილობრივი საქონელი, ჩაყენებული შესაფერ მოვლისა და კვების პირობებში, იძლევა თვალსაჩინო ეფექტს. ჩვენი ძროხა გლეხურ ექსტენსიურ მეურნეობაში იძლევა 30—40 ფუთ რძეს, მაშინ, როდესაც ამ საქონელმა, მხოლოდ უკეთეს კვების და მოვლის პირობებში ჩაყენებულმა, მოგვცა ას ფუთ რძეზე მეტი. ასეთივე მდგომარეობა არის მესაქონლეობის სხვა დარგებში. ამიტომ, გარდა რძის პროდუქციის გადიდებისა, ჩვენს უახლოეს ამოცანას უნდა შეადგენდეს ხორცის, მატყლის, კვერცხის გამოსავლიანობის გადიდება..

მესაქონლეობის დარგში ჩვენი ასეთი ჩამორჩენილობა იმით აიხსნება, რომ მესაქონლეობაში ბოლო დრომდე არ სწარმოებდა გეგმიანი ზოოტეხნიკური მუშაობა, მემინდვრეობაში— საკვები ბალახები არ იყო შეტანილი თესლთა ბრუნვაში, პროდუქტიულ საქონელს არ ეძლეოდა რძის გამომწვევი მძლავრი საკვები და ძირხვენა მცენარეები, არ არსებობდა ჯიშიანი საქონლის სამოშენებლოები და საგრილებელი პუნქტები, ნაკლებად იყენებენ სპეციალისტებს და ბოლოს აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალისტურ სექტორს მესაქონლეობაში ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

აგრონომ-ზოოტეხნიკოსი **რ. ნიჟარაძე.**

„ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გაშლილი ტემპი და მასთან დაკავშირებული ზრდა ქალაქების მოთხოვნილებისა ხორცის პროდუქტებზე, გლეხური სახორცე მესაქონლეობის ჩამორჩენა, მისი დაბალი საქონლიანობა და მცირე პროდუქტიულობა, რაც ინდივიდუალური მეურნეობის დაქუცმაცებისა და ჩამორჩენილობისაგან გამომდინარეობს, სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და სოციალისტური სექტორის უმნიშვნელო როლი მესაქონლეობაში საერთოდ და ხორცის სასაქონლო პროდუქციაში განსაკუთრებით — ყოველივე ეს გვისახავს გადაუდებელ ამოცანას —განვახორციელოთ მესაქონლეობის ბაზის ძირითადი რეკონსტრუქცია, რისთვისაც უნდა მოვაწყოთ მსხვილი სახელმწიფო ხორცის სამრეწველო საბჭოთა მეურნეობები. კოლმეურნეობებში განვითარდეს მესაქონლეობის საბაზრო წარმოება, ხორცის მრეწველობა აგებულ იქნას უცხოეთის ტეხნიკის უახლოესი მიღწევების საფუძველზე და აგრეთვე ხელი შეეწყოს სახორცე მესაქონლეობის განვითარებას ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებში.

ხორბლეული პრობლემის შემდეგ, რომლის გადაჭრის საქმეში პარტიამ პირველ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია, ხორცის პრობლემა წარმოადგენს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომლის გადაჭრის გარეშე არ შეიძლება აღმოფხვრილ იქნან დაბრკოლებანი მუშათა კლასისათვის სურსათის მიწოდების საქმეში“. (საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებიდან ხორცის პრობლემის შესახებ).

მეცხვარეობა ჩვენში და მისი განვითარების პერსპექტივები

მეცხვარეობის მნიშვნელობა

საქართველოს სახალხო მეურნეობაში მეცხვარეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს; მისი საერთო პროდუქცია შეადგენს მთელი სოფლ. მეურნეობის პროდუქციის 7,4 პროც. და მთელი მესაქონლეობის პროდუქციის 18 პროც. მეცხვარეობის მთელი პროდუქციის 36,6 პროც. წარმოადგენს სასაქონლო ნაწილს, მაშინ როცა სოფლ. მეურნეობის საერთო პროდუქციის მხოლოდ 22 პროც. ითვლება სასაქონლო ნაწილად. საქონლიანობა ყველაზე უფრო მატყლს ახასიათებს (67 პროც.) ამ ციფრებიდან აშკარაა მეცხვარეობის როლი, როგორც ბაზრისა, ისე შინაურ საჭიროებისათვის.

მოთხოვნილება ცხვრის პროდუქტებზე (მატყლი, ხორცი, რძე და ტყავი) დღითი დღე იზრდება, საფეიქრო მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება, რასაც ადგილი აქვს საერთოდ საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს მეცხვარეობას, ამ მრეწველობის ნედლეულით (მატყლის) უზრუნველყოფის საქმეში. მარტო თბილისის და ქუთაისის მაუდის ქარხნები საჭიროებენ 1930—31 წლისათვის 21,474 ტონა ადგილობრივ მატყლს, ამავე დროს კი მთელი ჩვენი მატყლის რაოდენობა 29—30 წ. საკონტროლო ციფრების მიხედვით უდრის 1,800 ტონას. როგორც ვხედავთ, ჩვენი მეცხვარეობა, თუ ის ახლანდელ მდგომარეობაში დარჩა, ვერ მოგვცემს მატყლის იმ რაოდენობას, რომელსაც ჯერ კიდევ ახლად ჩასახული ჩვენი მრეწველობა მოითხოვს, აქედან აშკარაა: ჩვენში მეცხვარეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ საფეიქრო მრეწველობისათვის საკუთარი ნედლეულის მტკიცე ბაზა შევქმნათ.

არა ნაკლები მნიშვნელობისაა ცხვრის ხორცი, რომელზედაც მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს. სამრეწველო ცენტრებში მოსახლეობის ზრდა, სახორცე მსხვილი რქოსანი საქონლის გაშენების სიძნელენი ჩვენს პირობებში, მშრომელთა საერთო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხ. ხელს უწყობენ ცხვრის გემრიელ ხორცზედ მოთხოვნილების ზრდას. ამის სურათს დღევანდელი კონიუქტურაც გვაძლევს.

დიდია აგრეთვე მოთხოვნილება ცხვრის რძის პროდუქტებზე (განსაკუთრებით ყველზე) და ტყავზე.

ზოგიერთი ციფრები

საქართველოში მეცხვარეობის მდგომარეობაზე წარმოდგენას მოგვცემს შემდეგი ციფრები: 1913 წ. ითვლებოდა 1.663,488 სული ცხვარი, რომელიც შემდეგ ამისა და სხ. არახელსაყრელ პირობების ზეგავლენით შემცირდა. მხოლოდ 1923 წლიდან იწყება ცხვრის რაოდენობის ზრდა, რამაც მნიშვნელოვნად გადააცილა ომის წინადროინდელ დონეს. 1917 წ. ითვლებოდა 1.414,445 ცხვარი; 1925 წ. —1,910,700; 1926 წ. დაახლოვებით 90 პროც. მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე და 10 პროც. დასავლეთ საქ. (აჭარისტანის, აფხაზეთის და ოსეთის ჩათვლით). სამიწადმოქმედო მეურნეობებთან დაკავშირებულია მთელი ცხვრების მთავარი რიცხვის 40 პროც. დანარჩენი 60 პროც. მოდის მეცხვარეობის მეურნეობებზე, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილს გააჩნია სახნავ-სათესი მიწები. ამის მიზეზად ჩაითვლება ბუნებრივი პირობები, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ მეცხვარეობის მეურნეობის განვითარებისათვის (მთაგორიანი ალპიური და სუბალპიური ზონები და დაბლობი ადგილები, სადაც სარწყავების უქონლობის გამო მიწადმოქმედება შეუძლებელია). მეცხვარეობის განვითარება 1927 წლამდე ხასიათდება ზრდით, ხოლო 1928 წლიდან კი მდგომარეობა შეიცვალა,—ადგილი აქვს შემცირებას, რამაც გავლენა მოახდინა მატყლის დამზადებაზეც (შემცირდა). შემცირების ტენდენცია უფრო აშკარად დაეტყო უკანასკნელ წელს; მიწსახკომის და მუშგლეხინის გამოკვლევით, 1928 წ. მთელს საქ—ში იყო 2,185,7 ათასი ცხვარი, ხოლო 1929 წ. კი 1.741 ათასი, —დაკლება უდრის 20 პროც. გასულ წელთან შედარებით. ამის მიზეზად პირველ ყოვლისა უნდა ჩაითვალოს სუსხიანი ზამთარი, რომლისთვისაც ვერ იყო წინასწარ მომარაგებული საჭირო საკვები და შესაფერი ბინები. ცხადია, ეს საგრძნობლად მიეწერა იმ ორგანოების მუშაობის სისუსტეს, რომელთაც უშუალოდ კავშირი აქვთ მეცხვარეობასთან. მაგრამ მარტო სუსხიანი ზამთრით არ აიხსნება ცხვრის შემცირება, ადგილი აქვს თვით მეცხვარეობის მიერ ცხვრის დიდი რაოდენობით გაყიდვას, რაც უკვე დაეტყო ბაზრის კონიუქტურას (1927—28 წ. თუშური ცხვარი ღირდა 15—18 მან., ამჟამად კი, მიუხედავად ფასების საერთო ზრდისა, ასეთივე ცხვარი ღირს—1216 მან.).

საძოვრების საკითხი

მეცხვარეობის შემცირება პირველ ყოვლისა დაკავშირებულია საძოვრების საკითხის მოუგვარებლობასთან. გასულ წლებთან შედარებით ადგილი აქვს საძოვრების შემცირებას; ასე, მაგ.: 1913 წ. იყო ზამთრის საძოვრები— 349 ათ. ჰექტარი, ხოლო 1928 წ.—249 ათ. ჰექტარი, (დაკლება უდრის 28,9 პროც.), ზაფხულის საძოვრები: 1913 წ.—387,7 ათ. ჰექტ., 1928 წ. კი 307,7 ათ. ჰექტ. (შემცირდა 9,0 პროც). აქედან სჩანს, რომ შემცირება მოხდა უმთავრესად ზამთრის საძოვრების ხარჯზე. რამაც საძოვრების საქმეში წონასწორობა დაარღვია ჩვენი ქვეყნის შიგნით, და ჩვენს ცხვარს უხდება ზამთრობით სხვა რესპუბლიკებში (დაღესტანი, აზერბეიჯანი) ყოფნა. ზამთრის საძოვრები საქართველოს დაცილებული არიან ხშირად 200—300 ვერსით, რომლის გავლა ცხვრისათვის საძნელოა. საძოვრების შემცირება მოსალოდნელია მორწყვის გაფართოებასთან ერთად ტეხნიკურ მცენარეების გავრცელების მიზნით (უმთავრესად ბამბა), მაგრამ სრულიად არ არის საშიში მეცხვარეობისათვის, რადგან ზამთრობით მაინც იქნება ბალახის საკმაო რაოდენობა აღებულ ყანებში; აგრეთვე ნაყოფთა ცვლა და სოფლ. მეურნ. ნაწარმოებთა ტეხნიკური გადამუშავება მოგვცემს დიდ საკვებ მასალის რაოდენობას, რომლითაც უკეთესად გამოიკვებება ზამთრობით ცხვარი. საქართველოში ზამთრის საძოვრების ნაკლებობა, რასაც უკანასკნელად აქვს ადგილი, დიდად შემაფერხებელია მეცხვარეობისათვის.

საგადასახადო პოლიტიკის დამახინჯება

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ზამთრის საძოვრების ნაწილი გადაცემულია ადგილობრივ ორგანოებზე. ამიტომ მეცხვარეებს უხდებათ ხშირად „ხანდელი“ ადგილებზე ყოფნა ზამთრობით, რისთვისაც ადგილობრივი ორგანოები ძალიან ხშირად ახდევინებენ მეცხვარეებს ნორმაზე მეტს საძოვრებით სარგებლობისათვის. ასე, მაგ., თვით კოოპერატ. საზოგადოება „მწყემსი“ იძულებული შეიქნა 1928 წ. გადაეხადა ადგილობრივ ორგანოსთვის 1,000 მან. ერთი თვის განმავლობაში 2,000 სული ცხვრის გასაჩერებლად. ასევე უძნელდებათ ჩვენს მეცხვარეებს მოსაზღვრე რესპუბლიკების საძოვრებით სარგებლობა მიუხედავად სათანადო ხელშეკრულებებისა და ამიერ-კავკასიის ცაკ-ს დადგენილებისა, 1928-29 წ. მეცხვარეებს გადაახდევინეს 22,000 მანეთის ნაცვლად 7.000 მანეთისა. დაღესტანში იყო შემთხვევა, როცა საძოვრებისათვის მოითხოვეს 44,000 მან. იმ დროს, როდესაც მის ნორმალურ ფასად ითვლებოდა 16.000 მან. როგორც სათანადო მასალებიდან ირკვევა, ასეთ დაბრკოლებებს ბევრჯერ ჰქონდა ადგილი, რაც აშკარაა ბოროტმოქმედებას და ხელისუფლების ხაზის გამრუდებას წარმოადგენს. საძოვრების განაწილების და ფასის დარგში მიწსახკომისა და სხვა ორგანოებს შესაფერი გადაწყვეტილებები აქვთ გამოტანილი, მაგრამ ცხოვრებაში გატარების დროს ადგილი აქვს მის დამახინჯებას, რასაც მომავლისათვის აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს.

მოუგვარებელია აგრეთვე მეცხვარეთა დაბეგვრის საქმე, განსაკუთრებით ინდივიდუალური დაბეგვრა, რომლის გატარების დროსაც მთელ რიგ გაუგებრობებს ჰქონდა ადგილი.

ვერ არის დამაკმაყოფილებელი მეცხვარეთა კოოპერატივების მუშაობაც, განსაკუთრებით გაუმჯობესებული ტეხნიკის შეტანის და აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარების დარგში. მათი უმრავლესობის მუშაობა ამოიწურება მატყლის დამზადებით და ამისათვის საჭირო სამომხმარებლო საქონლის მეცხვარეებისათვის ჩვენი მეცხვარეობა ჯერ კიდევ სარგებლობს პრიმიტიული წესებით და ტეხნიკით, რაც ახლანდელ პირობებში ცხვარს ჰქმნის ნაკლებ რენტაბელურს, ვინემ ეს შესაძლებელია.

ასეთია დაახლოვებით ის პირობები, რომლებშიაც უხდება ჩვენს მეცხვარეობას განვითარება.

ცხვრის ჯიშები

ჩვენში ამჟამად გავრცელებულია და საკმაოდ შეგუებული ბუნებრივ პირობებთან თუშური, დუმბა, იმერული და ოსური ჯიშის ცხვარი. ამათგან პირველი ადგილი უჭირავს, როგორც რაოდენობით, ისე თავისი ხარისხით, თუშურ ცხვარს. ეს ცხვარი ცნობილია შედარებით კარგი ხარისხის მატყლით, გემრიელი ხორცით, მნიშვნელოვანი რძიანობით და საქართველოს ბუნებრივ პირობების ამტანლობით.

საქ. ზოოტეხნიკურ სადგურის გამოკვლევით, თუშური ცხვარი ჩაყენებული რაციონალური კვებისა და მოვლის პირობებში, იჩენს გაუმჯობესების დიდ შესაძლებლობას, მაგ. ადრეულობით (სწრაფი ზრდის უნარიანობა) ის არ ჩამოუვარდება მსოფლიოში ცნობილ საუკეთესო ჯიშებს. მატყლის მოცემის უნარი ამავე სადგურის დაკვირვებით, ეხლანდელთან შედარებით შესაძლებელია გაიზარდოს 200—300 პროცენტით. ასევე ითქმის თუშური ცხვრის რძიანობაზეც, კარგ პირობებში ოთხი თვის განმავლობაში მან მოგვცა 94 კილოგრამი რძე. ამრიგად, კულტურული ზეგავლენით შესაძლებელია თუშური ცხვრის არსებითი გაუმჯობესება, სახორცე, სამატყლე და სარძე მიზნით. ჩვენში უცხო ჯიშების მასიურ შემოყვანას ჯერ-ჯერობით არ უნდა დავეწაფოთ, მით უმეტეს, რომ მათი დიდი უმრავლესობა ავადდებიან და იღუპებიან სისხლის ავადმყოფობით (პიროპლაზმოზით), მაშინ როდესაც ასეთი დაავადება თუშური ცხვრისათვის ძალიან იშვიათია და იგი ადვილადაც უძლებს მას.

საჭირო ღონისძიებანი

მეცხვარეობის მომავალი განვითარებისათვის გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნეს აღიარებული საძოვრების საკითხის მოგვარება, რაც უნდა მოხდეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის მასშტაბით, რადგან ცალკ-ცალკე რესპუბლიკებში ზამთრის და ზაფხულის საძოვრების განაწილება რაოდენობითი განსხვავების გამო ვერ არის მოსახერხებელი. ამის დასამტკიცებლად საკმაოა შემდეგი ციფრები:

	აზერბეიჯ.	სომხეთი.	საქართვ.	სულ.
ზაფ. საძ.	364 ათ. ჰექტ.	553,0	307,7	1225,6
ზამთ. საძ.	1077,3 ათ ჰექტ.	—	249,0	1326,3

აქედან აშკარაა, რომ ამ საძოვრების რაციონალური დატვირთვა ცალ ცალკე რესპუბლიკების შიგნით შეუძლებელია. სხვათა შორის, სასურველია მეცხვარეთა კოოპერატივების გაერთიანება ამიერ-კავკასიის მასშტაბით, რაც ხელს შეუწყობს საძოვრების განაწილების და მათი მაქსიმალურად დატვირთვას.

ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს საძოვრების მოწყობას, (გზების გაყვანა, მელიორატიული მუშაობების ჩატარება, დარაიონება კლიმატიურ პირობების მიხედვით და სხვ.) ჩვენი მეცხვარეობა მთელ რიგ რაიონებში ზამთრობით საჭიროებს საკვებით მომარაგებას და ბინების მოწყობას, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მოაქციონ კოოპერატიულ ორგანიზაციებმა.

ჯიშის ამორჩევის მხრივ ჯერჯერობით პირველ რიგში უნდა მოშენდეს თუშური ცხვარი და ამასთანავე სისტემატიურად უნდა იქნეს წარმოებული მეტიზაცია სხვა ძვირფას ჯიშებთან, რომ უფრო გავზარდოთ მატყლისა და ხორცის პროდუქტივობა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ვეტერინალურ დახმარებას.

ყველა ზემოაღნიშნული და სხვა სათანადო ღონისძიებანი უნდა გამოყენებულ იქნან მეურნეობის ამ დარგის განსაზოგადოებისათვის. დაქუცმაცებული, ინდივიდუალური მეცხვარეობა, ისე როგორც ასეთი სახის სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგები არავითარ ხელსაყრელ პირობებს არ შეიცავს თავის განვითარებისათვის. საჭიროა, ერთის მხრივ, მეცხვარეობის **დიდი საბჭოთა მეურნეობების მოწყობა**, რომელნიც იქნებიან მსხვილი კულტურული მეცხვარეობის ნიმუშები, მეორეს მხრივ— **ყველა მეცხვარეთა გაერთიანება კოოპერაციაში და თანდათან გადასვლა კოლექტიური მეურნეობის უფრო მაღალ ფორმებზე.**

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, შეიცავს ამომწურავ ღონისძიებებს მეცხვარეობის განვითარების დარგში. მათი მტკიცედ გატარება უზრუნველყოფს მეცხვარეობის მოწესრიგებას მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ამოცანებთან შეფარდებით.

ს. ერქომაიშვილი.

მეტი ყურადღება მეცხენეობას

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე

ომამდე, სტატისტიკურ ცნობების მიხედვით, მთელ საქართველოში ცხენთა რაოდენობა 120.000-მდე აღწევდა, მაგრამ ცხენის გამოყენება, როგორც მუშა-საქონლისა, ძლიერ უმნიშვნელო იყო. ის წარმოადგენდა ერთგვარ ფუფუნების საგანს თავად-აზნაურობისათვის და სხვა „წარჩინებულ“ პირთათვის; რომლებიც თავის ყოფა-ცხოვრებას განცხრომაში ატარებდნენ. აშკარა არის, რომ ამ მიზნისათვის მათ დასჭირდებოდათ განსაკუთრებით, როგორც მაშინ უწოდებდნენ „სამაყრო“ ტიპის ცხენები.

ღარიბ და საშუალო გლეხობაში მეცხენეობა არ იყო განვითარებული, ვინაიდან მათი დაბეჩავებული ეკონომიური მდგომარეობა, ძალზე ჩამორჩენილი მეურნეობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამასთან, თუ შემთხვევით რომელიმე გლეხს აღმოაჩნდებოდა შესაფერი ცხენი, ვაი იმისი ბრალი; მთელი სოფლის მაშინდელი მბრძანებლები, დაწყებული ბოქაულებიდან და გათავებული ჩაფრებით, სულ ზედ იქნებოდნენ ჩამოკიდებული, რასაკვირველია, ასეთ პირობებში მეცხენეობას ეწეოდა უმთავრესად შეძლებული და პრივილეგიური კლასი, ისიც პირველ ყოვლისა დროის გასატარებლად.

სამწუხაროდ, ჩვენში დღესაც კიდევ არსებობს ისეთი კუთხეები (მაგ., მთიულეთში და ნაწილობრივ სამეგრელოსა და აფხაზეთში), სადაც ცხენის ძალა ვერ არის სათანადოდ გამოყენებული მისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ. ამ მხრივ დამახასიათებელია „მარულები“—ვითომდა ცხენთა გამოცდები, ნამდვილად კი მათი დამღუპველი, უკულტურობის ნაშთი, რომელიც აღმოფხვრილი უნდა იქნას.

ჩვენს მეცხენეობაზე გამანადგურებელი გავლენა მოახდინეს იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებმა; ცხენების რიცხვი ამ ხნის განმავლობაში 50 პროც. დაეცა, ხოლო რაც გადარჩა, გამოუსადეგარი აღმოჩნდა სოფლის მეურნეობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებასთან ერთად, დაისვა მეცხენეობის საკითხიც, როგორც მისი გამწევ ძალისა. გარდა ამისა, ცხენი ესაჭიროება წითელ ჯარს და აუცილებელია ტრანსპორტისათვის. ერთი სიტყვით, ცხენის გამოყენება, როგორც სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე სხვა საჭიროებისათვის, მეტად აუცილებელი და მრავალ-ფეროვანია. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება ამ დარგს ჯეროვან ყურადღებას აქცევს.

რა მიღწევები გვაქვს

მეცხენეობის აღდგენა-განვითარების მიზნით, მიწსახკომთან ჯერ კიდევ 1922 წელში დაარსებული იქნა ცხენსაშენი განყოფილება, რომელსაც ექვემდებარება: მუხროვანის, ყულარის და თბილისის საჯინიბოები იპოდრომით. ყველა ამ დაწესებულებების დანიშნულებაა ჩამოაყალიბოს და შექმნას ისეთი ჯიში, რომელიც გამოსადეგი იქნება ჩვენი მეცხენეობის მასიურ აღდგენისათვის.

ჩვენი ქვეყნის პირობებმა (მთა-გორაკიანი ადგილები, შარა-გზები და სხ.) მიიყვანეს ცხენთსაშენი განყოფილება იმ დასკვნამდე, რომ მეცხენეობის აღსადგენად და ცხენების ჯიშების გასაფართოვებლად რესპუბლიკის მასშტაბით საჭიროა მიღებულ იქნას, როგორც ძირითადი გამაუმჯობესებელი მასალა, შემდეგი ჯიშის ცხენები: ადგილობრივი თუშური და ყაბარდოული, ინგლ. წმინდა და ინგლ. ჯიშნარევი, ბელგიური მთის არდენი და აგრეთვე ნაწილობრივ ორლოვის და ამერიკული მეტისები. ცხენსაშენის მიზანია შეუფარდოს თავისი სამოშენებლოების და საჯინიბოების მასალა ამ მიმართულებას. არსებული დღევანდელი მასალა სამოშენებლოებს და საჯინიბოებისა უდრის სულ 300-მდე ცხენს.

მთავარი ღონისძიება მასიური მეცხენეობის აღდგენისათვის ცხენსაშენის მიერ მიჩნეულია საგრილებელი პუნქტები, რომლებიც ყოველწლიურად გაზაფხულის პერიოდში ეწყობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და რაიონებში. ამ მხრივ, შედარებით წარსულ წლებთან, წელს ასეთი მიღწევები გვაქვს: 1922 წელში დაგრილებული იყო სულ 26 ფაშატი, 1923 წ.—24 ფაშ., 1924 წ.—39 ფ., 1925 წ.—619 ფაშ., 1926 წ.—823 ფშ., 1927 წ.—755 ფაშ., 1928 წ.—755 ფაშ და 1929 წ. კი 1500 ფაშატი. ამრიგად, წლევანდელი საგრილებელი სეზონის შედეგებია 40—50 პროც. აღემატება წარსულ წლების შედეგს. მომავლისათვის მიღებულია ზომები, რომ ეს რიცხვი აყვანილ იქნას 2.000-ზე ზევით. **გრილების დროს უპირატესობა ეძლევათ ღარიბებს და საშუალო გლეხობას; დაგრილება სრულიად უფასოა.**

გარდა ამისა, ცხენსაშენის მიერ დასახული სხვა ღონისძიებანიც მეცხენეობის საქმეში: მეცხენეობის კოოპერატიულ საზოგადოების დაარსება მეცხენეობის სხვადასხვა რაიონებში. მოწონებულ ულაყთა ინსტიტუტის და ცხენთა გამოფენა, გამოცდების მოწყობა ადგილებზე. ამ მხრივ ცხენსაშენმა უკვე გადადგა ნაბიჯები: დაარსებულია ექვსი მეცხენეთა კოოპერატიული ამხანაგობა ახალქალაქი მაზრაში, ზოგიერთ მაზრებში ეწყობა გამოფენები და ცხენთა გამოცდები. რასაკვირველია, საჭიროა მეტი მუშაობა, უფრო ფართო მასშტაბით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და სამიწათმოქმედო ორგანოები ვერ იჩენენ სათანადო აქტივობას ამ საქმეში, მაშინ, როცა მათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენს საჭირო ღონისძიებათა ადგილობრივ გატარება. ამას ყურადღება უნდა მიექცეს და ადგილებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი მეცხენეობის განვითარებას.

ცხენი და ტრაქტორი

ხოლო, უნდა აღინიშნოს ერთი მომენტი: ჩვენ გადამწყვეტი გეზი გვაქვს აღებული სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე, აგრეთვე ავტოტრანსპორტის განვითარებასა და რკინის გზების ქსელის გაფართოებაზე, მაგრამ ამ მხრივ გადამწყვეტი შედეგების მისაღებად საკმაოდ დიდი დროა საჭირო. ამიტომ ცხენის, როგორც სამუშაო ძალის, საკითხი ამ ხნის განმავლობაში არ მოიხსნება. შემდეგშიც ცხენი, როგორც მუშა საქონელი, თვალსაჩინო როლს შეინარჩუნებს, თუ მხედველობაში მივიღებთ კერძოთ ჩვენი ქვეყნის მთაგორიან მდებარეობას.

იმ ქვეყნებში, სადაც ტრაქტორი ყველაზე მეტადაა გავრცელებული, ცხენი სოფლის მეურნეობაში დიდ როლს თამაშობს. მაგ., ამერიკის შეერთებულ შტატების სოფლის მეურნეობაში ტრაქტორს, როგორც გამწევ ძალას, მხოლოდ 12 პროცენტი უკავია, 47 პროც. კი ეკუთვნის ცხენის ძალას. კანადაში, სადაც მემინდვრეობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, 1919 წ. ითვლებოდა 2.866.008 ცხენი, ხოლო 1926 წ. მათი რიცხვი ავიდა 3. 558.849-მდე. რა თქმა უნდა, ისინი ამ მხრივ ჩვენთვის არ შეიძლება მისაბაძ მაგალითებს წარმოადგენდენ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ტრაქტორიზაციის მაქსიმალურად გაშლას იქ ეღობება კერძო მიწადმფლობელობა, შემდეგ—ჩვენ ხომ ამოცანად გვაქვს დასახული ტეხნიკურად არამც თუ დავეწიოთ, არამედ კიდეც გაუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამიტომ ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ცხენი ტრაქტორს დაუპირდაპიროთ. მიუხედავად ამისა, ცხენი, როგორც სამუშაო ძალა, არა მარტო დღესაა აუცილებელი, არამედ მომავალშიაც, თუმცა გაცილებით ნაკლები მასშტაბით, საჭირო იქნება, ამიტომაა, რომ, მაგ., საბჭოთა რუსეთში მეცხენეობას დიდ ყურადღებას აქცევენ. იქ, სხვათა შორის, დაარსებულია ორგანიზაცია „ცხენთა კავშირი“, რომლის მიზანს შეადგენს ცხენთა მასიური განვითარება, იქ მარტო 1927 წლის საგრილებელ სეზონში სახელმწიფო ჯიშიან და მოწონებულ ულაყების მიერ დაგრილებულ იქნა ერთ მილიონზე მეტი ფაშატი. ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის თანახმად, ეს რიცხვი აყვანილ უნდა იქნეს 12,000,000-მდე; აგრეთვე ჯიშიან ულაყების რიცხვი 8.000-დან 1932 წ. აყვანილ უნდა იქნეს 65,000-მდე.

ყოველივე ეს გვაკარნახებს, რომ მეცხენეობის განვითარებას ჩვენში საკმაო ყურადღება უნდა მიექცეს.

აგრ. ვ. შამათავა.

ტყავის დამზადების საკითხი

ტყავის დამზადებას ამჟამად ა.-კ. ფარგლებში აწარმოებს საკავშირო ტყავსინდიკატის ა.-კ. კანტორა, რომელმაც ამ მიზნით მოაწყო ა. კ. რესპუბლიკების ფარგლებში 82 დამამზადებელი პუნქტი, ამასთან მას ჰყავს ტყავის 58 მოსიარულე შემკრები აგენტი, რომლებიც რესპუბლიკების მიხედვით შემდეგი სახით არის განაწილებული: საქართველოში პუნქტების რაოდენობა უდრის 27, აგენტების—16, აზერბეიჯანში—42 და 35, ხოლო სომხეთში—13 და 7.

აზერბეიჯანში პუნქტებისა და შემკრებ აგენტების სიმრავლე უმეტესად აიხსნება „ტყავსინდიკატი“-ს იქ უფრო ადრე მუშაობის დაწყებით, ვიდრე საქართველოსა და სომხეთში.

მიუხედავად პუნქტების და შემკრები აგენტების ცოტად თუ ბევრად სიმრავლისა, „ტყავსინდიკატ“-ს არ შეუძლია შეიჭრას, ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ყოველ კუთხეში და აწარმოოს ნედლი ტყავის დამზადება, რის გამო ტყავის საკმაო რაოდენობა ადგილობრივ რჩება. მის შეძენას ახერხებენ კერძო პირები და ამით ხელს უშლიან ტყავის გეგმიან დამზადებას.

1928-29 წ. ტყავის ნედლეულის დამზადება ა.-კ. ფედ. რესპუბლიკებში შემდეგ სურათს იძლევა: აზერბეიჯანში მსხვილ-ფეხა საქონლის ტყავი დამზადებულ იქნა 104.589 ცალი, წვრილ-ფეხა საქონლის ტყავი 686.528, საქართველოში—120.757 და 286.300, სომხეთში—29.750 და 166.598. სულ ა.-კ. ს. ფ. ს. რ.— 255046 და 1.139.426 ცალი.

1930-31 წ. გეგმით უნდა იქნას დამზადებული 350.000 ცალი მსხ.-ფეხა საქონ. და 1.750.000 წვრ.-ფეხ. საქ. ნედლი ტყავი; რომ ეს გეგმა იქნას განხორციელებული, ტყავსინდიკატმა უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ შემცირებულ იქნას ნედლეულის ადგილობრივად დარჩენა. ამასთან ნედლ ტყავის დამზადებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ს.-ს. კოოპერაციამ, რომელიც უნდა ითქვას, დღემდე სათანადოდ ვერ ეკიდება ამ საქმეს. ტყავის დამზადებაში უნდა იქნას ჩაბმული სას.-სამ. კოოპერაცია, კერძოდ პერიფერიებში, იქ, სადაც სასაკლაო არ არის. აი, ასეთ ადგილებში სას.-სამ. კოოპერაციას საშუალება აქვს თავის ერთეულების საშუალებით შეუდგეს ტყავის დამზადებას.

მასვე უნდა გადაეცეს ისეთი ადგილებიც (ქალაქების სასაკლაოების გარდა, სადაც თვით „ტყავსინდიკატი“ გამოდის დამამზადებლად), სადაც მათი ერთეულები წარმოადგენენ ღონიერ ორგანიზაციას (მაგ.: დასავ. საქართველოში, ზოგიერთი ადგილები ადვილად შეიძლება გადაეცეს ა.-კ. „მეჯოგე“-ს, რომელიც ამ საქმეში უკვე ჩაბმულია და საქმეც ჯეროვანად აქვს დაყენებული, სომხეთში „აიუგხოპი“-ს და აზერბეიჯანში „კეობირლაგში“ შემავალ ერთეულებს).

„ტყავსინდიკატი“ სრული პასუხისმგებელია ტყავის მრეწველობის წინაშე მისი ნედლეულით 100 პროც. უზრუნველყოფისათვის. ტყავსინდიკატის საზრუნავ საგანს შეადგენს არა მარტო ის, რომ საკმაო რაოდენობის ტყავი დაამზადოს, არამედ ის აგრეთვე ცდილობს ტყავის ხარისხის გაუმჯობესებას. ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სხვათა შორის, საჭიროა: 1) საქონლის კარგად გატყავება, რომ ტყავი არ იქნას გაჭრილი; 2) ტყავის სათანადოდ დამარილება-შენახვა, რისთვისაც საჭიროა მუშაკების სათანადოდ მომზადება. ამისათვის „ტყავსინდიკატი“-ს მიერ გახსნილ იქნას მოკლევადიანი კურსები და გადადებული 30.000 მ., 3) უმთავრესად საჭიროა საწყობების, სასაკლაოების, ტყავის გასაშრობების აშენება-შეკეთება, რისთვისაც „ტყავსინდიკატმა“ გ. წ. დახარჯა 51.866 მან.

თუ წინად ა.-კ. დამზადებას აწარმოებდნენ კერძო კომბინატორები, რომლებმაც არა ერთხელ მოგვაყენეს დიდი ზარალი და ტყავის ხარისხიც დასცეს, დღეს ასეთი მდგომარეობა აღმოფხვრილია. შემდეგში ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მრეწველობას არ მოვაკლოთ ნედლი ტყავი. ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი უნდა ითამაშოს არა მარტო ტყავსინდიკატმა, არამედ ს.-ს. კოოპერაციამაც, რომელმაც თავისი ერთეულების საშუალებით უნდა მოახერხოს სოფლად გამოსულ ნედლი ტყავის მთელი 100 პროც. დამზადება.

ჯ. კვიცარიძე.

მეთევზეობის განვითარება

თევზსა და თევზის პროდუქტებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მოსახლეობისათვის როგორც თავის გემოთი, ისე თავის ნაყოფიერებით. აქ მოყვანილი ცხრილი ნათლად გვიჩვენებს თბილ სისხლოვან ცხოველების და თევზის ხორცის შემადგენლობაში შემავალ ძირითად ნივთიერებათა რაოდენობას.

	ცილა	ქონი	ნაცარი
ხარი	44,9	43,8	11,2
ცხვარი . . .	40,5	51,1	8,2
ქათამი . . .	87,5	6,3	6,2
თხა . . .	79,0	16,4	4,6
სელდი . . .	56,4	35,85	7,02
ორაგული .	60,49	35,62	3,89
ვობლა . .	69,88	12,87	16,52

ხორცის მოსალოდნელ კრიზისის დროს თევზს თამამად შეუძლია მისი მაგიერობა გასწიოს და გემრიელი, ნოყიერი პროდუქტი მოგვცეს. სამწუხაროდ, მეთევზეობა საქართველოში მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო, თევზის ჭერა არავის მიერ არ იყო მოწესრიგებული, სათევზაო ადგილებს არავინ ყურს არ უგდებდა.

ასე, მაგალითად, ბალიასტომის ტბაში იჭერდნენ დიდძალ თართის ჯიშის ახალგაზრდა თევზებს, რამაც დამღუპველი გავლენა იქონია რიონის მეთევზეობაზე, ყარაიას ტბა, საიდანაც დიდი რაოდენობით მოჰქონდათ ცოცხალი თევზი თბილისში, უკანასკნელ დროს დაშრა, და იქ თევზიც დაიღუპა. პალიასტომის ტბაც დიდ სამელიორაციო მუშაობას მოითხოვს. მრავალი წლის განმავლობაში, უწესრიგო მეურნეობის წყალობით, საქართველოში არსებული მეთევზეობა ძლიერ დაეცა და ეხლა თევზი ჩვენში შემოაქვთ აზერბეიჯანიდან და ვოლგა-კასპიის რაიონიდან. თუ პალიასტომის, ყარაიას და ტაბაწყურის ტბებს უწინდელი მნიშვნელობა დაეკარგათ თევზის მტაცებლურ და უწესრიგოთ ჭერის გამო, შავი ზღვის სანაპიროებზე მეთევზეობა სულ სხვა მიზეზით დაეცა. ეს სანაპიროები ომამდე ათასობით იზიდავდნენ მეთევზეებს — ანატოლიელ ოსმალებს და ასი ათას ფუთობით იჭერდნენ თევზს. ამჟამად—კი მთლად დაცემულია ეს საქმე. ბათომის საბაჟოს ცნობებით, ამ რაიონში 200.000 ფუთზე მეტს იჭერდნენ თევზს, ამჟამად—კი 10.000 ფუთზე ცოტა მეტს ძლივსღა იჭერენ.

ასეთი მოვლენა აიხსნება არა თევზის მარაგის შემცირებით შავ ზღვაში, არამედ იმით, რომ იქ არ იშოვება მუშა ხელი თევზის დასაჭერად; გარდა ამისა იმ მიზეზითაც, რომ არ არსებობს განსაზღვრული ორგანიზაცია თევზის მეურნეობის მოსაწესრიგებლად და განსავითარებლად.

ამჟამად საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა თავის მუშაობის გეგმაში ახლო მომავლისათვის ამოცანად დაისახა მეთევზეობის აღდგენა საქართველოში, რადგან ეს დარგი მისცემს მოსახლეობას იაფ საკვებს და ახალ სამუშაოს უჩენს მდინარეების, ტბების და შავი ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებთ.

შავი ზღვის სანაპიროებზე მიყვანილი იქნება საჭირო მუშა ხელი; მოწყობილი იქნება მეთევზეთა კოოპერატივები; მათ მიეცემათ თევზის საჭერი იარაღი, დაარსებული იქნება თევზის პროდუქტების გადამმუშავებელი საწარმოები; ამავე დროს მეცნიერულად გამოკვლეული იქნება თევზის მარაგის რაოდენობა შავი ზღვის სანაპიროებზე და შინაგან წყლებში; შესწავლილი იქნება აგრეთვე მოხიარულე თევზების მიგრაცია, მიგრაციის გზები და სხვა საკითხები, რომელთა გამორკვევაც საჭიროა თევზის მრეწველობის რაციონალურად დაყენებისათვის.

იმ თევზის ჭერის გარდა, რომელიც ბუნებრივად მრავლდება, დასმულია ამოცანა,—რომ არსებულ წყლებში ჩასახლებულ და გაჩენილ იქნეს შესაფერი თევზის ჯიშები, მოწყობილ იქნეს თევზის ხელოვნური გაჩენა და გამრავლება. განზრახულია მოწყობილ იქნას შრომითი მეურნეობათა მთელი რიგი (არა უდიდეს ½—2 ჰექტარისა), რისთვისაც გამოყენებული იქნება სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი, სათევზაო წყლებთან მდებარე მიწები.

რა თქმა უნდა, სათევზაო მეურნეობანი მოწყობილი იქნებიან ზუსტ ეკონომიური ანგარიშის საფუძველზე.

ხელოვნურად თევზის გამრავლება უკვე დაწყებულია ჩვენში: სოფ. მცხეთაში არსებობს არაგვის თევზის ქარხანა, რომელიც ამრავლებს ორაგულს და რომელმაც უკვე დიდი შედეგები მოგვცა. წარსულ წელს (მუშაობის პირველი წელიწადია) გამოშვებული იყო 50.000 ახალგაზრდა ორაგული; მიმდინარე წელს ხელოვნურ პირობებში 200-მდე მწარმოებელი იყო შენახული სქესობრივ სიმწიფემდე ქვირითის მარცვლის გასანაყოფიერებლად. მომავალ წელს ამ ქარხანაში განზრახულია შამაიას გამრავლება. შესაძლებელია, რომ არაგვის სათევზაო ქარხანა შეიქნას თევზის ძვირფას ჯიშების საშენად მთელ საქართველოსათვის.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა უკვე მოიწვია თევზის გაჩენა - გამრავლების სპეციალისტები, ხოლო ამჟამად მოლაპარაკება სწარმოებს სათევზაო წყლების შესწავლის საქმის სპეციალისტებთანაც.

ამ საქმეს დიდი მუშაობა, ბევრი დრო და ხარჯი დასჭირდება, მაგრამ უამისოდ თევზის მეურნეობის აღდგენა საქართველოში შეუძლებელია.

ვ. კრასტილევსკი.

მეფუტკრეობა

ომამდე მეფუტკრეობა საქართველოში არ ყოფილა ფართოდ განვითარებული. ცალკე გლეხურ მეურნეობებში მას ერთგვარი მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა და საფუტკრეები ერთსა და იმავე ოჯახს შთამომავლობიდან შთამომავლობაში გადადიოდა. შეძლებულ კლასებიდან მეფუტკრეობას უმთავრესად მღვდლები, ზოგიერთი მემამულეები და ვაჭრები მისდევდნენ.

მეფუტკრეობას იმ დროს სამრეწველო ხასიათი არა ჰქონდა. იშვიათი იყო, რომ მეფუტკრეობა ვისმეს საფუძვლიანათ სცოდნოდა და საფუტკრე რაციონალურად ჰქონოდა დაყენებული.

არავითარი აგრიკულტურული მუშაობა იმ დროს მეფუტკრეობაში არ ტარდებოდა. მხოლოდ ცენტრალური საამბრეშუმო სადგური, რომელიც სხვათა შორის მისდევდა მეფუტკრეობას, ავალებდა ხოლმე ზოგიერთ თავის ინსტრუქტორებს ჩაეტარებიათ მუშაობა მეფუტკრეობაში, მეაბრეშუმეობისაგან თავისუფალ დროს. რა თქმა უნდა, ასეთ მუშაობას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყვებოდა.

ომის და მის მომდევნო ამბების დროს თაფლის ფასმა იმდენად საგრძნობლად აიწია, რომ დაბალი ღირსების თაფლიც კი ადვილად და მაღალ ფასებში იყიდებოდა, ამიტომ იყო, რომ სოფლის მეურნეებმა დიდი ყურადღება მიაქციეს მეფუტკრეობას.

ამჟამად გლეხები იმდენად დაინტერესებული არიან მეფუტკრეობით, რომ საფუტკრეთა რიცხვი ომის დროის 5.000-დან 16.000-დე ავიდა. გარდა ამისა, ფუტკრის ოჯახების საერთო რიცხვმაც 1913—1914 წლის რაოდენობას გადააჭარბა; 1913 წ. საერთო რაოდენობა უდრიდა 70.000, აქედან 8.000 ჩარჩ. სკებში. 1928 წ. ოჯახების რიცხვი ავიდა 100.000-დე, აქედან ჩარჩ. სკებში 17.000

მთავრობამ და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა გაუწიეს ანგარიში გლეხობის მისწრაფებას მეფუტკრეობისადმი, და მის განვითარებას ხელი შეუწყვეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეწყობა ადგილებზე მოკლევადიანი კურსები; მიწსახკომი ყოველწლიურად მართავს მეფუტკრე-ტეხნიკოსების მოსამზადებლათ სამთვიურ კურსებს, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში 108 კაცმა დაამთავრა; ზოგიერთ ოლქებს მეფუტკრეობაში აგრიკულტურული მუშაობის ჩასატარებლად ჰყავთ ინსტრუქტორები; სოფლის კავშირის საშუალებით მეფუტკრეებს ნისიად ეძლევათ სკები, ხელოვნური ფიჭა და სხვ.

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმით, ყოველწლიურად უნდა დარიგდეს 3.000—4.000-მდე ცალი სკა, ხელოვნური ფიჭა, მომზადდეს ინსტრუქტორები მეფუტკრეობაში, ჩატარდეს ფუტკრის მავნებლებთან ბრძოლა და სხვა.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების ჩატარება საკმაო არ არის, მეფუტკრეობის განვითარების მთავარი დაბრკოლება იმაშია, რომ მოსახლეობამ თითქმის არ იცის ფუტკრის მოვლა და ინსტრუქტორების რიცხვიც მეტად მცირეა.

ეს დარგი თუმცა მეორე ხარისხოვანია, მაგრამ ცალკე მეურნეობებში მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან ძალიან დიდ შემოსავალს იძლევა დახარჯულ შრომაზე და კაპიტალზე. გარდა ამისა, მეფუტკრეობისათვის არ აქვს მნიშვნელობა მიწის სივიწროვეს, რაც ასე საგრძნობია ჩვენში. ამავე დროს მეფუტკრეობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა, როგორც მცენარეულობის, მეტადრე წითელი სამყურის, განაყოფიერების ხელისშემწყობს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიზნისათვის ჩვენი ფუტკარი შეუდარებელია.

მიწსახკომის საფუტკრეებში უკვე დიდი ხანია დედა ფუტკრების გამოყვანა სწარმოებს. ეს დედები საბჭოთა კავშირის და საზღვარ გარეთის მეფუტკრეებს და საცდელ სადგურებს ეგზავნებათ.

თუმცა ახლა მეფუტკრეობა დიდ შემოსავალს არ იძლევა, მაგრამ საფუტკრეების ზრდა, კარგი ბუნებრივი პირობები და მეფუტკრეების დაინტერესება ამ დარგით, თავდებია იმისა, რომ მეფუტკრეობა მომავალში ერთ-ერთი თვალსაჩინო მომგებიანი დარგი გახდება.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა მეფუტკრეობას სოფლის მეურნეობის ეხლანდელ რეკონსტრუქციის და კოლექტივიზაციის დროს. კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში შედარებით ადვილად შეიძლება სამრეწველო მასშტაბის საჩვენებელი საფუტკრეების მოწყობა.

ასეთ საფუტკრეებს უფრო ადვილად და კარგად გაეწევა მეთვალყურეობა ცენტრის სპეციალისტების მიერ და იქ უფრო მიზანშეწონილად გამოიყენება მეფუტკრე-ტეხნიკოსების სამთვიან კურსებ დამთავრებული მსმენელები.

გრძელვადიანი სესხის ნაწილი აღნიშნულ საფუტკრეებზე უნდა დაიხარჯოს.

ამ საფუტკრეებიდან მოსახლეობა მაგალითს აიღებს და საკუთარ პრიმიტიულ საფუტკრეებს რაციონალურ ნიადაგზე დააყენებს.

აღნიშნულ პირობებში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ინსტრუქტორთა რიცხვის გადიდებას ადგილებზე და მეფუტკრეობის სპეციალურ სადგურის დაარსებას, რომლის საძირკველი უკვე ჩაყრილია მიწსახკომის ცენტრალურ საფუტკრის არსებობით.

მეფუტკრ. ინსპექტ. **პ. ლოლაძე.**

გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიამ უნდა უზრუნველყოს კოლმეურნეობათა შემდგომი ზრდა

თვითეულ სოფელს, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობას გავაცნოთ გაზაფხულის კამპანიის გეგმა

მუშათა ბრიგადების წევრთა შერჩევა უნდა დამთავრდეს 10 იანვრამდე

საქ. მიწსახკომი უარს ამბობს მინერალური სასუქის გამოყენებაზე „სათანადო გამოცდილების უქონლობის გამო.“

აგრონომების თათბირი

საქართველოს მიწ-ტყის მუშაკთა კავშირის ინიციატივით 2 იანვარს საქართველოს პროფსაბჭოს დარბაზში შესდგა თბილისში მომუშავე სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტების თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა საქ. მიწადმოქმედების სახ. კომისრის მოადგილის ამხ. ქაჯარავას მოხსენება გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ.

მომხსენებელმა დაახასიათა ყველა ის ღონისძიებები, რომელთა გატარება განზრახული აქვს მიწსახკომს გაზაფხულის თესვასთან დაკავშირებით და სხვათა შორის, განაცხადა, რომ მიწსახკომს გადაწყვეტილი აქვს უარი სთქვას იმ 400.000 მანეთზე, რომელიც გადადებულია მინერალური სასუქის გამოსაყენებლად. მიწსახკომი ამას ასაბუთებს იმით, რომ მას არ აქვს საკმაო გამოცდილება ამ დარგში.

კამათში გამოსულმა სპეციალისტებმა გაილაშქრეს ამის წინააღმდეგ და აღნიშნეს, რომ მიწსახკომს სრული შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს მინერალური სასუქები, ამისათვის კი საჭიროა, რომ მან დროზე გაუგზავნოს ადგილებს, კერძოდ საცდელ სადგურებს სასუქი, რომ შესაძლებელი იქნეს სათანადო ცდების ჩატარება. აუცილებელია აგრეთვე ფართოდ იქნეს გავრცელებული ნაკელის გამოყენება. ბორჩალოში და გორის ოლქში უამრავი ნაკელი ილპება უსარგებლოდ, საჭიროა მოგვარებული იქნეს მისი გამოტანა აღნიშნულ რაიონებიდან და განაწილება ცალკე სოფლებს შორის.

კამათში აღნიშნული იქნა ამასთანავე, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს აგრონომების მიერ წამოყენებულ საკითხების გულდასმით განხილვას. მიწსახკომს მრავალი საქმიანი წინადადება მოსდის აგრონომებისაგან მაგრამ ყველა ისინი უძრავად დევს.

მიწსახკომის მიერ შედგენილ გეგმაში სრულებით გამოტოვებულია სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა მესაქონლეობა. სპეციალისტები მოითხოვდნენ, რომ დამატებით შეტანილი იქნეს გეგმაში ეს დარგიც.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ცოცხალი და მკვდარი გამწევ ძალის რაციონალურად გამოყენების საკითხს. განსაკუთრებით მოუგვარებელია საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ხელში უნდა იყოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და კოლონები.

აუცილებლად იქნა ცნობილი, რომ თესვის გეგმა რამდენიმე თვით ადრე იქნეს შედგენილი. საჭიროა, რომ 1930 წლის შემოდგომის თესვის კამპანიის გეგმა შედგენილი იქნეს გაზაფხულის კამპანიის დამთავრებისთანავე.

თათბირის მონაწილეებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ შემოღებული იქნეს იმ აგრონომების დაჯილდოვება, რომლებიც საუკეთესოდ ჩაატარებენ თესვის კამპანიას.

დასასრულ, თათბირმა დაადგინა თესვის საუკეთესოდ ჩატარებაზე სოციალისტური შეჯიბრებაში გამოიწვიოს აზერბეიჯანის და სომხეთის აგრონომები. ხელშეკრულების პროექტი, სანამ იგი გადაეგზავნებოდეს აზერბეიჯანის და სომხეთის აგრონომებს, განხილული იქნება სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტების სამაზრო კონფერენციებზე და სრულიად საქართველოს ყრილობაზე, რომელიც შესდგება ა.-წ. თებერვალში.

—:—

აღსანიშნავია, რომ თათბირს მიწსახკომის გარდა არ დასწრებია არც ერთი სამეურნეო ორგანიზაციის წარმომადგენელი, თუმცა ისინი თავის დროზე იყვნენ გაფრთხილებული.

მუშების შერჩევა უნდა მოხდეს ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციების, სოფლისა და ქალაქის კავშირის საზოგადოების უჯრედებისა და კომკავშირის უჯრედების აქტიური მონაწილეობით და პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობით. გასაგზავნათ შერჩეულ უნდა იქნან პოლიტიკურად და კლასობრივად მტკიცე მუშები, რომელთაც გავლილი აქვთ პრაქტიკული სკოლა საზოგადოებრივი მუშაობისა სოფლის და ქალაქის კავშირის ხელის შემწყობ საზოგადოებებში და მოპოებული აქვთ სოფლად მუშაობის ორგანიზაციულ პოლიტიკური გამოცდილება იმდენად, რომ შესძლონ მონაწილეობის მიღება პურის დამზადებისა და სხვა უმნიშვნელოვანეს კამპანიების ჩატარებაში სოფლად (საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილებიდან).

მთლიან კოლექტივიზაციაზე

სოფ. დიდ-ლილოს ღარიბ, მოჯამაგირე და საშუალო გლეხობამ, რიცხვით 200 კომლმა, გადასწყვიტა ამხ. სტალინის დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო მთელი სოფელი გადაიყვანოს კოლექტიურ მეურნეობაზე. კოლექტივს ეწოდოს ამხ. სტალინის სახელი.

ამხ. სტალინისადმი გაგზავნილ მისალმებაში დიდ-ლილოელი გლეხები სწერენ: „ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ასეთი შეკავშირებით საბოლოო ლახვარს ჩავცემთ საბჭოთა რესპუბლიკების მტრებს“.

—:—

ტირიფონის ველზე მდებარე ორი სოფელი — ნანრითი და შავშვები გადადიან მთლიან კოლექტივიზაციაზე. სწარმოებს მიწადმოწყობა და სამზადისი იარაღ-მანქანების საწყობების ასაგებად.

ახალი კოლექტივები კახეთში

წნორის წყალი, 3 იანვარი (საკ. კორ.). კახეთის ოლქში კოლმეურნეობათა ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გლეხობაში დიდი გარდატეხა მოხდა. ეხლა ყველამ გაიგო კოლმეურნეობის უდიდესი მნიშვნელობა. ღარიბი და საშუალო გლეხობა დიდი ენტუზიაზმით ეგებება კახეთის საოლქო ხელისუფლების მოწოდებას ოლქის სოფლების და რაიონების მთლიან კოლექტივიზაციაზე გადაყვანის შესახებ. სიღნაღის რაიკომმა მიიღო განცხადებები 8 სოფლის კოლექტივების შესახებ. სამისო პირობებიც მზად არის. 27 დეკემბერს სოფელ ზემო მაჩხაანის 4 კოლექტივი გაერთიანდა კომუნაში. 1 იანვარს სოფელ მაშნაარის (სიღნაღის რაიონი) 260 კომლი გადავიდა კოლექტიურ მეურნეობაზე, რომელსაც ეწოდა ამხ. შალვა ელიავას სახელობის სას.-სამ. კომუნა. კოლმეურნეობას ამ 30 დღეს გადაეცა ერთი ტრაქტორი. სიღნაღის რაიონის გლეხობამ გაბედული ნაბიჯი გადადგა სოციალისტური სექტორების გაძლიერებლად კოლექტივიზაციის გზით. კოლექტივიზაციაქმნილი სოფლები მოითხოვენ კულაკების დაუყოვნებლივ გადასახლებას სოფლებიდან და ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

ი. ბოჭუა.

ჩაის საბჭოთა მეურნეობა სენაკის მაზრაში

ახალ-სენაკი, 3 იანვარი. (საკ. კორ.). ამ დღეებში საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს წარმომადგენელმა ამხ. სუჯაშმა პარტკომის მდივან ამხ. ჩაკვეტაძესთან ერთად დაათვალიერა დიდი ჭყონის ჩაის რაიონები, სადაც გაზაფხულიდან ეწყობა ჩაის საბჭოთა მამული 2.000 ჰექტარზე. აქედან მიმდინარე წელს დაითესება 500 ჰექტარი, კოლექტივებში კი 400 ჰექტარი. ამ რაიონში ჩაის განვითარების დიდი შესაძლებლობის გამო, აგებული იქნება ჩაის ფაბრიკები, რისთვისაც გადადებულია სათანადო თანხა. კადრების მოსამზადებლად სამეურნეო ტეხნიკუმთან იხსნება სუბტროპიკული განყოფილება 40 მოწაფისათვის. მარტვილ-დიდი ჭყონის მოსახლეობა დიდი ენტუზიაზმით ხვდება საბჭოთა მამულის მშენებლობას. ეს რაიონი ხდება ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მასიური კოლექტივიზაციის რაიონად.

ბ. ბარამია.

მემაღაროები ეხმარებიან სოფელს

საქ. სამთამად. მუშათა კავშირს მიცემული აქვს დავალება გამოჰყოს კოლმეურნეობებში გასაგზავნად 40 მუშა, საერთო კრებებზე კი მრავალი მუშა აცხადებს სოფლად სამუშაოდ წასვლის სურვილს. 40 კაცის მაგივრად ჩაწერილია 91 საუკეთესო და 6—17 წლის საწარმოო სტაჟის მქონე მუშა. აქედან ჭიათურაზე მოდის 47 კაცი, ტყიბულზე—25 და ბათომზე—16.

გაზაფხულის თესვის კამპანიაში მონაწილეობისათვის ჭიათურამ გამოჰყო 2 ბრიგადა 20 კაცის და ტყიბულმა 1 ბრიგადა 10 კაცის შემადგენლობით.

მუშათა ბრიგადების შედგენა

წარმატებით მიმდინარეობს

თბილისის წარმოებები აღფრთოვანებით გამოეხმაურენ პარტიის და პროფსაბჭოს დადგენილებას სოფლად მუშათა ბრიგადების გაგზავნის შესახებ. ყველა მსხვილი წარმოება შეუდგნენ მუშაობას კანდიდატების შესარჩევად. უმეტეს წარმოებებში ბრიგადის წევრები უკვე გამოყოფილია, დანარჩენებშიაც თავდება კანდიდატების შერჩევა.

მუშათა ბრიგადებთან ერთად სოფლად სამუშაოდ იგზავნება სამხატვრო ძალების, მასწავლებლების და საექიმო პერსონალის ბრიგადები. სულ გაიგზავნა 4 სამხატვრო ბრიგადა (30 კაცი), 3 მასწავლებელთა ბრიგადა 15 კაცი და 3 საექიმო ბრიგადა—15 კაცი.

ამჟამად სწარმოებს სამხატვრო ბრიგადების სამუშაო პროგრამის დამუშავება. ხელოვნების მუშაკთა კავშირთან შემდგარმა თათბირმა გამოჰყო კომისიები, რომლებსაც დაევალათ სხვა და სხვა დარგის პროგრამების შემუშავება: მუსიკალური ნიმუშების შერჩევა დაევალათ ა. მეღვინეთ-უხუცესს და ნაზარიანს, ლიტერატურული ნაწილის დამუშავება—ვოლხინსკის და ბეჟანბეგს, ცირკის ნომრების შედგენა—ლაპიადის, ხოლო პატარა ჯგუფების შედგენა და საცეკვაო ნომრების შერჩევა—ტ. ფოცხვერაშვილს.

სამხატვრო ბრიგადებში გამოყოფილი იქნებიან ოპერის, დრამის და ცირკის არტისტები და ნაციონალურ საკრავებზე დამკვრელები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართულ საესტრადო ნომრების შერჩევას.

საექიმო ბრიგადებში გამოყოფილი იქნებიან ბებია-ქალები, ექიმები და შინაგან, კანის, თვალის და ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტები.

ყველა ბრიგადების შედგენა უნდა დამთავრდეს 15 იანვრისათვის, რის შემდეგაც ბრიგადის წევრებისათვის დაარსებული იქნება სპეციალური მოკლევადიანი კურსები.

პროლეტმწერალთა მონაწილეობა

გაზაფხულის თესვის კამპანიაში

შესდგა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აქტივის კრება, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი; თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ საქ. პროლეტარულმა მწერლებმა გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებაში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრებამ დაავალა პროლეტარულ მწერლებს გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის შეუდგნენ საგიტაციო პიესების, რადიო-პიესების, მოთხრობების და ნარკვევების წერას, რაც გამოცემულ უნდა იქნეს ცალკე კრებულად. გარდა ამისა მიღებულ იქნა დადგენილება, რომ სოფლებში გასაგზავნ მუშათა ბრიგადებთან მიმაგრებულ იქნენ პროლეტარული მწერლები მათთან ერთად სამუშაოდ.

ამხ. კალინინის სახ. ქარხნის მუშათა ბრიგადის წევრები, რომლებიც მიდიან სოფლად.

აკადემიკოსი ნიკო მარი თბილისში

გუშინ, საღამოს, ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა ცნობილი მეცნიერი და საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრი ნიკო მარი.

თავისი ჩამოსვლის მიზნების შესახებ აკადემიკოსმა ნიკო მარმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

ამჟამად საქართველოში მე ჩამოვედი რამოდენიმე სპეციალური სამეცნიერო განზრახვით და ვფიქრობ შევკრიბო ზოგიერთი მასალები იმ გამოკვლევებისათვის, რომელსაც მე ვაწარმოებ, ამასთან ერთად ჩემს მიზანს შეადგენს გავეცნო ადგილობრივი სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობას, განსაკუთრებით ენათმეცნიერებისა და ლინგვისტიკის დარგში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში თავმოყრილი არიან ბევრი მეცნიერები, რომლებიც საინტერესო გამოკვლევებს აწარმოებენ და მე ვფიქრობ, რომ საქართველოს სამეცნიერო ძალებსა და ლენინგრადის სამეცნიერო დაწესებულებებს შორის შეიქმნა მჭიდრო ურთიერთობა.

გარდა ამისა ჩემი ჩამოსვლის მიზანი იყო გავსცნობოდი კავკასიის, საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტის მუშაობასაც. მე ვითვლები ამ ინსტიტუტის მთავარ ხელმძღვანელათ.

დასასრულ მე მინდა შევჩერდე ერთ უდიდესი მნიშვნელობის ამოცანაზე, რომლის გადასაჭრელად მსურს ამთავითვე მოვამზადო აქ სათანადო ნიადაგი. საკავშირო სამეცნიერო აკადემიასთან არსებობს ეროვნებათა შემსწავლელი კომისია, რომელიც აკადემიის მომავალი სესიის შემდეგ გადაკეთებული იქნება ეროვნებათა შემსწავლელ ინსტიტუტათ. ახალი ინსტიტუტის მუშაობას და მის საქმიანობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირში მოსახლე ერთა ისტორიულ-სოციალური სახის გამოსარკვევათ. ინსტიტუტის მუშაობაში ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა კავშირში მოსახლე ცალკე ეროვნებათა სამეცნიერო ძალებმაც და ამ შემთხვევაში, საქართველოში ყოფნის დროს მე გამოვიყენებ ამ მიზნისთვისაც.



თბილისში ვფიქრობ დავრჩე მხოლოდ 5 დღე და შემდეგ ისევ უკან დავბრუნდები დაწყებული გამოკვლევების გასაგრძელებლად.

აკადემიკოსი ნიკო მარი მეცნიერულ ქართულ ფილოლოგიის საფუძვლის ჩამყრელია. ის იაფეტურ ენათმეცნიერების შემქმნელია. მისი უკანასკნელი დროის მუშაობა ენის პალეონთოლოგიის და კერძოთ იაფეტოლოგიის სფეროში, ნიშნავს მატერიალისტური შეხედულების დიდ გამარჯვებას ლინგვისტიკაში. მარიც ამაყობს იმით, რომ ის ენათმეცნიერებაში უკვე გაბედულად იყენებს მარქსის მეთოდს.

საქ. სახკომსაბჭოში

სასაკლაოების ნარჩენების საექსპლოატაციო სააქციო საზოგადოების დაარსება

სასაკლაოების ნარჩენების საექსპლოატაციო სააქციო საზოგადოების მოსაწყობად დაარსდა საორგანიზაციო ბიურო ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს, თბილისის აღმასკომის, საკავშირო ტყავსინდიკატის, საკავშირო „მიასოპროდუქტი“-ს და საქართველოს მესაქონლეთა კავშირის წარმომადგენლების შემადგენლობით. აღნიშნულ ბიუროს თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. თოფჩიაშვილი.

სააქციო საზოგადოების დამფუძნებელთა კრება უნდა იქნეს მოწვეული არა უგვიანეს 1930 წ. იანვრის 3-ს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგია

ჯანმრთელობის სახალხო კოლეგია დამტკიცდა ამხ. კუჭაიძის, მამალაძის, ფრანგულიანის, ფანცხავას, ლეჟავას, თვალჭრელიძის, ზარანცკის თენეიშვილის და ბეგიაშვილის შემადგენლობით.

ექიმთა კერძო პრაქტიკის წინააღმდეგ

სრულიად საკავშირო მედ-სანშრომის პროფკავშირის ცენტრ. კომიტეტმა დაადგინა ჩამოერთვას კერძო პრაქტიკის უფლება მთელ რიგ ექიმთა ჯგუფებს, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა სამსახურში. კერძო პრაქტიკის უფლება უნდა ჩამოერთვას დაწესებულებათა უფროს ექიმებს, უბნის და პუნქტების ექიმებს, სანიტ-ჰიგიენისტებს, მათ ვისაც ლაბორატორიები, ან ფიზიო-კაბინეტები აქვთ ბინაზე, სასამართლოს ექსპერტებს, შრომის კომისარიატის და დამზღვევ სალაროების ექიმებს და ექსპერტებს, ასპირანტებს სამკურნალოებში მცხოვრებ ექიმებს და სხვ. ამრიგად, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ბოლო ეღება ვაჭრობის საზიზღარ ფორმას. საზოგადოებრივი მოღვაწე ექიმი, რომელნიც დაინტერესებულია მედიცინით—როგორც მეცნიერებით, რომელიც გამსჭვალულია საზოგადოებრივი ინტერესებით, ეძებს გარეშე, ვერ შეურიგდება ე. წ. „მედიკურ დეზერტირობ ბაზარს“—სპეკულიაციის ამ უდარესად საძაგელ ფორმას. საბჭოთა მთლიანი და უფასო მედიცინის წარმომადგენელი ექიმი, რომლის თვითეული ნაბიჯი სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, კერძო პრაქტიკის „ვაჭრობაში“ ვერ დაჰკარგავს საუკეთესო დროს. ამხ. სემაშკომ კერძო პრაქტიკას უწოდა „მედიცინის სუხარევკა“. დიდი ხანია ემზადებოდა საბჭოთა საზოგადოებრიობა კერძო პრაქტიკის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. ხელმძღვანელი ორგანოები უცდიდნენ მხოლოდ ექიმთა საზოგადოებრივ აზრის გამოთქმას ამ მხრივ. საბჭოთა ექიმობა მთელი თავისი არსებით წინააღმდეგია კერძო პრაქტიკის. ექიმობის დიდ უმეტესობას კერძო პრაქტიკა დიდი ხანია ისედაც აღარ აქვს. საბჭოთა ხელისუფლებამ იმდენად დაუახლოვა სამედიცინო დახმარება მშრომელთა მასებს, რომ კერძო პრაქტიკას, როგორც მასიური მოვლენა, თანდათან ქრება. კერძო პრაქტიკა დღემდე შერჩათ უმეტესად ე. წ. „მსხვილ“ სპეციალისტებს, „ავტორიტეტებს“, „სახელგანთქმულ“ პირებს. ეს გარემოება საზოგადოებრივ-მოღვაწე-ექიმობას კერძო პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლაშიც აუცილებლად შეუშლის ხელს, მაგრამ ამ სიძნელემ არ უნდა შეგვაჩეროს. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ კერძო პრაქტიკა რყვნის ექიმს, ამავე დროს ის რყვნის და აღატაკებს თვით მოსახლეობასაც.

თითქმის ყველა თვალსაჩინო ექიმ-სპეციალისტი დღეს საბჭოთა სამსახურში იმყოფება. მათ შეთავსებით რამდენიმე თანამდებობაც უჭირავთ. ამიტომ დიდი ნაწილი ასეთი ექიმებისა, სრულებით გულწრფელად მიესალმება ჩვენი კავშირის დადგენილებას კერძო პრაქტიკის მოსპობის შესახებ, რადგან ისინი მატერიალურად შედარებით უზრუნველყოფილნი არიან. უარს იტყვიან, მხოლოდ „ფულზე“ დიდი ხნით „შეჩვეულები“, რომელთა „გამბედაობა“ ამ მხრივ იქამდეც კი მივიდა, რომ თავიანთ კაბინეტების კარებზე ნიხრი გამოაკრეს. ეს, რათქმა უნდა, დაცინვაა საბჭოთა მედიცინის პრინციპებზე და თვით ჩვენ საზოგადოებრიობაზე. ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, თუ საქმიო დეზერტირის ბაზარი ჩვენში აქამდე მივიდოდა! საბჭოთა საზოგადოებრიობამ უნდა განაცხადოს კერძო პრაქტიკის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა. ჩვენმა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და ექიმობამ უნდა გამოსთქვას თავისი გადამჭრელი აზრი ამ ფრიად სერიოზული საკითხის შესახებ. ჩვენი მუშათა-საზოგადოებრიობაც ვერ ჩამორჩება ამ მხრივ საერთო ფერხულს. ჩვენთვის ყველაზე უფრო მეტი საყურადღებო და მნიშვნელოვანია მოწინავე მუშათა ორგანიზაციების აზრი ექიმთა კერძო პრაქტიკის შესახებ. პროლეტარიატმა მრავალ ძველ ტრადიციებს მოუღო ბოლო თავისი შეუპოვარი და გადამწყვეტი ბრძოლით, ასევე უნდა მოიქცეს ის ექიმთა კერძო „ვაჭრობის“ წინააღმდეგაც. საბჭოთა ექიმობა გვერდში ამოუდგება მუშათა კლასს.

ექ. ზიდი მუჯავანაძე.

დავიცვათ „ლიუმანიტე“

ბურჟუაზიის თავდასხმისაგან

გაზ. „ლიუმანიტე“-ს ფონდის გასაძლიერებლათ შემომაქვს სამი მან. და ვიწვევ ამხ. ა. ქართსანიძეს, ან შადურს, დ. ლომთაძეს, ქ. ტყემალაძეს, ელ. ხუციშვილს, (გაზ. „კომუნისტი“), გ. ძაბილაშვილს („ახალი სოფელი“), ს. ფაშალიშვილს, („მუშა“), გ. გორდელაძეს (გარე-კახეთის რაიკომი), აგრ. შალვა გულისაშვილს, (საგარეჯო), პ. ბოკერიას (საზ. „წერაქვა“), ივ. დოიძეს (საგარეჯო), ივლ. ძიძიგურს (თბ. პოლიტგანი), მ. ჯინჭველაშვილს (გარე-კახეთი), გ. მიქაძეს (თბ. საშეფო საბჭო).

ალ. ბიდიაშვილი.

—

გაზ. „ლიუმანიტეს“ დაცვის ფონდის გასაძლიერებლათ შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ ამხ. აკაკი ჭყონიას, დავით გეგზიას, ევგენი წულაძეს, სტეფანე ელიაძეს, ვასო ნანუაშვილს, ბიძინა ბარათაშვილს, კოსტა თავბერიძეს, (ქუთაისი), კაპიტონ ჯანჯღავას (ქუთაისი), ვალერიან მდივნიშვილს (ხაშური), შალიკო გოგოლაძეს (ბორჯომი), დავით გოლსკის (ბათომი), კონსტანტინე მგელაძეს (გორი),

ხ. იბრალიძე.

—

ამხ. ს. იბრალიძეს გამოწვევით გაზ. „ლიუმანიტეს“ დაცვის ფონდის გასაძლიერებლათ შემომაქვს ხუთი მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თ. სიხარულიძეს, სანდრო ეულს, სევერიანე მინდაძეს, პავლე დადვაძეს, ლევან კელენჯერიძეს, ვეფხო ბაკრაძეშვილს, ფრიდონ კარნაძეს, დ. ლომთაძეს, გ. გიორგაძეს.

ივანე წულაძე.

—

„ლიუმანიტე“-ს ფონდში ფულის შეტანა შეიძლება გაზ. „კომუნისტის“ კანტორაში (რუსთაველის პრ., 84).

აფხაზეთი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა

აფხაზეთის კოლმეურნეობათა ცენტრს დღევანდლამდე არ დაუმუშავებია ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა. ეს აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო გეგმის შედგენას.

წინასწარი ცნობებით ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია არა ნაკლებ 25.000 გლეხური მეურნეობის, ე. ი. აფხაზეთის გლეხობის მეურნეობათა 63 პროცენტის კოლექტივიზაცია.

პური

სოხუმის ნავთსადგურში გემი „პორტერიტ“ 1.000 ტონა პური მოიტანა აფხაზეთის დამშეულ რაიონებისათვის. პურის გადმოტვირთვა მთელ კვირას გასტანა.

გემი „ჩატირ-დაღი“ მოიტანა 18 ვაგონი ფქვილი მეთამბაქოეთათვის.

სასამართლო აპარატის წმენდა

უახლოეს დღეებში დაიწყება აფხაზეთის სასამართლო აპარატის და დამცველთა კოლეგიის შემოწმება და წმენდა.

მოწყვეტილი არიან ცხოვრებას

ათი წლის არსებობის განმავლობაში სოხუმის საცდელ სადგურს ერთხელაც არ დაუსვამს ისეთი საკითხი, რომ იგი დაკავშირებული იყოს სოფლის მეურნეობის მიმდინარე ამოცანებთან და დღევანდელი დღის საჭიროებასთან.

თავისი კაბინეტური მუშაობით გატაცებულ საცდელ სადგურს გამოეპარა ის გარემოება, თუ როგორ შემოიტანეს თურქმა მეთევზეებმა აფხაზეთში ფუნდუკის ძვირფასი კულტურა, როგორ უმჯობესდება ქლიავის გადამუშავების ტეხნიკა, როგორ ვითარდებოდა ნარინჯის კულტურა.

ახლაც საცდელი სადგურის სამეცნიერო მუშაკები არაფრით არ არიან დაკავშირებულნი მიწსახკომთან, აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო კავშირთან, აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირთან და კოლმეურნეობათა ცენტრთან.

სოფლის კოლექტივიზაცია და ამასთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის სრული რეკონსტრუქცია ოდნავადაც არ ეინტერესება საცდელ სადგურს.

აფხაზეთის მებაღეობის გამოკვლევამ, რომელიც სპეციალისტების განსაკუთრებულმა კომისიამ მოახდინა, გამოარკვია, რომ საცდელ სადგურს არავითარი კავშირი არა აქვს ადგილებთან. მოწინავე გლეხებს—კულტურულ მუშაკებსაც კი არავითარი წარმოდგენა არა აქვთ მის მუშაობაზე.

აპარატის წმენდის შედეგები

აი, რა გამოარკვია ფინსახკომისა, მიწსახკომისა, მილიციისა და აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების ახლახან დამთავრებულმა წმენდამ.

ყველა ამ აპარატების ხელმძღვანელ თანამდებობებზე არ აღმოჩნდა არც ერთი მუშა, არც ერთი გლეხი.

სამაგიეროდ, მარტო ფინსახკომში აღმოჩნდა 11 ყოფილი ოფიცერი, 8 ყოფილი თავადი, 1 ყოფილი მღვდელი, 1 ვაჭარი და სხვ.

მიწსახკომში ტყეს იცავდნენ კულაკები და ყოფილი პოლიციელი ჩაფრები, რომლებსაც საბჭოთა თოფს ანდობდნენ.

დღევანდლამდე მიწსახკომის თითქმის მთელი მუშაობა ფაქტების რეგისტრაციით და ცირკულიარების წერით ამოიწურებოდა. ადგილებთან არავითარი ცოცხალი კავშირი არ ყოფილა.

საცდელი სადგურის მიღწევები კაბინეტებისა და ლაბორატორიების ფარგლებს არა სცილდება.

ტყის ძვირფასი ჯიშები უწყალოდ იჩეხება. ნებადაურთველი ჭრისათვის ჯარიმას არ ახდევინებენ „ქვითრის წიგნაკების უქონლობის გამო“.

ფინსახკომში წმენდა შინაურული წესით და ერთმანეთის მფარველობით ხდებოდა. აქ მუშათა ბრიგადას უნდობლად შეხვდნენ. მაგრამ ბრიგადამ ბევრი საინტერესო რამ აღმოაჩინა.

გამოირკვა, რომ ზოგიერთ თანამშრომლებს კავშირი აქვთ კერძო ვაჭრებთან, ნაცნობობის გამო შეღავათიანად ეკიდებიან გადასახადების გამღებლებს, სისტემატიურად აბრუნდებენ კლასობრივ ხაზს, აფერხებენ სასწრაფო დირექტივების შესრულებას, ხშირად ნათლიმამობას, მლიქვნელობას იჩენენ, უხეშად ეკიდებიან მუშებსა და გლეხებს და სხ.

ამავე დროს ფინსახკომის ადმინისტრაცია უდიდესი ჯიუტობით იცავდა საბჭოთა აპარატისათვის აშკარად მავნებელ და აშკარად გამოუსადეგარ თანამშრომლებს.

თავისი „უბადლო“ თანამშრომლების წყალობით ფინსახკომმა მოახერხა და კერძო სექტორში გადასახადის ნარჩენები 400.000 მანეთამდე აიყვანა. მიუხედავად ამისა, იგი „ბედავს ამ მუშაკების დაცვას, მათს მფარველობას.

მილიციას შეადგენენ შემთხვევითი პირები; იქ შეხვდებით ყოფილ პოლიციელებს, კულაკებს, მენშევიკური ჯარისკაცები, ჩაფრები და ვაჭრები.

ამავე დროს, როცა მილიციაში დემობილიზაციაქმნილებს გზავნიდნენ, მათ უარით ისტუმრებდნენ—„თავისუფალი ადგილი არ არის“.

ნ. მეძბა.

ხანძარი ჭიათურაში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

2 იანვარს ნაშუადღევის პირველ საათზე ამხ. ფ. მახარაძის სახელობის მაღაროში ცეცხლი გაუჩნდა საჰაერო გზის ჩამოსასვლელს. ხანძარი გზის მცველმა დაგვიანებით შეამჩნია. როგორც კი ცეცხლი შენიშნეს, დაუყოვნებლივ მიიღეს ზომები მის ჩასაქრობად. ცეცხლმაქრების საშუალებით და აცნობეს ჭიათურის ცეცხლის მქრობელ რაზმს, რომელიც 15 წუთში გამოცხადდა ტრესტის სახანძრო ინსტრუქტორთან ერთად. რაზმმა გადაარჩინა გზის მთავარი საბრუნავი ბორბალი თავისი ნაწილებით და შენობის ბოძები და სახურავი.

საჰაერო გზის მუშაობის შეჩერების გამო, არ მუშაობს 700 მუშა. ტრესტის მთავარი ინჟ. ამხ. ლორთქიფანიძის განცხადებით, მუშაობა აღდგენილი იქნება ხუთი დღის განმავლობაში. ზარალი უდრის 1000 მანეთს. ხანძრის მიზეზები ირკვევა.

პრ. ჩაჩიბაია.

რა ხდება ადგილებზე

გლეხების მასიური ლტოლვა კოლექტივისაკენ

ახალ-სენაკი, 3 იანვარი. (საკ. კორ.). ერთი წელია, რაც ნაქალაქევში არსებობს კომუნა 12 ოჯახით და 46 წევრით. მოსახლეობა და კოლექტივიზაციის ღელესთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა მეორე კომუნა. პარტკომკავშირელების ინიციატივით დიდი ჭყონში გაერთიანებულია 11 ოჯახი 41 წევრით, რომლებსაც აქვთ 43 ჰექტარი მიწა. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით დიდია ლტოლვა კოლექტივებისა და კომუნებისაკენ, რაც უფრო გაიშლება საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით.

ბ. ბარამია.

კოლმეურნეობებში გაერთიანებულ ახალგაზრდობის კონფერენცია

ქუთაისი, 3 იანვარი. ამ დღეებში შესდგა კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 50-მდე დელეგატი.

კონფერენციამ ჩაიარა ახალ კოლმეურნეობათა მოწყობის ტემპის გაფართოების ნიშან ქვეშ. გაცხოველებული კამათი გაიშალა კოლმეურნეობათა ცენტრის მოხსენების ირგვლივ კოლმეურნეობათა მშენებლობის მიმდინარეობისა და მისი პერსპექტივების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო 20 კაცმა, რომლებიც უმთავრესად შეეხნენ კოლმეურნეობათა ცენტრის არასაკმაო ხელმძღვანელობას, კოლმეურნეობებში მიწათმოწყობის სამუშაოების სუსტ ტემპს, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მოუმზადებლობას, კოლმეურნეობებში უცხო და კულაკური ელემენტების ყოფნას (კოლმეურნეობის თავმჯდომარე კვიტილი—მსხვილი კულაკია). გამოირკვა, რომ იყო ისეთი შემთხვევები, როცა კულაკური გავლენის გამო კომკავშირლები კოლმეურნეობებიდან გამოდიოდნენ.

კონფერენციამ გადასწყვიტა—გააძლიეროს კოლმეურნეობრივი მშენებლობის ფრონტის გაშლა და მოახდინოს კოლმეურნეობებში უცხო და ანტისაბჭოთა ელემენტების წმენდა.

კონფერენციამ მოუწოდებით მიმართა გლეხურ ახალგაზრდობას—გააფართოოს ახალი კოლმეურნეობების მოწყობა. (ადს).

საადგილ-მამულო განყოფილების წმენდა

ქუთაისი, 3 იანვარი. დამთავრდა საადგილ-მამულო განყოფილების აპარატის წმენდა, რამაც 3 დღეს გასტანა. წმენდა გაიარა 29 კაცმა. წმენდას ცოტა მუშა დაესწრო. აიხსნება ეს იმით, რომ შენობა, რომელიც წმენდისათვის დაუთმეს, ცენტრიდან დაშორებული იყო. (ადს).

ჭარხლის თესვის გეგმა

გორი, 3 იანვარი. მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს ხაშურის, გორის და კასპის რაიონებში ჭარხალი კონტრაქტაციის წესით დაითესება, შარშანდელი 174 ჰექტარის ნაცვლად, 250 ჰექტარზე (ზრდა 43 პროც.) აქედან გლეხურ მეურნეობებში ჭარხალს დაეთმობა 220 ჰექტარი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში—80 ჰექტარი. საბჭოთა მეურნეობებში მოახდენენ სხვადასხვა სასუქის და აგროტეხნიკურ ღონისძიებათა გამოყენების ცდებს. (ადს).

მასწავლებელი ქალის მოკვლა

თელავი, 3 იანვარი. ამას წინად ღამით სოფ. ურიათუბანში თავის ბინაზე გაძარცვის მიზნით მოკლეს ოთხწლიდის მასწავლებელი ქალი ნინო მთვარელიშვილი, რომელსაც სახლში ჰქონდა მოსამსახურეებისათვის დასარიგებელი ჯამაგირი და ობლიგაციები. (ადს).

დამატებითი საექსპორტო გეგმის შესრულება

ახალ სატრაქტორო კოლონებს შემატებს სოფლის მეურნეობას

ფართოდ გამოვიყენოთ ოლქებსა და რაიონებში სოციალისტური შეჯიბრება მეორეხარისხოვან საექსპორტო ნედლეულის დამზადებისათვის

საექსპორტო გეგმა გადაჭარბებით შევასრულოთ

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სოციალისტურად განვითარებისათვის უდიდესად დიდ როლს თამაშობს საზღვარგარეთიდან შემოზიდული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. ჩვენი სატრაქტორო ქარხნები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ სოფლის მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომ პარტიის და ხელისუფლების წინაშე დახვდა საკითხი ახალი „გიგანტური სატრაქტორო ქარხნების და სადგურების მოწყობის შესახებ. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები, მაგრამ სანამ ჩვენ ახალ ქარხნებს ავაგებდეთ, სანამ ჩვენი ქარხნები ბაზარზე საკმაო რაოდენობით გამოუშვებდეს ახალ ტრაქტორებს, მანამ სოფლის მეურნეობა საჭიროებს მრავალ ტრაქტორს, კომბაინებს და სხვა მანქანა-იარაღებს.

უცხოეთიდან ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მეტი რაოდენობით შემოზიდვა მაშინ არის შესაძლებელი, თუ ჩვენ საკმაო ნედლ მასალას გავიტანთ საზღვარგარეთ. ამიტომ საექსპორტო საქონლის დამზადებას პარტიისა და ხელისუფლების მიერ სერიოზული ყურადღება ექცევა.

ჩვენი გაზეთის პირველ იანვრის ნომერში გამოქვეყნებული იყო საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვა ყველა საოლქო და სამაზრო პარტკომიტეტებისადმი ექსპორტის ერთთვიური კამპანიის ჩატარების შესახებ. კამპანიის მიზანს შეადგენს, რომ განსაზღვრულ დროში დამზადებულ იქნეს საუტილიზაციო ნედლეული საზღვარგარეთ გასატანად.

საექსპორტო პროდუქტების დამზადება ჩვენში ყოველ წლობით იზრდება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს გათვალისწინებულ გეგმის მხოლოდ 84 პროცენტი იქნა შესრულებული, ამიტომ ჩვენ ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რომ ეს დანაკლისი არა თუ შევავსოთ, არამედ დასახული გეგმა გადაჭარბებით შევასრულოთ.

პარტიის, ხელისუფლების და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მთავარი ყურადღება იანვრის განმავლობაში მეორეხარისხოვან საექსპორტო საქონლის დამზადებისაკენ უნდა მივაპყროთ. ჩვენში ძალიან ბევრია გამოუყენებელი ნედლეული. ისინი ჩვენი უყურადღებობის გამო მინდორსა და გლეხის ეზოებში ლპება. სოფლებსა და ქალაქებში გამოუყენებლად ყრია ჩვარ-ნაჭრები, საქონლის რქა, ჩლიქები, ცხენის ძუა, ძვლები, და სხვ. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ცეკას მოწოდების საფუძველზე მობილიზაცია უნდა უყონ ყველა ძალებს და საუტილიზაციო ნედლეულის დამამზადებელ მუშაობაში ჩააბან მუშათა და გლეხთა ფართო მასები.

მიმდინარე წელს საქართველოში საექსპორტო გეგმა დამტკიცებულ იქნა 9.434 ათასი მანეთის რაოდენობით: ამ გეგმის შესრულება უნდა მოხდეს გადაჭარბებით. ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: მთელი ძალები საექსპორტო პროდუქტების, საუტილიზაციო ნედლეულის დამზადებისაკენ.

საექსპორტო გეგმის გადაჭარბებით შესრულება კიდევ უფრო ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას, ის გააძლიერებს ტრაქტორების რიცხვს სოფლად.

გ. ს—ძე.

საჭიროა მოეწყოს ნებაყოფლობითი ბრიგადები (მუშათა, კომკავშირელთა, ქალთა, ბავშთა და სხვა) საუტილიზაციო ნედლეულის, ბეწვეულის, მესაქონლეობის ნარჩენების და სხვა შესაგროვებლათ და შემოღებულ იქნას საექსპორტო საგნების მასიურად შეგროვების სპეციალური დღეები (კვირეულები).

(საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებიდან)

კომკავშირი გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივის თანახმად საზოგადოებრივ ორგანიზაციების ძალებით უნდა შეგროვდეს ა. წ. იანვრის განმავლობაში მთელს საქართველოში 6,258 ტონა საუტილიზაციო ნედლეული. ამ რაოდენობიდან საქართველოს კომკავშირმა უნდა შეაგროვოს 3.500 ტონა (213.500 ფუთი) თუ პარტიის ეს დავალება შესრულებულ იქნა, საქართველოს კომკავშირი მიიღებს 250.000 მანეთს და ამ ფულით მოაწყობს „საქართველოს კომკავშირის სახელობის“ სატრაქტორო კოლონებს.

დავალების მიღებისთანავე საქართველოს კომკავშირის ცეკა შეუდგა მუშაობას. მოეწყო სამეული, რომელსაც დავალებული აქვს კამპანიის ჩატარება. შემუშავებულ იქნა გეგმა, თუ რამდენი საუტილიზაციო ნედლეული უნდა შეაგროვონ ცალკე საოლქო და სამაზრო კომიტეტებმა. თბილისის საოლქო კომიტეტმა უნდა შეაგროვოს 55.000 ფუთი, ქუთაისის საოლქო კომიტეტმა 40.000 ფ., გორის—20.000 ფ., კახეთის—14.000 ფუთი, აჭარისტანმა—20.000 ფუთი, აფხაზეთმა—16.000 ფ., სამხრეთ-ოსეთმა—10.000 ფ., ოზურგეთის—11.000 ფუთი, სენაკის—7.000 ფუთი, ახალქალაქის—5.500 ფუთი, ახალციხის—5.000 ფ., რაჭის—4.000 ფუთი და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტმა—7.000 ფუთი.

მაგრამ რადგან მარტო კომკავშირელთა და პიონერთა ძალებით შეუძლებელია დავალების შესრულება, საქართველოს კომკავშირის ცეკამ წინადადება მისცა კომკავშირის ყველა ორგანიზაციას და ყველა კომკავშირელს გაშალონ ფართო აგიტაცია მშრომელ მოსახლეობაში, გამოიყენონ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის და სრულწლოვან მშრომელთა ინიციატივა, შექმნან დაწესებულებებში, საწარმოებში, რკ. გზის სადგურებზე, სოფლებში და სხვ. საინიციატივო ჯგუფები და საუტილიზაციო ნედლეულის შემკრები სპეციალური ბრიგადები. მუშაობაში ფართოდ გამოყენებული იქნება სოციალისტური შეჯიბრება, გამოძახება, დამკვრელ ბრიგადების უჯრედების დაჯილდოება ნაყოფიერი მუშაობისთვის და სხვ.

საქართველოს კომკავშირის ცეკამ უკვე დადო ხელშეკრულება სააქციო საზოგადოება „საქნედლეული“-თან. ამ ხელშეკრულების თანახმად კომკავშირის ცეკა კისრულობს ვალდებულებას ჩააბაროს ა.-წ. 1 მარტს საზოგადოების დამამზადებელ პუნქტებს მთელი დამზადებული საუტილიზაციო ნედლეული, რომელშიაც შედის რკინის ნამსხვრევები, ძვლები, რეზინა, ბრეზენტის ნივთები, თოკები და ყოველგვარი ჩვრები. როგორც კი მიიღებს „საქნედლეული“ ადგილობრივ დამზადებელ პუნქტებისაგან ჩაბარების ქვითრებს, ის კომკავშირის ცეკას გაუსწორებს ანგარიშს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასების მიხედვით.

პრაქტიკული დახმარებისა და ხელმძღვანელობისათვის საქართველოს კომკავშირის ცეკა ყველა ოლქში და მაზრაში გზავნის 12 მუშაკს.

საქართველოს კომკავშირის ცეკამ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა: საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა ლენინური კომკავშირის ხელმძღვანელობით ყოველთვის დიდ ინიციატივას იჩენდა ყოველგვარ საინიციატივო შემოქმედებით საქმეში. ამჟამად პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებს შორის დაისახა დაკვრითი ამოცანა—ექსპორტის გაძლიერება, და კომკავშირიც დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. ჩვენ ვიკისრეთ 3.500 ტონა საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვება და შევაგროვებთ კიდევ თავის დროზე.

ახსნა-განმარტებითი კამპანია უკვე დაწყებულია. საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვების საკითხი პირველ რიგში დეტალურად დამუშავებული იქნება უჯრედთა სხდომებზე უპარტიო ახალგაზრდობასთან და სრულწლოვან მშრომელებთან ერთად, რის შემდეგ მოხდება საინიციატივო და დამკვრელი ჯგუფების გამოყოფა. კამპანიის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნება, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, რადიო, სახალხო კრებები და სხვ.

ფაბრიკებს და ქარხნებს, დაწესებულებებს, საბინაო საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებს და სხვ. დაივლიან კომკავშირელთა და პიონერთა სპეციალური საგიტაციო ბრიგადები და მოუწოდებენ მშრომელთ მონაწილეობა მიიღონ საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვებაში. კომკავშირელებს კარგად ესმით, რომ გაძლიერებული კოლმეურნეობრივი მშენებლობისათვის საჭიროა ტრაქტორები და გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები და რომ მათი მიღება შეიძლება შეგროვებულ საუტილიზაციო ნედლეულით.

ლენინური კომკავშირი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის და საერთოდ მშრომელთა ფართო ფენების დახმარებით და შემოქმედებითი ინიციატივის მეოხებით შეასრულებს თავის კომუნისტურ მოვალეობას და შესძლებს „საქართველოს კომკავშირის სახელობის“ სატრაქტორო კოლონების მოწყობას.

მასიურად ჩავებათ საექსპორტო მუშაობაში

1-ლი იანვრიდან საქართველოში გამოცხადებულია ექსპორტის ერთ-თვიური. ამ კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კომკავშირის და ქალთა ორგანიზაციები, პიონერები, სკოლები ყველა სახის, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ერთ თვიურის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეორე ხარისხოვან საექსპორტო საქონლის (ჩვარ-ნაჭერი, ჯაგარი, ძუა, რქა, ჩლიქები, ძვლები, მეორე ხარისხოვანი ბეწვეული და სხ.) დამზადებას, რომელიც გაფანტულია როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში. ზემოხსენებული საქონლის წარმატებით დამზადების მიზნით კომკავშირის ორგანიზაციები სოფლად მოაწყობენ სპეციალურ შემგროვებელთა არტელებს, გასწევენ აგიტაციას, ყველა სახის სკოლებში (საგიტაციო მუშაობაში ჩაბმული იქნებიან მასწავლებლებიც) და მთელი სოფლის მოსახლეობაში. ცალკე სკოლებს, კომკავშირულ ორგანიზაციებს შორის ფართოდ გაიშლება სოციალისტური შეჯიბრება საექსპორტო საქონლის მეტი რაოდენობით დამზადებაზე. კამპანიის მეტი ეფექტით ჩასატარებლად მიღებულია ყოველგვარი ზომები. ხსენებული ოპერაციის წარმატებით ჩატარებაში დაინტერესებულია ყოველი ცალკე რაიონი და სოფელი, ვინაიდან გეგმაზე მეტად დამზადებულ საქონელში თვითეული რაიონი და სოფელი ჯილდოთ ტრაქტორს მიიღებს. ადგილებზე რომ გაუადვილდეს საექსპ. საქონლის დამზადება, დამზადებული საქონლის შესანახად ან შორეულ მანძილზე გადასატანად არ მოუხდეთ ხარჯების გაწევა, „ზაკგოსტორგ“-მა მთელ საქართველოში მოაწყო მეორე ხარისხოვან საექსპორტო საქონლის მისაღებ პუნქტების ქსელი. ასეთი პუნქტები მოწყობილია ახალქალაქში, ახალციხეში, ხაშურში, ბორჯომში, თბილისში, წნორის წყალზე, თელავში, დუშეთში, ცხინვალში, გორში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ფოთში, გუდაუთში, ოჩემჩირეში, ბათომში და სოხუმში. გარდა ამისა, „ზაკგოსტორგ“-ს განზრახული აქვს ხსენებული პუნქტების ქსელი გააფართოოს დამზადების კამპანიის გაშლასთან შეფარდებით და ახალი პუნქტები მოაწყოს უფრო მოვარდნილ ადგილებზე.

საექსპორტო დამზადებათათვის ადგილებზე ხელმძღვანელობის გასაწევად ჯერ კიდევ გასული სააღრიცხვო წლის დამლევს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან ჩამოყალიბებულ იქნა სპეციალური საექსპორტო თათბირები. საექსპორტო დამზადებათათვის ასეთივე ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ სამაზრო აღმასკომებსაც. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ამ ორგანიზაციებს, გასულ წელს, ფაქტიურად არაფერი არ გაუკეთებიათ ექსპორტის საქმის გასაუმჯობესებლად. რესპუბლიკური საექსპორტო თათბირის დადგენილებით წელს ამ ორგანიზაციებს დაეკისრებათ უფრო მეტი და კონკრეტული პასუხისმგებლობა. ამასთანავე საჭიროდ არის ცნობილი ამ ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობის გაზრდა - გაფართოება. ამჟამად უკვე დამთავრებულია საექსპორტო თათბირების შემადგენლობის გადახალისება. ამ თათბირებს დავალებული აქვთ საექსპორტო დამზადებათა საოლქო, სამაზრო და ავტონომიურ რესპუბლიკების გეგმების დამუშავება და რაიონებზე განაწილება. გარდა ამისა საექსპორტო თათბირებს ევალებათ განუწყვეტლივ ადევნონ თვალყური მთელი საექსპორტო კამპანიის მსვლელობას. მათ ევალებათ პერიოდულად მოისმინონ დამზადებლებისა და ექსპორტიორების საანგარიშო მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ და შეიმუშაონ ღონისძიებები ექსპორტის ერთთვიურის წარმატებით ჩასატარებლად.

თადარიგის მეთაურთა გადამზადება

საჭიროა სამოქალაქო ორგანიზაციების დახმარება

თადარიგის მეთაურთა გადამზადების შესახებ საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ქ. ხამაშურიძემ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

1929 წლამდე თადარიგის მეთაურთა გადამზადებას აწარმოებდა სამხედრო უწყება. წრეულ, საკავშირო სამხ.-რევ. საბჭოს დადგენილების თანახმად, თადარიგის მეთაურთა გადამზადება დაევალა ავიაქიმის ორგანიზაციებს.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი, როგორც თბილისში, ისე ადგილებზე, უკვე შეუდგა თადარიგის უფროს, საშუალო და უმცროს მეთაურთა გადამზადებას სავალდებულო წესით, კურსების საშუალებით.

საქ. ტერიტორიალური სამმართველოს მიერ კურსებზე სამეცადინოთ გამოყოფილია მეთაურთა განსაზღვრული რიცხვი. კურსები უზრუნველყოფილია ხელმძღვანელებით და მასწავლებლებით.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი ყოველგვარ ზომებს ღებულობს, რომ მეცადინეობა კურსებზე წარმატებით და დაუბრკოლებლად მიმდინარეობდეს. მაგრამ, არის მრავალი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან გადამზადების ნორმალურად მსვლელობას. ამ მიზეზებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი: თადარიგის მეთაურების ერთი ნაწილი მუშაობს სხვადასხვა სამოქალაქო დაწესებულებებში და წარმოებებში. ეს წარმოება-დაწესებულებები არ იღებენ არავითარ ზომებს, რომ თადარიგის მეთაურებს შეუწყონ ხელი მათ მეცადინეობაში, არ ანთავისუფლებენ მათ ზედმეტ სამუშაოსაგან, გზავნიან გრძელვადიან მივლინებებში და სხვა. ყველა ეს დიდათ აბრკოლებს მეცადინეობის საქმეს და არღვევს კურსების პროგრამას.

წარმოება-დაწესებულებებმა უნდა გაუწიონ ანგარიში იმ გარემოებას, რომ თადარიგის მეთაურთა გადამზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის. თადარიგის მეთაურები მშვიდობიან დროსვე უნდა გაეცნონ სამხედრო საქმეს, ახალ წესდებებს, რომ თავის მომზადებაში არ ჩამორჩნენ იმ მეთაურებს, რომლებიც მუშაობენ წითელი ჯარის რიგებში.

ამიტომ საჭიროა, რომ სამოქალაქო ორგანიზაცია-დაწესებულებებმა ხელი შეუწყონ თადარიგის მეთაურთა გადამზადებას და ფართო დახმარება აღმოუჩინონ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს.

წარმოება-დაწესებულებებმა თადარიგის მეთაურნი უნდა გაანთავისუფლონ ზედმეტ სამუშაოსაგან, თავი უნდა შეიკავონ თადარიგის მეთაურთა გრძელვადიან მივლინებებში გზავნისაგან, აგრეთვე, როდესაც სწარმოებს პრაქტიკული მეცადინეობა ველად, მეთაურნი განთავისუფლებულნი უნდა იქნან სამუშაოსაგან ორი საათით ადრე.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც დიდათ აბრკოლებს მეთაურთა გადამზადების საქმეს: ეს არის ზოგიერთ მეთაურების მოუწყობლობა სამსახურში. საჭიროა, რომ სათანადო ორგანიზაციებმა მიაქციონ ამას ყურადღება და მიიღონ ზომები უმუშევარი თადარიგის მეთაურთა მოსაწყობად სამსახურში.

სამოქალაქო ორგანიზაციების დახმარებით თავდაცვა-ავიაქიმი შესძლებს თადარიგის მეთაურთა გადამზადების ამოცანის წარმატებით შესრულებას.

რა გვიშლის ხელს

ავიაქიმის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მხარეს შეადგენს მეცადინეობა თადარიგის მეთაურებთან, მათი გადამზადება და მათი აღზრდა სამხედრო ცოდნით.

საქ. ავიაქიმის თბილისის საოლქო საბჭო მიმდინარე წლის 1-ლ დეკემბრიდან შეუდგა მეთაურთა გადამზადებას კურსების საშუალებით. კურსები მოთავსებულია ა.-კ. ქვეითი სკოლასთან. გამოყოფილია ხელმძღვანელები, რომლებიც რეგულიარულად აწარმოებენ მეცადინეობას.

ა.-კ. ქვეითი სკოლა ყოველმხრივ უწყობს ხელს მეთაურთა გადამზადებას. სკოლამ დაუთმო კურსებზე მოსიარულე მეთაურებს საუკეთესო მოწყობილი კაბინეტები, ლაბორატორიები, ხელსაწყოები და საჭირო საგნები.

მოკლე ხანში დაიწყება მეცადინეობა თადარიგის უმცროს მეთაურთა შემადგენლობასთანაც, ამისათვის სპეციალურად მოწყობილ სამოსწავლო პუნქტებზე.

მთავარი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება მეთაურთა გადამზადების საქმეს, არის ის გარემოება, რომ ბევრი მეთაური დღევანდლამდე დაიარება უმუშევრად და ამიტომ არა აქვთ შესაძლებლობა დაესწროს მეცადინეობას.

მეთაურნი უკმაყოფილებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ სამსახურში ისინი დატვირთულნი არიან მრავალი დავალებებით და არა აქვთ შესაძლებლობა რეგულიარულად იარონ მეცადინეობაზე. ამასთანავე მეთაურებს ხშირად გზავნიან მივლინებებში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გადამზადებაზე. იმ დღეებში, როდესაც სწარმოებს კურსებზე მეცადინეობა, წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაცია არ ანთავისუფლებს მათ სამუშაოდან 1 ან 2 საათით ადრე, რომ მეთაურები მეცადინეობაზე დასვენებული გამოცხადდნენ.

მეთაურთა გადამზადების საქმის ასეთ მდგომარეობაში დარჩენა შეუძლებელია. თბილისის წარმ.- დაწესებულებებმა, სადაც მუშაობენ კურსებზე მოსიარულე თადარიგის მეთაურები, უნდა შეიგნონ და შეითვისონ გადამზადების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

საჭიროა, რომ ამ წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციამ შეუქმნას მეთაურებს სათანადო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ გადამზადების წარმატებით მსვლელობას.

შ. ჭავჭანიძე.

მეთაურთა გადამზადება ადგილებზე

ქუთაისი

თავდაცვა-ავიაქიმის ქუთაისის საოლქო ორგანიზაცია შეუდგა თადარიგის მეთაურთა გადამზადებას. ამ მიზნით მოწყობილია სამოსწავლო წერტები, სადაც მიმდინარეობს მეცადინეობა.

მეცადინეობას ხელს უშლის ლიტერატურის უქონლობა ქართულ ენაზე. მეცადინეობას აბრკოლებენ აგრეთვე ქუთაისის ის დაწესებულებები, სადაც მუშაობენ კურსებზე მოსიარულე თადარიგის მეთაურები. არ არის მიღებული ზომები მეთაურების განსატვირთავად ზედმეტი მუშაობისაგან და მათ გასანთავისუფლებლად მივლინებისაგან.

ყველა ეს უარყოფით გავლენას ახდენს კურსების ნაყოფიერ მუშაობაზე.

საჭიროა აღნიშნული ნაკლის დროზე გამოსწორება.

გორი

წინასწარი სამზადისი თადარიგის მეთაურთა გადასამზადებლად დამთავრებულია და მეცადინეობა კურსებზე დაიწყება ამ დღეებში. კურსებისათვის გამოძებნილია სათანადოთ მოწყობილი შენობა, გამოყოფილია ხელმძღვანელი, ლექტორები, დაგროვილია საჭირო ხელსაწყოები და მასალები.

წითელი ჯარის ადგილობრივი ნაწილები მხურვალე მონაწილეობას იღებენ კურსების მოწყობაში. სწარმოებს სათანადო მუშაობა. რათა სამოქალაქო ორგანიზაციებმა თავისი მხრივ, შეუწყონ ხელი კურსების ნორმალურად მსვლელობას.

სამტრედია

სამტრედიაში ჩამოყალიბდა კურსები უმცროს თადარიგის მეთაურთა გადასამზადებლად. გადამზადება წარმატებით მიმდინარეობს.

საჭიროა კურსების მომარაგება სამხედრო ლიტერატურით.

ჩვენი წითელი არმია

ახალწვეული წითელი არმიელები ეცნობიან საზენიტო ტყვიამფრქვევს

ქრონიკა

ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს თავმჯდომარე

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დადგენილებით ამხ. ქ. კაკაბაძე განთავისუფლებულია ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან. მის ადგილზე დროებით დანიშნულია ამხ. პარზიანი.

სახ. მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტი

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტი დაამტკიცა 74 კაცის შემადგენლობით. კომიტეტში არჩეული არიან სახელმწიფო, სამეცნიერო, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკა

ტყავის სინდიკატსა და საქ. ტყავტრესტს შორის მოხდა შეთანხმება თბილისში ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკის აგების შესახებ. ყოველწლიურად ფაბრიკამ უნდა გამოუშვას 4 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი.

თბილისში ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკის აგების საკითხი განხილულ იქნა საქ. ს. მ. ე. ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე. პრეზიდიუმმა საჭიროთ აღიარა, რომ ფაბრიკა აგებულ იქნეს თბილისში, როგორც ამიერ-კავკასიის გეოგრაფიულ და ადმინისტრატიულ ცენტრში.

1.065.000 მანეთი საბინაო მშენებლობისათვის

საქართველოში საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად გადადებულია 1.065.000 მანეთი. აქედან 465.000 მანეთი მიეცემა ალმასკომებს, მათგან თბილისის ალმასკომი მიიღებს 100.000 მანეთს, ქუთაისის—80.000 მანეთს, სოხუმის—40.000 მანეთს, ბათომის—40.000 მანეთს, ცხინვალის—25.000 მანეთს და გურჯაანის—80.000 მანეთს.

საბინაო კოოპერაციის ხაზით განაწილებული იქნება 600.000 მან., აქედან გურჯაანში საბინაო მშენებლობაზე დახარჯება—300.000 მანეთი, ბათომში—40.000 მან., სოხუმში—94.000 მან., ცხინვალში—25.000 მან., ქუთაისში—40.000 მანეთი, ჭიათურაში—25.000 მან. ბორჯომში—55.000 მან. და გორში—30.000 მანეთი.

სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებების ფონდი

რკინისგზელთა მეორე საბავშვო ბაგის დამხმარე საბჭომ სკოლის ჰასაკამდე აღზრდის ბავშვთა დაწესებულებების ფონდის გასაძლიერებლად გადასდო 50 მან. და გამოიწვია რკინისგზელთა ბავშვების 1-ლი, მე-3, მე-4 და მე-5 ბაგის დამხმარე საბჭოები.

სატყეო მრეწველობა

საქართველოში სატყეო მრეწველობის გასაძლიერებლად გადადებულია 300.000 მანეთი.

მეაბრეშუმეობა

მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით აგრიკულტურულ ღონისძიებების ჩასატარებლად და თუთის ხეების გასაშენებლად აბრეშუმის ტრესტს გადაეცა 70.000 მ.

კომინტერნის ქუჩის გაფართოება

იანვრის პირველ რიცხვებში კომუნალური განყოფილება შეუდგება კომინტერნის ქუჩის (ყოფ. სასახლის) გაფართოებას. პირველ რიგში აიღებენ კამოევის ეკლესიას და მის გასწვრივ მდებარე პატარა შენობებს უკანასკნელ დიდ სახლამდე.

მუშაობის დასაწყებად გადადებულია 25.000 მანეთი.

სატრანსპორტო საზ-ბაში

◆ ახალი შოფერები. გაიხსნა შოფერების მოსამზადებელი კურსები 300 კაცისათვის.

◆ ავტომობილები. 1929-30 წელში მიღებულ იქნება 600 ავტომობილი.

◆ შოფერების ფსიქოტეხნიკური შემოწმება დაიწყება ამ დღეებში.

სხვადასხვა

◆ მუშებთან დაახლოების მიზნით შრ. კომისარიატის კოლეგიამ გადასწყვიტა თავის სხდომები ამიერიდან მოაწყოს საწარმოებში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ გამოვიდა ი. გრიშაშვილის „იქეხილეჯა", 20 გვ., ფასი 35 კაპ.

◆ 6 იანვარს პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებულ ქართულ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ს. შანშიაშვილის პიესა „ამბოკარი".

ტკილის გამოყენება მიწის სასუქად

გასულ ზაფხულზე საქ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ ყოფილიყო დაწყებული შესაფერი ცდები სახნავი მიწების გასანოყიერებლად ე. წ. მერგელის თიხებით. მერგელის თიხა, რომელსაც დასავლეთ საქართველოში ტკილს უწოდებენ, შეიცავს მთელ რიგ ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსავლიანობის აწევას.

მიწათმოქმედების კომისარიატმა უკვე დაიწყო ასეთი ცდები და ტკილით განოყიერა რამოდენიმე დესეტინა სახნავი მიწა სხვადასხვა ადგილებში, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მიწებიდან მოსავალი არ ყოფილა მოწეული და ამგვარად ცდების რაიმე შედეგებზე არც შეიძლება ლაპარაკი.

გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები

ტკილის მადნები საქართველოში ბევრგან მოიპოვება. ყველაზე უფრო დიდი რაოდენობით ეს მადნები ცნობილია ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში. ამას წინათ, ს. მ. ე. ს. სამთო განყოფილებამ აღნიშნული მადნების ადგილმდებარეობისა და მარაგის გამოსაკვლევად ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში მიავლინა გეოლოგი ბახტაძე, რომელმაც უკვე დაამთავრა მუშაობა და თავისი დასკვნები წარადგინა ს. მ. ე. საბჭოში.

გეოლოგიური კვლევის დროს გამოირკვა, რომ ზუგდიდის მაზრაში ტკილის მადნის ბუდობები არსებობს 21 სოფელში, სენაკის მაზრაში —16 სოფელში და ხონის რაიონში სამ ადგილას მადნების მარაგი დიდია და ამ მხრივ მოთხოვნილება რამდენადაც არ უნდა გაიზარდოს, ისი დაკმაყოფილება მთლიანად იქნება შესაძლებელი. გამოირკვა, რომ მთელ რიგ სოფლებში გლეხებს უკვე უხმარიათ ტკილი, როგორც სასუქი. ერთ სოფელში (სოფ. ჯგალი) ტკილით გაუნოყიერებიათ ისეთი მწირი მიწა, სადაც გვიმრის მეტი არაფერი ხარობდა. ამ მიწაზე ამჟამად კარგი მოსავალი მოდის (ერთი ქცევა მიწა იძლევა 100 ფუთამდე სიმინდს). გლეხების პრაქტიკიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ თითო ქცევა მიწაზე (900 კვ. საჟენი), რომელიც ტკილით განოყიერებამდე იძლეოდა 30—35 ფუთ მოსავალს, განოყიერების შემდეგ მოსავლიანობამ მოიმატა ორჯერ და სამჯერ.

ზუგდიდის მაზრაში ამჟამად სპეკულიაციასაც ეწევიან ტკილით. ტკილის მადანი ძალიან ჰგავს უბრალო თიხას და ამიტომ ყველა გლეხი მას ვერ იცნობს. მის გამოსაცნობათ საჭიროა ტკილის პატარა ნიმუშს დააწვეთონ რაიმე სიმჟავე, მაგრამ ეს ყველა გლეხმა არ იცის და ამიტომ ხშირად ამ მადანს ყიდულობენ უფრო გამოცდილი მეზობლებისგან.

ზუგდიდის მაზრის ერთ სოფელში გლეხმა ტკილის მადანი იყიდა მეზობლისგან, ხოლო გეოლოგიური გამოკვლევის დროს გამოირკვა, რომ მყიდველ გლეხს საკუთარი სახლი აშენებული ჰქონდა სწორედ ამ მადანზე.

გაზაფხულის თესვის დაწყებამდე უნდა დავიწყოთ ტკილის დამუშავება

ს. მ. ე. ს. სამთო განყოფილებას განზრახული აქვს დასვას საკითხი ტკილის მადნების, როგორც ხელოვნური სასუქის დაუყოვნებლივ გამოყენების შესახებ სოფლის მეურნეობაში. ამ მიზნით ახლო ხანში განზრახულია სპეციალისტების თათბირის მოწვევა და ამ საკითხის უფრო დეტალურად დამუშავება.

საჭირო არის ტკილის მიწის სასუქათ გამოყენების საკითხი შესწავლილ იქნეს, რაც შეიძლება მოკლე ხანში, რომ გაზაფხულის თესვის დაწყებამდე შესაძლებელი გახდეს ტკილის ბუდობების მახლობლად მდებარე სოფლების სახნავი მიწების განოყიერება.

ტკილით განოყიერებული მიწა, გლეხების გამოცდილებით გვალვასაც ადვილათ იტანს.

რამ გამოიწვია ტრამვაის მუშაობის შეფერხება

უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა ტრამვაის ზედმეტათ დატვირთვას და არა ნორმალურ მოძრაობას.

როგორც ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობეს ტრამვაის დირექციაში ტრამვაის მიმოსვლის შეფერხება გამოიწვია ტრამვაის ვაგონების რიცხვის დროებით შემცირებამ.

ტრამვაისათვის ზაჰესის ენერგიის მისაღებად მოწყობილი იყო 2 უმფორმერი (ელექტროდენის გარდამქმნელი) ამ რამდენიმე ხნის წინად მოეწყო კიდევ 3 უმფორმერი. 4 უმფორმერი დაზიანდა. საჭირო გახდა ტრამვაის ძველი სადგურის ამუშავება. ძველი სადგურის სრული დატვირთვით ამუშავებას კი ხელი შეუშალა ყინვებმა და მტკვრის დონის დაკლებამ.

ამ დაბრკოლებათა გამო შეუძლებელი გახდა ყველა ვაგონების გამოშვება და ვაგონების რიცხვი ხაზებზე 127-დან შემცირებულ იქნა 80-მდე.

ძველი სადგური ეხლა უკვე ნორმალურად მუშაობს წყალსაქაჩავების დახმარებით. გუშინ დილას აგრეთვე წესრიგში იქნა მოყვანილი დაზიანებული უმფორმერები. ამრიგად ტრამვაის ნორმალური მუშაობა აღდგენილია.

ყველა ხაზებზე მუშაობს 125 ვაგონი, ჩვეულებრივ კი მუშაობდა არა უმეტეს 127-სა.

გარდა აღნიშნულ დაბრკოლებებისა, ტრამვაის ზედმეტათ დატვირთვა გამოწვეულია მგზავრების რიცხვის ზრდით და საერთოდ მოძრაობის გაფართოებით, მგზავრების რიცხვის ასეთი ზრდა აიხსნება ცუდი ამინდებით და ტრამვაის ბილეთების სიიაფით.

რომ ტრამვაიმ დააკმაყოფილოს მცხოვრებთა მოთხოვნილება, საჭიროა როგორც ტრამვაის ვაგონების რიცხვის, ისე ტრამვაის ქსელის გადიდება, რაც, კომუნალურ განყოფილების ცნობით, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ტრამვაის ახალ ქვე-სადგურების აგებამდე.

ტრამვაის ვაგონები განსაკუთრებით დატვირთულია დილაობით და წარმოება-დაწესებულებებში მუშაობის დამთავრების დროს.

ამიტომ კომუნალურ განყოფილებამ შეიმუშავა ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგების პროექტი, რომელიც სხვათა შორის ითვალისწინებს დაწესებულებებში მუშაობის დაწყებას სხვადასხვა დროს.

ამ პროექტით განზრახულია ქალაქი დაიყოს 3 რაიონად. პირველ რაიონში მუშაობა დაიწყება დილის 8 ს., მეორე რაიონში—8 ნახ. ს., ხოლო მესამეში—9 ს.,

დაწესებულებებში სხვადასხვა დროს მუშაობის დაწყება და დამთავრება საგრძნობლად გაადვილებს ტრამვაით მგზავრობას.

კინო არფასტო
მალე
ახალი ეკზემპლიარი სურათის
ლედი ჰამილტონი
კონრად ვეიდტის, ვერნერ კრაუსის და ლიანა ჰაიდის მონაწილეობით.
6.18

ბიბლიოთეკების დასახმარებლად

ამხ. ნინო ძიძიგურის გამოწვევით 30 მანეთის ლიტერატურას ვსწირავ სოფ. ხუნწის (სენაკის მაზრა) ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: იასონ ფარულავას, გიგილო ჩიქოვანს და შალიკო ლეჟავას.

პარმენ ჩიქოვანი.

ამხ. ვ. თავართქილაძის გამოწვევით ს. ფირხასვეარის ბიბლიოთეკას ვსწირავ ორმოცდაათი მანეთის წიგნებს და ჟურნალებს და ვიწვევ: ქ. შევარდნაძეს, ვალ. ჯაველიძეს, ალთ. ზარაშიძეს, ლავრენტი სისელიძეს, სილიბ. ხიტირს, აქვ. კალანდაძეს, სერგო ნინიძეს, მირ. სეფერთელაძეს, შალვა ჭეიშვილს, შუშ. შევარდნაძეს და ასკანის თემის ყველა მასწავლებლებს. შესწირონ რამდენიც შეუძლიათ.

შ. ვასაძე

ოც მანეთის ლიტერატურას ვსწირავ ასკანის ცენტრალური სამკითხველოს და ვიწვევ ამხანაგებს: შოთა სიამაშვილს, შალვა კილურაძეს, გიორგი დოლიძეს, დომენტი თალაკვაძეს, ალექსანდრე ლომაძეს, გრიგოლ თალაკვაძეს, პოლიკარპე თალაკვაძეს, შალვა თალაქვაძეს, განო თალაკვაძეს, სამუელ თალაკვაძეს.

ეპიფანე სიამაშვილი.

ამხ. ჩანტლაძის გამოწვევით სამიქაოს და მაიდნის ქოხ-სამკითხველოებს ვსწირავ 50 მ. წიგნებს და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კორნელი ქაცარავას, ალექსანდრე კაპარავას, ივანე ჯახველაძეს, ესტატე ყვილავას, ნინო ქადეიშვილს, ლადო ნადარეიშვილს (ხონი), პარმენ ბოკერიას, გიორგი ცოტაძეს, სერგო სოსიასს და აკაკი ფიჩხაიას.

ვ. ქობულია.

თბილისის წარმოებების რადიოფიკაცია

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება თბილისის რადიოცენტრის მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რადიო-ცენტრი არაგეგმაშეწონილად ახორციელებდა მავთულიან რადიოფიკაციას, რამაც გამოიწვია სმენის იმდენათ დაცემა, რომ რეპროდუქტორის აღარ შეუძლია სამსახური გაუწიოს მცირე აუდიტორიასაც კი.

რადიო-ცენტრმა სათანადოთ ვერ გამოუქა სატრანსლიაციო ქსელში ჩართვის პირობები, რითაც აიხსნება არაკოლექტიურ და არა მუშათა აბონემენტების დიდი პროცენტი (50).

პროფორგანიზაციების შეკვეთების შესრულებას ერთ თვეზე მეტი აგვიანდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ რადიო-ცენტრს არ აქვს რეპროდუქტორების საკმაო მარაგი; ამას გარდა ხაზიც ვერ არის წესიერ მდგომარეობაში.

მაზრების რადიოფიკაციის დროს რადიოცენტრი ანგარიშს არ უწევს პროფორგანიზაციების საჭიროებას.

რადიო-ცენტრს წინადადება მიეცა სისწორით დაიცვას რეპროდუქტორების განაწილების მიღებული სისტემა და რეპროდუქტორებით პირველ რიგში დააკმაყოფილოს კოლექტიური შეკვეთები, მეორე რიგში კი—მუშები, წესრიგში უნდა იქნას მოყვანილი სატრანსლიაციო ხაზი.

უნდა დაჩქარდეს სატრანსლიაციო სადგურების მოწყობა გორში, გურჯაანში, ქუთაისში და ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში (ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი).

კავშირების ცენტრალურ გამგეობებს კატეგორიული წინადადება მიეცათ უმოკლეს ვადაში დაამთავრონ წარმოებების, კლუბების და ადგილკომების რადიოფიკაცია. კავშირებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშებისათვის კულტსამსახურის გაწევას სადილო შესვენების დროს. რადიო-გადაცემის პროგრამა ასეთ შესვენების დროს შევსებული უნდა იქნეს თვითმოქმედ სამხატვრო წრეების გამოსვლებით.

აუცილებლად არის ცნობილი—დაუყოვნებლივ დადგმული და შეკეთებული იქნეს რეპროდუქტორები ჭიათურაში.

პროფსაბჭოს ყველა განყოფილებებს წინადადება მიეცათ რეგულიარულად მიაწოდონ რადიო-ცენტრს მასალები რადიო-გადაცემისათვის.

სასამართლო

ცოლის მკვლელი

ნიკოლოზ ივანესძე ბერიძე ყოფილი აზნაურია, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების დროს „იკადრა" ზეინკლობა.

ბერიძე ცხოვრობდა თბილისში, ჰყავდა წვრილი ცოლ-შვილი, მაგრამ ის თავსაც არ იწუხებდა მათ შესანახად. რასაც იშოვიდა, დასტოვებდა სამიკიტნოში და გალეშილი, ჯიბე ცარიელი, ლანძღვა-გინებით შეაღებდა ოთახის კარებს.

ბედის ანაბარად მიტოვებულ ოჯახს მზრუნველობას და დახმარებას უწევდა ბერიძის ცოლის —სოფიოს დედა.

ასე მიდიოდა წლები. ნიკოლოზ ბერიძეს ზედმეტად მიაჩნდა ბავშვების სკოლაში აღზრდა. არავითარ დახმარებას არ უწევდა ბავშვებს, რომელნიც მოწყურებული იყვნენ სწავლას. თავისი მცირეწლოვანი ქალიშვილი ნინო არა ერთხელ გაულახავს „მამას" იმისათვის, რომ ის პიონერთა ორგანიზაციაში მუშაობდა. მოკვლითაც დაემუქრა რამდენიმეჯერ, თუ ბავშვი თავს არ გაანებებდა პიონერთა ორგანიზაციას.

ბერიძე მოკვლით ემუქრებოდა თავის ცოლს სოფიოსაც, რომელიც თურმე ნუ იტყვით „რყვნიდა" ბავშვებს მით, რომ სწავლაში ხელს უწყობდა და არ სტუქსავდა პიონერთა კოლექტივში ჩაწერისათვის.

ა.-წ. 4 ნოემბერს, საღამოს ჩვეულებრისამებრ მთვრალმა ბერიძე თავის მეზობელ ქალს გალუსტოვას ასეთი სიტყვებით მიმართავს: „ლიზა, დღეს ჩემსას დიდი ამბავი დატრიალდება".

სოფიო ამ დროს თავის ავადმყოფ 10 წლის ბავშვს ეჯდა სასთუმალთან.

ბერიძემ, რომელსაც წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა ცოლის მოკვლა, იძრო ბებუთი და მუცელში ჩასცა სოფიოს. დანა ქალს ჩარჩა მუცელში. მკვლელმა სცადა გაქცევა, მაგრამ ბავშვების წივილ-კივილზე გამოცვენილმა მეზობლებმა იგი შეიპყრეს. ქალი საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

ბერიძე გაასამართლა თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ვ. სუფსისპირელის თავმჯდომარეობით და პროკურორის ივ. ძაძამიძის მონაწილეობით.

მხეც, გადაგვარებულ ბერიძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასტიკი იზოლიაციით.

მერ.

რკინის გზებზე

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

გასულ სამეურნეო წელში, ამიერ-კავკ. რკ. გზებზე მომხდარ უბედურ შემთხვევების აღრიცხვისა და გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შემთხვევების რიცხვი გასულ სამეურნეო წელში გადიდებულია 26,7 პროცენტით.

სულ გასულ წელს ადგილი ჰქონდა 2.652 შემთხვევას, ამათგან 9 შემთხვევა განსაკუთრებით საზარალო იყო. ამ შემთხვევების დროს დაიღუპა 13 კაცი და მძიმედ დაშავდა 88.

1927—28 წელში მომხდარ შემთხვევებისაგან მიღებული ზარალი უდრიდა 739.773 მ. ხოლო 1928—29 წელში ზარალი გამოიხატა—357.141 მანეთში.

შემთხვევების უდიდეს ნაწილს ადგილი ჰქონდა ამიერ-კავკ. რკინის გზების მე-4—5 და 6 უბნებზე.

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე უბედური შემთხვევების დაკვრითი წესით აღმოსაფხვრელად.

ბუფეტების გამოკვლევა

უკანასკნელ ხანებში ა.-კ. რკინის გზების გამგეობას მოსდის მრავალი საჩივრები რკ. გზის სადგურებთან არსებულ ბუფეტებში გამეფებულ ანტი-სანიტარულ მდგომარეობის, მაღალი ფასების და ბუფეტებში მომუშავე პერსონალის უვარგისობის შესახებ.

გზათა სახალხო კომისარიატის წინადადებით ა.-კ. რკინის გზების გამგეობა შეუდგება იმის გამოკვლევას, თუ როგორ მოაწყო ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებამ („ზაკტპო"), მგზავრების კვების საქმე, დაცული არის თუ არა სანიტარული პირობები ბუფეტებში, დაკლებულია თუ არა ფასები და სხვ.

გამოკვლევა დაიწყება ამ დღეებში.

ლიანდაგიდან გადავარდნა.

სადგ. ბარცუშეთში მატ. № 4002-ის შესვლის დროს გასკდა რელსი, ლიანდაგს ასცდა ნავთით დატვირთული ხუთი ცისტერნა. ხაზი დაზიანებულია 40 მეტრის სიგრძეზე.

სადგ. განჯიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი.

შემთხვევები

საქონლის გატანა ყალბი ჩეკებით

დაპატიმრებულია გაზალ არაქელისძე გაზალოვი, რომელსაც ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების № 1 მაღაზიიდან გაჰქონდა დეფიციტიანი საქონელი.

შეპყრობა

ქურდობისა და ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს: კარლო გიორგისძე პეტროსიანცი, არტემ დავითისძე დალაქიანი, იოსებ ხაიმისძე ხინკალი.

ხანძარი

გუშინ ხანძარი გაუჩნდა ჩიტაიშვილის ბინას (მე-5 სამილიციო უბანი). ცეცხლი ჩააქრეს.

ქურდობა

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოდან მოიპარეს 210 მანეთის საკანცელარიო ნივთები.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 4 იანვარი

თბილისის რადიო-სადგურიდან დღეს გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა:

დილით: მუშათა შუადღე, ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოთი: ოქტომბრელის საათი „პატარა ბავშვები მიკროფონთან"—ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; გადაცემა სოფლისათვის, საუბარი ხუთწლიანი გეგმის ციკლიდან—„სოციალ კულტურული მშენებლობა"—ქართულ ენაზე; ქართული მუსიკის კონცერტი; რეკლამა; დაუსწრებელი კოოპერატიული კურსები რადიოთი; ლექცია „პოლიტეკონომია"—ქართულ ენაზე; ლექცია ანტირელიგიურ ციკლიდან—„ლენინი რელიგიის შესახებ"—ქართულ ენაზე; დროის შემოწმება; ოპერა „პიკის ქალი"-ს ტრანსლიაცია, უკანასკნელი ამბები.

აგრონომთა გადამზადება

ცირკულიარულად

აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტ. ს. ს. რესპუბლიკისა და სამხ.-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ყველა საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს

მსხვილი მექანიზაციაქმნილი საბჭოთა მეურნეობის კოლექტიური და სოფელთაშორისო სამანქანო- სატრაქტორო სადგურების მშენებლობა ჩვენს წინაშე აყენებს უაღრეს მნიშვნელობის ამოცანას: სოციალისტური სექტორი უზრუნველყოფილ უნდა იქნას კვალიფიციური აგრონომებით, ეს აგრონომები მომზადებულ უნდა იქნან სოფლის მსხვილ მეურნეობაში სამუშაოდ, რაც დაკავშირებულია ახალი აგროტეხნიკის გამოყენებასთან და მეურნეობის ორგანიზაციისა და მმართველობის ახალ ფორმებთან.

1930 წელს უნდა მოეწყოს „ზერნოტრესტი"-ს 70 ახალი მექანიზაციაქმნილი დიდი საბჭოთა მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობების ცენტრის ახალი 26 მსხვილი მეურნეობა და 100 სამანქანო-სატრაქტორო სადგური. მარტო საწარმოო ნაწილის დირექტივების თანაშემწენი, „ზერნოტრესტი"-ს საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური ნაკვეთების გამგენი და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრის სისტემის მსხვილი საბჭოთა მეურნეობების აგრონომები ეხლავე საჭირო იქნება 500 კაცამდე. გარდა ამისა, საჭიროა ასეული აგრო-მომუშავენი მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში, კომუნებში, შაქრის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობების სხვა შენაერთებში.

განსაკუთრებული სიმწვავით ეს საკითხი სდგას, „ზერნოტრესტი"-ს საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომელთაც მიმდინარე ხუთწლედში ახალი, 12 მილიონი ჰექტარი მიწა უნდა გამოიყენონ.

ჩვენ ამჟამად არა გვყავს მომზადებული კადრები ამ საპასუხისმგებლო მუშაობისათვის.

იმ ღონისძიებებს, რასაც მთავრობის ორგანოები ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო განათლების რეორგანიზაციისა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რიცხვობრივი გადიდებისა და მათი თვისების ამაღლებისათვის, შეუძლია მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორი სპეციალისტების საჭირო კადრით. სოფლად სოციალისტური სექტორის განვითარების ტემპი დღესვე გადაჭრით მოითხოვს ჩვენგან აღნიშნულ მომუშავეებს. ამგვარად ჩვენთვის აუცილებელი ხდება მივიღოთ უფრო სასწრაფო ღონისძიებანი და პირველ რიგში განვახორციელოთ აგრონომთა იმ კადრის გადამზადება, რომელიც დღეს გვყავს.

ამ მიზნით, „ზერნოტრესტი"-სა, „სოვხოზცენტრი"-სა და „ტრაქტორცენტრი"-ს გამგეობებმა სოფლის მეურნეობების და ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მონაწილეობით, მოაწყვეს კურსები უმაღლესი აგრონომიული პერსონალის გადასამზადებლად, რომელიც იმუშავებს მსხვილ საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში. კურსების ამოცანაა— მომზადებულ იქნან აგრონომები— მსხვილ მექანიზაციაქმნილი მეურნეობათა ორგანიზატორები.

„ზერნოტრესტი"-სა და „სოვხოზცენტრი"-ს კურსების მაგალითმა გვიჩვენა, რომ— თუმცა მთავრობის ორგანოებმა და სოფლის მეურნეობის და ტყის მუშაკთა კავშირმა ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და აგრონომიული დარგის მომუშავეთა ფართო მასებმა მისდამი დიდი ინტერესი გამოიჩინა, მაგრამ ზოგიერთმა სამეურნეო ხელმძღვანელმა ადგილობრივმა ორგანოებმა აღნიშნული საქმის მთელი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა სათანადოდ ვერ გაითვალისწინეს.

ხელის შეწყობის მაგიერ, იმის მაგიერ, რომ დასახელებული მომუშავენი თავის დროზე ყოფილიყვნენ განთავისუფლებული მიმდინარე სამუშაოსაგან, ხშირად სხვადასხვა დაბრკოლებებსაც კი ქმნიდნენ აგრონომიული დარგის მომუშავეთა კურსებზე შესვლისათვის. ამ მდგომარეობამ ბუნებრივად ხელი შეუშალა აგრონომების საჭირო რაოდენობის კურსებზე შესვლას; „ზერნოტრესტი"-ს და „სოვხოზცენტრი"-ს კურსებზე 250 კაცის მაგიერ გამოცხადდა 50 პროც. ნაკლები (123 კაცი) და „ტრაქტორცენტრი"-ს კურსებზე 200 კაცის მაგიერ— მხოლოდ 127 კაცი.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიაქცევს თქვენს ყურადღებას აგრონომიული პერსონალის გადამზადების საქმის უდიდეს მნიშვნელობას და გთხოვთ სასწრაფოთ მიიღოთ საჭირო ღონისძიებანი, რათა „ზერნოტრესტი"-სა „სოვხოზცენტრა"-სა და „ტრაქტორცენტრი"-ს კურსებზე გაგზავნილ იქნან ყველა დაწინაურებული აგრონომები იმ განაწილების მიხედვით, რაც მიცემული აქვს ადგილებს სოფლის მეურნეობისა და ტყის მუშაკთა კავშირის ორგანოების მეშვეობით.

აგრონომების დაწინაურებისა და აღნიშნულ კურსებზე მათი მომზადებისათვის საჭირო მუშაობისათვის დროზე ჩატარებას თვალსაჩინო რეალური მნიშვნელობა ექნება სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1929 წ., დეკემბრის 11.

ოფიციალური განყოფილება

დებულება

საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ცალკე ჯგუფების მიერ ხელშეკრულებითი საბავშვო ბაღების გახსნის შესახებ

რადგან მოთხოვნილება სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებზე მოსახლეობაში ძალიან დიდია, არსებული დაწესებულებები კი ამ მოთხოვნილებას მათი სიმცირის გამო ვერ აკმაყოფილებენ, ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატს, როგორც დროებითი ზომა, შესაძლებლად მიაჩნია შემდეგი:

1. დიდ ქალაქებში (ტფილისსა და ოლქების დიდ ცენტრებში) განათლების სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი განათლების სახალხო ორგანოების სანქციით ნება დაერთოს საზოგადოებრივ, კოოპერატიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებსა და იმ მოქალაქეთა ცალკე ჯგუფებს, რომელნიც საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობენ, გახსნან სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები და ცალკე ჯგუფები.

შენიშვნა: თვითეულ ჯგუფში უნდა იყოს არა ნაკლებ 10-სა და არა უმეტეს 25 ბავშვისა.

2. საზოგადოებრივმა, პროფესიონალურმა, კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა და მოქალაქეთა ჯგუფებმა, რომელნიც მოისურვებენ ბავშვებისათვის საბავშვო ბაღის ან ჯგუფის გახსნას, უნდა შეიტანონ სათანადო განცხადება, მიიღონ ნებართვა სახალხო განათლების ორგანოებიდან და დასდონ მათთან ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდ და დაწვრილებით უნდა იქნეს განსაზღვრული აღნიშნული დაწესებულებების გახსნის მსურველთა ვალდებულებები, რაც ზოგადად შემდეგ მუხლებშია გათვალისწინებული.

შენიშვნა: დღიდან ამ დებულების გამოქვეყნებისა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს განათლების სახალხო ორგანოთა კონტროლის გარეშე არსებული საბავშვო ბაღებისა და ჯგუფების რეგისტრაცია და სათანადო შერჩევის მოხდენის შემდეგ მათთან ხელშეკრულების დადება.

3. განათლების სახალხო ორგანოების მიერ საბ. ბაღებისა და ჯგუფების გახსნის უფლება მიეცემა მხოლოდ იმ ორგანიზაციებსა და მოქალაქეთ, რომელნიც საბ. ბაღებსა და ჯგუფებს უზრუნველყოფენ საბ. დაწესებულების მუშაობისათვის აუცილებელი პირობებით (შესაფერი ბინა, ავეჯი, დიდაქტიური მასალა, საუზმე, არა ნაკლებ იმ ნორმისა, რომელიც დაწესებულია რესპუბლიკის საბ. ბაღებში და სხვ.), რომელთა დაცვა სავალდებულოა რესპუბლიკაში არსებულ ყველა სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებისათვის.

4. ბავშვებზე დაწესებული გადასახადის რაოდენობა ხელშეკრულებითი საბავშვო ბაღებსა და ჯგუფებში არ უნდა აღემატებოდეს 20 მანეთს.

5. სახალხო განათლების ორგანოებს უნდა დაეთმოს უფასო ადგილები არა ნაკლებ ათი პროცენტისა იმ საბავშვო ბაღებსა და ჯგუფებში, რომელნიც პროფ. ორგანიზაციების ინიციატივით არის გახსნილი და არა ნაკლებ 20 პროც. იმ საბავშვო ბაღებსა და ჯგუფებში, რომელნიც მოქალაქეთა ცალკე ჯგუფების მიერ იქნება გახსნილი.

6. თუ საბავშო ბაღი საზოგადოებრივ, კოოპერატიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების ხარჯზეა გახსნილი (სრულიად ან ნაწილობრივ), იმ შემთხვევაში აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ხელშეკრულებაში განსაზღვრული ხარჯებისათვის საჭირო თანხები უნდა შეიტანონ განათლების განყოფილებაში, რომელიც ამ თანხებს დანიშნულების მიხედვით მოახმარს საბავშვო ბაღს. დახარჯული თანხების ანგარიშს საბავშვო ბაღის გამგე აბარებს ორგანიზაციის საერთო კრებას.

მოქალაქეთა ცალკე ჯგუფების მიერ გახსნილი საბავშვო ბაღებისა და ჯგუფების პასუხისმგებელი ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან საბავშვო ბაღის, ან ჯგუფის მთელი შემოსავალ-გასავალის დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინონ შესამოწმებლად სახ. განათლების ორგანოებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

7. ხელშეკრულებით ჯგუფებში პედაგოგიური მუშაობის წარმოების უფლება ეძლევა მხოლოდ სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში სათანადოთ მომზადებულ პირებს, რასაც შეამოწმებს ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოები.

8. ხელშეკრულებითი ჯგუფების პედაგოგიურ პერსონალს, რომელსაც თანამდებობაზე ამტკიცებს და საჭიროების მიხედვით ხსნის ადგილობრივი განათლების განყოფილება, უნდა მიეცეს თვიური ხელფასი იმავე რაოდენობით, როგორც ეს ადგილობრივად არის განსაზღვრული სკოლის ასაკამდე ზრდის დაწესებულებათათვის.

9. ხელშეკრულებითი სკ. ასაკ. აღზრდის დაწესებულებათა ხელმძღვანელები ითვლებიან სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელთა გაერთიანების წევრებად, ასრულებენ გაერთიანებაზე დაკისრებულ ყოველგვარ სავალდებულო და ნებაყოფლობითი სამუშაოს, ემორჩილებიან განათლების სახ. ორგანოების მიერ მიცემულ ყოველგვარ წერილობითსა და სიტყვიერ განკარგულებებს და მითითებებს და საერთოდ იმყოფებიან მათი სრული ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ.

10. ხელშეკრულებითი საბავშვო ბაღები და ჯგუფები შედიან სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა საერთო ქსელში. ამ საბავშვო დაწესებულებებში მუშაობა უნდა სწარმოებდეს იმ სისტემით და პროგრამით, რომელიც მიღებულია მთელი საბჭოთა რესპუბლიკის მასშტაბით სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათათვის.

11. ხელშეკრულებით საბავშვო ბაღებთან და ჯგუფებთან, ისე, როგორც ამას ადგილი აქვს რესპუბლიკის ყველა სკოლის ასაკამდე დაწესებულებაში, უნდა ჩამოყალიბდეს საბავშვო ბაღების დამხმარე საბჭო, რომელსაც ევალება მუშაობა დამხმარე საბჭოთათვის არსებული დებულების მიხედვით.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე
მარ. ორახელაშვილი.

საბავშვო ბაღების და 1-ლი საფ. სკოლების ინსპექტორი მ. ლომინაძე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კალისტრატე ლაფერაძე

კითხვა:

ოჯახში ვართ 3 ძმა და დედ-მამა. უფროსი ძმა 1925 წელს მუშაობდა ტყიბულში და ოჯახში არაფერს არ გზავნიდა, მის ცოლ-შვილს კი ჩვენ ვარჩენდით. 1927 წელს ტყიბულში სამუშაოზე მან მოიტეხა ფეხი და ვეღარ მუშაობს. ეხლა მან მოითხოვა ოჯახიდან გამოყოფა და 4 წილი—საერთო ქონებიდან. მის 4 სულს გარდა ოჯახში ვრჩებით 5 სული. ერგება თუ არა მას იმდენი?

პასუხი:

თანახმად მიწის კოდექსის მე-47 მუხლისა, ქონება გაყოფილი უნდა იყოს კომლის წევრთა რაოდენობის მიხედვით, ე. ი. 9 ნაწილად და თქვენი ძმა 4 წილს წაიღებს.

პრ. ყაუიშვილს

კითხვა:

ვმუშაობ მექანიკურ ქარხნის აღმშენებლობაზე მოანგარიშეთ, მუშაობის დროს ავად გავხდი. ბიულეტენის მიხედვით დამზღვევ სალარომ უქმე დღეების არ მომცა. კანონიერია თუ არა ეს?

პასუხი:

თქვენ ავადმყოფობის დროს პირველი ხუთი დღის განმავლობაში მოგეცემათ სამი მეოთხედი თქვენი ჯამაგირისა; დანარჩენ დღეებისას მიიღებთ ჯამაგირის რაოდენობის თანახმად.

ალექსი დარჯანიას

კითხვა:

ვმსახურობ მანგლისის რაიონში აგრონომად. სოფლად სცხოვრობს მხოლოდ დედა ჩემი. მე დიდი ხანია სოფელთან კავშირი მაქვს გაწყვეტილი. მიუხედავად ამისა, ჩემზე შემოუწერიათ გზის გასაყვანი ბეგარა. ვარ თუ არა ვალდებული ეს ბეგარა მოვიხადო?

პასუხი:

თუ თქვენ მიწის რეფორმების ჩატარების დროს თემაღმასკომის აღრიცხვაში ხართ გატარებული, როგორც კომლის წევრი და დღემდის ამ აღრიცხვიდან თავი არ ამოგირიცხავთ, სოფელს სრული უფლება აქვს შემოგაწეროთ გზის გასაკეთებელი ბეგარა.

ილიკო ფალავას

კითხვა:

ჩამოსული ვარ ზაბაიკალის გზიდან ჩემი ცოლით და ოთხი შვილით. გზაში დავკარგეთ როგორც ქორწინების, ისე ბავშვების დაბადების მეტრიკა. მივმართე სასამართლოს, სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც სცნო ფაქტი ჩვენი ქორწინებისა და ოთხი შვილის ყოლა. მაგრამ არ ვიცი სად მივიღო სათანადო მეტრიკები. გთხოვთ განმარტებას.

პასუხი:

სასამართლო თავის დადგენილების ასლს გადაუგზავნიდა მ. მ. ჩ-ს. ეს უკანასკნელი თქვენ მოგცემთ საჭირო დოკუმენტს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 4 იანვარს, საღამოს 6 საათზე, მეწვდავთა კლუბში (კომინტერნის ქ. № 5) შესდგება პედაგოგ კომუნისტებისა და კომკავშირელების, ხელშემწყობ საბჭოების ფრაქციების, განათლების მუშაკთა კავშირის ადგილკომების ფრაქციების, სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობის რაიონული შტაბის და რაიონული საბჭოების ფრაქციების კომკავშირის, სასკოლო უჯრედების მდივნების, შრომის სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან საქართველოს კომპარტ. (ბ) რაიონული კომიტეტის და ა.ლ.კ.კ. რაიონული კომიტეტის მიერ მიმაგრებულების, საქ. კ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის პოლიტგანათლების ქსელის კომუნისტ და კომკავშირელ ხელმძღვანელების ფართო რაიონული თათბირი.

დღის წესრიგი: 1. სოციალისტური შეჯიბრების შესახებ შრომის სკოლებში, ტეხნიკუმებში, სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში და პოლიტგანათლების ქსელში (განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მოხსენება).

2. ა.ლ. კომკავშირის სასკოლო უჯრედების მდგომარეობისა და მორიგი ამოცანების შესახებ (საქ. ა.ლ.კ.კ. რაიონული კომიტეტის მოხსენება).

ზემოთ აღნიშნული ამხანაგების, აგრეთვე განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის სახალხო განათლების განყოფილების და განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის კომუნისტ მუშაკების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონ. კომიტეტი.

—:—

26 კომუნარის სახელობის ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტთან არსებულ დაწინაურებულთა მოსამზადებელ კურსებზე ეწყობა ორი ახალი ჯგუფი (ქართულ და რუსულ ენებზე). მსმენელთა სიის შევსებას აწარმოებს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირი. ახალი ჯგუფები მეცადინეობას დაიწყებენ 6 იანვარს საღამოს 6 საათზე, მეცადინეობა იწარმოებს ა-კ: კომუნისტური უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში (შიო ჩიტაძის ქ., 6).

—:—

დღეს, 4 იანვარს, საღამოს 7 საათზე შესდგება ს.ს.პ.ი. ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა.

საქ. კომპარ. (ბ) ცეკას სააღრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. შალვა ახათიანს (კერკომპი) 2 დღის განმავლობაში გამოცხადდეს ცეკაში ამხ. ჩარკვიანთან.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პრ., 21, მე-3 სართული) 4 იანვარს საღამოს 6 საათზე მოეწყობა ჯგუფური კონსულტაცია შემდეგ თემაზე: „ერთმმართველობა და სამკუთხედის მუშაობა". კონსულტაციას აუცილებლად უნდა დაესწრონ საწარმოო უჯრედების მდივნები, წარმოებათა დირექტორები, საფაბრიკო კომიტეტების თავმჯდომარეები და პარტორგანოების წარმომადგენლები.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მ.-გ. ქალთა განყოფილებაში 5 იანვ. საღამოს 6 საათზე შესდგება ყველა უჯრედების, ქალთა განყოფილებების და საბინაო-საიჯარო ამხანაგობების ქალთა კომისიების თათბირი. თათბირი შესდგება ქალაქის რაიკომის ბინაზე (სოლოლაკის ქ., 7).

—

საზ-ბა „მუსიკა—მასებს" იუწყება საკუთარი უჯრედებისა და წევრების საყურადღებოთ, რომ საზოგადოების საორგანიზაციო ბიუროს მდივანი სამშაბათობისა და პარასკეობის გარდა ყოველდღე მუშაობს საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პრ. 21). საზოგადოების ყოველგვარ საქმეებზე მსურველებმა უნდა მიმართონ მდივანს საღამოს 6-დან 9 საათამდე.

—

შაბათს, 4 იანვარს საღამოს 6 საათზე, პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პრ., მე-3 სართულზე) პარტქსელის პროპაგანდისტებისათვის, მიმდინარე პოლიტიკის წრეების ხელმძღვანელებისათვის და 5 წლიანი გეგმის შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელებისა და მსმენელებისათვის შესდგება კონსულტაცია შემდეგ თემაზე: „ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. და საქართველოს 5 წლიანი გეგმები".

შესვლა ბილეთებით. ბილეთების მიღება შეიძლება რაიკომების აგიტპროპგანყოფილებებში და პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში. კონსულტაცია ჩატარებული იქნება რუსულ ენაზე.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ქაბატო, შვილები: ალექსანდრე (საშა) და ვასო ეგნატაშვილები თავიანთი ცოლშვილით და ქალი ბარბარე თავისი ქმარშვილით იუწყებიან, რომ ქ. თბილისში მშვიდათ მიიცვალა მათი დაუვიწყარი და საყვარელი

იაკობ გიორგის-ძე ეგნატაშვილი

დაკრძალვა ქ. გორში, კვირას, 5 იანვარს, შუადღის 3 საათზე. 6 6 3—3

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლაზიერი, დედა ლუბა, ძმები ვარლამ, სევერ და ბიძინა ცოლშვილით, დები ელპიტე თავის ქმარშვილით, ვარა და იულია კობერიძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ძვირფასი

თეოფილე არტემის-ძე კობერიძე

დაკრძალვა კვირას, 5 იანვარს, ავლაბრის (რკ-ნის გზის გადაღმა) სასაფლაოზე. გამოსვენება დღის 2 საათზე—კახეთის ქ. № 42 (ე)

პროკოფი ვიქტორის ძე და მარგალიტა სილოვანის ასული არჩვაძეები, სილოვან და ანნა თომაძეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს საყვარელი ქვისლის და სიძის

თეოფილე კობერიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, ნაშუადღევის 2 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, კახეთის ქ № 42. (ს)

ავერიანი, ალექსანდრა (საშა) და გიორგი (ჟორა) ჭიჭინაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი დაუვიწყარი ბაბუას

ყარამან ივანეს-ძე ჭიჭინაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება 4 იანვარს, სოფ. ხიმშში (რაჭა). 20

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი ძმები: სიმონი, ნიკო, ალექსანდრე და გრიგოლი ფიცხელაურები, დეიდა დარია ზარიძისა, რძლები თამარ და ნინა; ძმისწულები: ოსიკო და [illegible] აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა უძვირფასესი

ანასტასია (ტასო) იოსების ასული ფიცხელაური

მიცვალებულის გადმოსვენება მოხდება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურიდან დღეს, 4 საათზე, ბინაზე საპიორის ქ. № 45. 29

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 წ. სეზონი
შაბათი 4 იანვ., მე-10 აბ. 5 წარმ. დამს. მსახ. ქ. მ. დერჟინსკაიას მონაწ. პიკის ქალი
კვირა 5 იანვარი დილით დილის მე-2 აბონ. მე-2 წარმოდგენა
ვ. რ. სლივინსკის მონაწილეობით ევგენი ონეგინი
საღამოთი აბონემენტ. გარეშე ფატმა მუხტაროვას პირველი გამოსვლა კარმენ
ორშაბათი, 6 იანვარი, მე-6 აბონ. მე-5 წარმ. ალ. პიროგოვის მონაწ. ტრილბი
ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი გაიყიდება სალაროში ჩვეულებრივი წესით.
6. 24

აპოლო	ბეტი კომპსონი სურათში ნიუ-იორკის დოკებში
პალასი	მხატვრული ფილმი სიცოცხლის ფასად (ინჟინერ სტრონგის პროექტი)
სოლეი	დუგლას მაკ-ლინი კომედიაში ლეიტენანტი რელეი

მალე: „ძველი და ახალი"

არფასტო	ცნობილი ფილმი მოანა სამხრეთის ზღვების შვილი
მინიონი	ი. იაკოვლევა, ი. სოლნცევა სურათში 2 ქალი
დარბაზი	იგორ ილინსკი კომედიაში ტიკინა მილიონებით ლამროვების გასტროლები ახალი პროგრამა

0—2

რუსთაველის თეატრი
შაბათს 4 იანვარს
კავშირებისათვის
სამის კაცი!
6. 22

ორშაბათიდან
6
იანვრიდან
კინო
აპოლო
უცხოეთის ცნობილი ფილმი
მეორე სიცოცხლე

ახალგაზრდა
ძიძა
ეძებს ადგილს
მისამართი:
ანტონოვის ქ. № 10—ალექს. გაბაშვილის ბინა. 22

კინო-არფასტო
6 იანვრიდან, ყოველდღე
იქნება ნაჩვენები 1-ლ სეანსზე
კულტფილმი
(სამეცნიერო განმანათლებელი სურათი)
უკრავს
გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი
ყველა ადგილი ღირს ოც-ოცი კაპ.
სეანსი იწყება 5 საათ. 50 წუთზე. 6. 25

სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტ-ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტის 8 სემესტრ მოსმენილთ,

რომელთაც არა აქვთ მიღებული ფაკულტეტის დამთავრების მოწმობა, წინადადება ეძლევათ ხუთი დღის განმავლობაში გამოცხადდენ პირადად სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის აღმასრულებელ ბიუროში რეგისტრაციაში გასატარებლად.

ის პირნი, რომელთაც არ აქვთ ავადმყოფობის ან სამსახურის გამო პირადად გამოცხადების საშუალება ვალდებული არიან სასწრაფოთ აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი და სამყოფი ადგილი. გამოცხადებულნი გაიგზავნებიან მუშათა ბრიგადებთან ერთად გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად.

თესვის კამპანიაში მონაწილეობა ჩაითვლება სავალდებულო საწარმოო პრაქტიკად, რომლის უქონლობის შემთხვევაში ფაკულტეტის დამთავრების მოწმობა არ გაიცემა.

ინსტიტუტის გამგეობა.

6. 3

მიიღება ხელის მოწერა 1930 წ. ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ პოლიტიკური ჟურნალ „პროლეტარული მწერლობა"-ზე

საქარ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო:

„პროლეტარული მწერლობა"	თავის ირგვლივ აერთიანებს პროლეტ. მწერლობის საუკეთესო კადრებს.
„პროლეტარული მწერლობა"	ბეჭდავს პროლეტარული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს, აშუქებს საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.
„პროლეტარული მწერლობა"	ათავსებს აგრეთვე რევოლიუც. თანამგზავრ მწე ლ. საუკეთ. ნაწარმოებებს.
„პროლეტარული მწერლობა"	ფართე ადგილს უთმობს თეატრის, კინოს, მხატვრობის, მუსიკის და საერთოდ ხელოვ. საკითხებს.
„პროლეტარული მწერლობა"	აშუქებს თანამედროვე ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს.
„პროლეტარული მწერლობა"-ს მთ. განყოფილებებია:	პოეზია, პროზა, დრამატურგია, მიმოხილვები, თანამედროვე ხელოვნება, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ჟურნალის ფასი: წლიურა —4 მან., 6 თვით - 2 მანეთი. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბ., სახელგამი, პერიოდსექტორი, რუსთაველის პრ. № 22 და აგრეთვე პროვინციაში სახელგამის ყველა მაღაზიებში.

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— პირადობის მოწმობა № 793, ინვალიდობის მოწმობა სამხედრო წიგნაკი № 18 და პირადობის მოწმობა № 17 ლევანი თადეიზის-ძე გიორგობიანის სახელზე. 19
— პურის წიგნაკი № 22029 ალექსანდრე შადიას სახელზე. 21
— კავშირის წიგნაკი № 12147 კონსტანტინე ივანეს-ძე ინანიშვილის სახ. 23
— პურის წიგნაკი № 10139 და მუშკოოპის წიგნაკი ნესტორ ლუკას-ძე პაპუკოიას სახელზე. 24
— რკინის გზის პროფკ. წიგნაკი № 24174 კალლისტრატე ივანეს-ძე ასათიანის სახელზე. 25
— მელითონეთა კავშირის წიგნაკი № 2784 შაქრო უმიკაშვილის სახ. 27
— პურის წიგნაკი ამროსი პავლეს-ძე კობალაშვილის სახელზე. 28
— ლომბარდის ქვითარი № 064239. 30
— სამხ. პირადი ნუსხა 69 ალექსანდრე ტოტიას ძე წოწონავას სახ. 5099
— სამხედრო წიგნაკი № 4 ალექსანდრე ევგენის ძე ევნაძის სახელზე. 50
— საწევრო წიგნაკი № 16, გაცემული ბორჯომის საკასრო ქარხნის კომისიის მიერ მიხეილ ბესარიონის-ძე ჩადუნელის სახელზე. 5094
— სამსახურობის მოწმობა, მოცემული ოზურგეთის განათლების განყ. მიერ № 2221 ყარამან მაქსიმეს-ძე ჯღერიძის სახელზე. 5095
— კოოპერატიული წიგნაკი № 449 თეოფანე ჯანელიძის სახელზე. 509
— კავშირის წიგნაკი № 228 შალვა გიორგის-ძე ქუმბურიძის სახ. 18
— მეტრიკული ამონაწერი № 36 თამარა მელიტონის ასულ კვაჭანტირაძის სახელზე. 1

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. სალ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), ფსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. პუშკინის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლაკში. ტელ. 25—73. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—21

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება დილით— 7—8 ს. საღამოს—6—8 საათ. ქალები და ბავშვების მიღება 1—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ. კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 553.

ტირაჟი—43 4
პოლიგრაფტრესტის მე-8 სტამბა. კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904